საკვირო გაზეთი

№40 (679)
ოთხშაბათი
7 დეკემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ვინ ნამლავს საქართველოს მოსახლეობას მასიურად?

ჟურნალისტად დაბადება და ჟურნალისტიკის კომა

მერაბ შათირიშვილი:

„ნაცმოძრაობის“ დაშლა ახლოვდება

ხაბეიშვილი არ გახლავთ ის ფიგურა, ვის გამოც პარტიაში ფული ჩაიდება. კეზერაშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა მილიარდერი დამფინანსებლები ხაბეიშვილში თანხას არ ჩადებენ

სოსო მანჯავიძე:

ნაცების სახით ოპოზიციაში კლინიკური გიჟები გვყავს

დასავლეთს ასეთი პიტბული საავადმყოფოში ეგულება და მის გათავისუფლებას ცდილობს. ვისაც ჰგონია, ევროკავშირი და მისი ორგანოები სამართლიანობის იდეისთვის გამსჭვალულნი არიან, მან ხონის ფსიქიატრიულში უნდა იმკურნალოს

სოსო არჩვაძე:

საქართველო უცხოურ ბიზნესში საქმიანი რეპუტაციით სარგებლობს

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკაში სულ ცოტა 25 ათასი ვაკანსია გვაქვს. წლის განმავლობაში 100 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. აქედან 78 ათასი უკვე დაკავებულია, 25 ათასი კი - ვაკანტურია

როგორ უმკლავდება სირია აშშ-ისა და ევროპის ზეწოლას?

ხომ არ გეჩვენებათ, რომ უდე-ვანოს ვიოლინო ენმ-ის როიალშია?

ლოიდ ოსტინი: „უკრაინისთვის გაწეული დახმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციაა!“

ხილული ჭინკები საქრისტიანოში

ჩვენი მიშა-გულივერი

უკვდავი კაშეი – ტრაილერმოხვედრილი ვადაგასული უთო გარეკილ I

„საკრთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

ვინ ნამლავს საქართველოს მოსახლეობას მასიურად?

ჟურნალისტად დაბადება და ჟურნალისტიკის კომა

როდესაც დონალდ ტრამპთან „ტრამპ-თაუერში“ არაფორმალურ შეხვედრაზე წამყვანი ამერიკული მედიის წარმომადგენლები მივიდნენ, ტრამპმა ისინი მიჭირხვნა; CNN-ის დირექტორს, ჯეფ ცუკერს უთხრა, რომ CNN-ში მატყუარები მსახურობენ და მას ისინი ეზიზღება. 40-მდე წამყვანი გამოცემის წარმომადგენელს ყველას ერთად „უღირსები“ უწოდა. NBCD და CBS-საც მოუწიათ მძაფრი კრიტიკის მოსმენამ. ტრამპის აგრესია ამერიკული მედიის მიერ მისი საარჩევნო კამპანიის არაობიექტური გაშუქებით იყო გამოწვეული. როგორც ტრამპის რეაქციიდან ჩანდა, აშშ-შიც გვარიანად სცოდავს მედია. ახლა საინტერესო ის არის, ჩვენ გადმოვიღეთ მუშაობის სტილი მათგან თუ პირიქით, იქით ასწავლეს „ჩვენებმა“?

უფროს თაობას კარგად ახსოვს, როგორი პატივსაცემი იყო ჟურნალისტის პროფესია, დიქტორი, გადაცემის წამყვანი. მკაცრი საბჭოთა ცენზურის ქვეშ მიმდინარეობდა ტელე-რადიო მაუწყებლობა, მაგრამ მსმენელსა და მაყურებელში გაღიზიანებას არ იწვევდა. შეხედავდი ეკრანზე ტელე-სახეებს და გესიამოვნებოდა მათი როგორც ხილვა, ისე მათი გამართული მეტყველება, ინტონაცია, დიქცია, მნიშვნელობა არ ჰქონდა სქესს — ჩაცმულობა აკადემიური, ვიზუალი — მაქსიმალურად დახვეწილი... იგივე ითქმის რადიოდიქტორებზე. დღეს? ერთი ხელის თითები საკმარისია იმ ჟურნალისტების ჩამოსათვლელად, ვინც ყველა ჟურნალისტიურ კრიტერიუმს აკმაყოფილებს.

ხალხს უყვარდა ჟურნალისტი, მასთან გამოლაპარაკება, მისი მოსმენა, რადგან ეიმედებოდა, ენდობოდა, მისი დარდისა თუ სიხარულის გამზიარებლად მიაჩნდა, ახლა კი გაურბიან, არ ენდობიან, აბეზარ და თავხედ მეტიკვნიტებად მიაჩნიათ. რესპონდენტს ეჭვი აქვს, რომ კამერების წინ მის ნათქვამს დაამახინჯებენ, კონტექსტიდან ამოაგდებენ და სრულიად სხვა რამეს გამოიყვანენ; ბეჭდურ მედიაში, რესპონდენტი მისივე ინტერვიუს წაკითხვას ითხოვს დაბეჭდვამდე, ეშინია, „რაიმე სისულელე არ გააპარონ“ და გასამართლებელი არ გაუხდეს შემდგომში თავი, მე ასე არ მითქვამსო.

2003-2004 წლებში ჯერ კიდევ უყვარდათ და პატივს სცემდნენ ჟურნალისტს, მაგრამ ეს ბოლო კუდის მოქნევა იყო. სწორედ მაშინდელმა „რუსთავი-2“-მა რომ დაიწყო უკადრებელი „60 წუთით“, რასაც მიჰყვა და მიჰყვა მისი მავნე ბუდიდან აფრენილი ჟურნალისტების დაფრთიან-გადაფრთიანება და სრულიად საქართველოს ტელესივრცეში გუგულის კვერცხებად ჩალაგება, დღემდე გრძელდება.

სამწუხაროა, რომ სავალალო მდგომარეობაა, მაგრამ ფაქტია, აბა, სინჯეთ — არ შეხედოთ ეკრანს, მეორე ოთახიდან მოუსმინეთ ჟურნალისტების მეტყველებას; ან ფურცელზე გადაიტანეთ სიტყვასიტყვით გადაცემის წამყვანის ტექსტი და მისი მეტყველების მიხედვით დასვით სასვენი ნიშნები, რას მიიღებთ, თვალნათლივ დაინახავთ; ან სულაც ხმა გამორთეთ და უცქირეთ, ვერაფრით მიხვდებით, რატომ იღებს გადაცემის თავმომწონე წამყვანი უცნაურ მიმიკებს, ან რატომ იქნევს ხელებს, რატომ დადის ან ჯდება და დგება, რის შესახებ შეიძლება საუბრობდეს... რატომ ებერება მავანს ყელის ძარღვები დახეთქვამდე, როდესაც სახე სრულებით არ გამოხატავს დაძაბულობას... რატომ იცინიან ერთმანეთში გადაცემის რამდენიმე წამყვანი და რატომ ზის დასჯილი ბავშვივით უტყვად გადაცემაში მიწვეული სტუმარი და რა დანიშნულება აქვს მას. თუ ხმასაც აუწევთ, აღმოჩნდება, რომ გადაცემის წამყვანებმა მიწვეულ პროფესიონალ სტუმარზე უკეთ იციან ყველაფერი იმ საკითხის შესახებ, რაზე სასაუბროდაც ის მიიწვიეს...



აგრესიული ან აგრესიულ-დამცინავი ტონი კიდევ ცალკე უბედურებაა...

რატომ და ვინ დააკანონა, რომ გადაცემის წამყვანი აგრესიული, უხეში, უტიფარი ან თავხედი უნდა იყოს, ანდა, სულაც, ყველაფერი ერთად? ვინ მოიგონა, რომ „კარგი ჟურნალისტი“ ის არის, ვინც პირში უვარდება რესპონდენტს და საუბარს არ აცდის, არ აინტერესებს, მისივე დასმულ შეკითხვაზე რას უპასუხებს? რატომ არის, რომ ტელევიზიები დაპყრობილი აქვთ არაპროფესიონალებს? ან რა სტილია, როცა რომელიმე კონკურსის მონაწილე, რადგან მაყურებელი სიმპათია დაიმსახურა, მაინცდამაინც რომელიმე გადაცემის წამყვანად უნდა გამწესდეს?

ძალიან ბევრმა ჟურნალისტმა დატოვა სამსახური სხვადასხვა დროს მოულოდნელად, მაგრამ არავინ ჩასძიებია, რა მოხდა? — არც რამეზე ასახულა და აღარც არავის ახსოვს. სხვათა შორის, სალომე გოგიაშვილი და დავით ქაცარავა ერთი ხელის მოსმით რომ გაათავისუფლეს დილის გადაცემიდან ელტონ ჯონის შესახებ ორი უწყინარი წინადადების თქმის გამო, რასაც ლგბტ დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციის პროტესტი მოჰყვა, კოლეგა ჟურნალისტებს სულაც არ წაუყრიათ თავზე ნაცარი და არც ქვეყანა დაქცეულა, მაგრამ ხალხი ამხნევებდა მათ და პიროვნული პატივისცემა დაიმსახურეს. პირიქით თუ ხდება, ვისი ბრალია, ბიძინა ივანიშვილის თუ იმავე ხალხის, ვის აზრსაც შეიძლება, ითვალისწინებდეს არხის ხელმძღვანელობაც და ბევრი სხვა ვინმეც, ვისთვისაც ფასეულია საზოგადოების აზრი.

თუ ვინმეს დამრიგებლობა უნდა და ამის გონებრივი გაქანებაც აქვს, ის ურჩიოს ამ გამოსერიალებულ ტელევიზიებსა და ორღობის ჭორიკანად გადაქცეულ მედიას, როგორ იქცეს ღირსეულ მედიად!

კი, მაგრამ, რატომ გლოვობს წინსწრებით ყველა რაღაც მედიას, როცა სანთლით საძებარია ცალკე — გაზეთის მკითხველი და ცალკე — რაიმეს მომცემი ტელემაუწყებლობა?

ე.წ. „კომუნისტურ ეპოქაში“ პრესასა და თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულის ინტერიერში ცალკე კუთხე იყო გამოყოფილი, ან კედლის გაზეთში მაინც იყო ადგილი სათაურით „ვინ გვარცხვენს?“ და მცირე ტექსტს ერთვოდა „შემარცხვენელის“ ფოტო. რა შეიძლებოდა ჩაედინა ადამიანს ისეთი სამარცხვინო, რომ ხალხში გამოსაჭენებლად გაემეტებინათ — რამდენიმე გაფრთხილების მიუხედავად სამსახურში დაგვიანება; უმიზეზო გაცდენები; კონფლიქტური სიტუაციების შექმნა შინ და გარეთ; დაკისრებული მოვალეობისადმი გულგრილი დამოკიდებულება და ა.შ.

„ახალ ეპოქაში“, უფრო ზუსტად, ე.წ. დასავლური, ცივილიზებული დემოკრატიის მშენებლობაში ჩართული საქართველოსთვის, როგორც ვხედავთ, ცნება „სირცხვილი“, ფაქტობრივად, წაიშალა. ამდენად, ვეღარავინ შეგვარცხვენს, თუ თვითონ არ რცხვენია სამარცხვინო საქციელის ჩამდენს. არ აქვს მნიშვნელობა, რა შინაარსს ატარებს ქმედება, ან რის შესახებ საუბრობს რომელიმე კონკრეტული ადამიანი, ის, რაც „ბნელ წარსულში“ სამარცხვინო იყო, დღეს ცივილურობად არის გადანათლული. ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, დღეს აღარავინ გვარცხვენს ძველი მიზეზებით და, შესაბამისად, წინ, დასავლური ღირებულებებისკენ მივიწევთ, თუმცა ზლაზვნით, რადგან ვერ გამოვდივართ „კომუნისტური, დაშტამპული აზროვნებიდან“. არადა, რეალურად, ეს ის „შტამპია“, რაც ვერანაირად ვერ იქნება „კომუნისტური“ — ეროვნული ღირებულებები, ადათ-წესები, ტრადიციები, მარტივად რომ ვთქვათ, ქართველობა, რაც ყველაფერს თავის თავშივე მოიცავს, ამ ერთ სიტყვაში...

სირცხვილი, როგორც უკიდურესი ჩამორჩენილობის გრძნობა, ისე გადააგდეს ზოგიერთებმა, რომ უკიდეგანო უსირცხვილობაში გადავარდნენ. ამდენად, გასაოცარი, ალბათ, არ უნდა იყოს, რომ ამჯერად ხალხმა თვითონ დასვა კითხვა: „ვინ გვწამლავს?“ და თავადვე გასცა პასუხი: „ეს უსირცხვილოები!“ „უსირცხვილოები“ კი, კვლავ არავისდა გასაოცრად, ჟურნალისტები აღმოჩდნენ. ხალხის აზრი მთლიანობაში ამგვარად ჩამოყალიბდა — საკუთარი თავის პატივისცემა და მცირედენი გარჯა თუ არ დაიზარა ადამიანმა, ეკოლოგიურად სუფთა პურსაც მიირთმევს ეკოლოგიურად სუფთა საკვებთან ერთად, ზედ სუფთა წყალსაც დააყოლებს და იქნება ჯანმრთელად გამოკვებილი, მაგრამ ტვინს რა ეშველება, ტვინს, რომელსაც გამუდმებით უწამლავენ მედიასაშუალებები სხვადასხვა ფორმით?

ცივილიზაციამ მოიტანა მაუწყებლობის ყველა საშუალება და თუ ამ ცივილიზაციის წევრია ადამიანი, შეუძლებელია ყოველმხრივ მოწყდეს სამყაროს, არ

მოისმინოს ის და უყუროს იმას, რასაც ყოველდღიურად უბეჭდავენ ტვინში, რასაც მასიურად გამოტვინება მოსდევს...

ზოგადად, ქართულ მედიასივრცეს პატრონი არ ჰყავს! უფრო ზუსტად კი, სწორედაც რომ ჰყავს პატრონი, ოღონდ, უხილავი, ისეთი, რომელმაც უპატრონოდ და უზნეოდ აქცია...

მავანს რა აქვს ჩაფიქრებული, მნიშვნელობა არ აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ „გამოუტვინებელ საზოგადოებაში“ აღმაშფოთებლად მკაცრი რეაქცია სდევს ჟურნალისტ-პროპაგანდისტების, დატრენინგებული „ნაცჟურნალისტური დესანტის“ გამოჩენას, მათ ჩვეულ, დემაგოგიურ საუბრებს დაყენებული ტონით, მიმიკებითა და უძარღვო შუბლით — მათ კარგად იცნობს საქართველო. მათი უმრავლესობა ის ჟურნალისტები არიან, რომლებმაც „საპნის ჟურნალისტიკა“ დაამკვიდრეს, „ჟურნალისტურ თავზე“ ხელი აიღეს და აგიტატორ-დეზინფორმატორებად ჩაეწერნენ ნაც-ამქარში; ეს ის ჟურნალისტები არიან, რომელთაგან, მიზეზთა გამო, ზოგმა დროებით ფერი იცვალა; ზოგი — ისევ ძველ ამპლუაშია ახალი შეფუთვით; ზოგი — სად შეძვრა და ზოგი — რომელ ჩირგვს ამოეფარა; ეს ის ჟურნალისტები არიან, რომელთაც საფუძველი ჩაუყარეს ნამდვილი ჟურნალისტიკის სიკვდილს და იმ ტაკიმასხარაობად აქციეს, რასაც დღეს ვხედავთ ყველა მედია-საშუალებაში; ეს ის ჟურნალისტები არიან, რომლებიც არა მხოლოდ 9 წლის განმავლობაში „აპრავებდნენ“ სააკაშვილის სისხლიან რეჟიმს, არამედ თვითონ მონაწილეობდნენ იმ რეჟიმის შექმნაში პირდაპირი ჩართვით, ღიად, საქვეყნოდ, ჟურნალისტურ საქმიანობას ამოფარებულები; ეს ის შუბლისძაღვგაწყეტილი ჟურნალისტები არიან, რომელთათვისაც დღემდე არ ჩაუძახია სინდისის ხმას, რომ პირი გააღონ და თქვან სიმართლე და მხოლოდ სიმართლე, რა შავ საქმეებს სჩადიოდნენ და ვისი მითითებებით; ეს ის ჟურნალისტები არიან, რომლებსაც ღვარად სდიოდათ ნიანგის ცრემლები, როცა მათი კოლეგები მიახვრიტეს (დღემდე გამოუძიებელია ეს საქმეები). მათი მხრების აჩეჩვა, სავარაუდოდ, ვინ შეიძლებოდა დაინტერესული ყოფილიყო რომელიმე კონკრეტული კოლეგა-ჟურნალისტის მკვლელობით, რა მოტივითა თუ მიზეზით, მხოლოდ ერთს ნიშნავს — რატომ უნდა დავირღვიო აწყობილი მდგომარეობა, მე ხომ ძალიან კარგად ვარ? ეს ის ჟურნალისტები არიან, რომლებიც აბსოლუტურად აუღელვებლად ასაღებდნენ (საჭიროების შემთხვევაში, წარსულიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, კვლავაც გაასაღებენ) შავს თეთრად და პირიქით; ეს ის ჟურნალისტები არიან, რომლებიც წარსულიდან მომდინარე დავალებულები არიან გარკველ პირთა ან პირთა ჯგუფის წინაშე და, უბრალოდ, „სხვაგვარად არ ძალუძთ“, სადაც იდგნენ, მუდამ იქ უნდა დადგნენ!

აი, ეს ადამიანები ქადაგებენ, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტიკა, ჟურნალისტი და მედიასტანდარტი.

არადა, ისე ტკბილად ჟღურტულებენ, ისე ალალად საუბრობენ, ისეთი წრფელი გამოხედვა აქვთ, ისე კარგად იციან, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტიკა...

„თუ მაყურებელი იქნება უფრო მეტად კრიტიკული, ოღონდ ჯანსაღად კრიტიკული; იქნება უფრო მეტად მომთხოვნი და, ამავე დროს, მედიაწიგნიერი, ის ლოგიკურად მიიღებს უკეთეს ჟურნალისტიკას!“ — მოგვაძახა ერთხელ ერთმა უწიგნურმა ჟურნალისტმა და ეკრანიდან გაგვიღიმა. მარტივად რომ ვთქვათ, მედიაუწიგნური მაყურებელი რასაც ითხოვს, ის არის ქართული მედიაც და ტყუილად ნუ შარობთო!

მაშასადამე, ქართველი მაყურებლის მოთხოვნა ყოფილა, რომ მედიამ (ყველა სახის) მიაწოდოს დეზინფორმაცია; გამუდმებით ხდებოდეს ტყუილის ტირაჟირება; შეხედულებისამებრ ან დაკვეთით ლაფში ამოსვარონ ცალკეული ადამიანები ან პირთა ჯგუფი; ღია ეთერში ერთმანეთი აგინებინონ (ზოგჯერ, გაალახინონ კიდეც) მიწვეულ სტუმრებს; ჩაატარონ პროპაგანდა-აგიტაციები სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის აუცილებლად სექსუალურ გადახრებზე და თვალსაჩინოებისთვის სტუდიაშიც შეძლებისდაგვარად გამოსახონ; პირდაპირი ეთერით აჩვენონ იმიტირებული ონანიზმი და სხვა სექსუალური ქმედებები და ა.შ. რასაც პირიქით, მაყურებლის მხრიდან ლანძღვა-გინება მოსდევს... სოციალურ ქსელში ისეთი ვიდეოკადრები დაიდო ამ დროისთვის მიმდინარე ერთ-ერთი შოუდან, მსგავსი უხამსობა იშვიათია...

მცირე ხნის წინ ერთი კი ითქვა და შემდეგ ვიღაცის მითითებით აღარ „ააქოთეს“ ისედაც აქოთებული ტელესივრცე, „დახვრეტას გვიპირებთ ჟურნალისტებსო?“ უდავოდ ჭკვიანი პატრონები ჰყავს უპატრონო ქართულ მედიას, გათვალეს, რომ ამ თემის განვრცობა მათსავე „დესანტს“ გააცამტვერებდა და ყურსმიღმა გატარდა ქალბატონის ირონიულ-სარკასტული წამოკივლებაც.

კითხვა, გარკვეულ კონტექსტში, ტაილანდის სამხედრო ხუნტის ხელმძღვანელის პრაიუტ ჩან-ოჩას ნათქვამის გამეორებას მოჰყვა. სანამ იგი სამხედრო გადატრიალების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდოდა, ამბობდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ნებისმიერ იმ მედია-საშუალებას დახურავდა, რომელიც სიმართლეს არ ამბობდა, ანუ სიცრუეს ავრცელებდა. „არ არის აუცილებელი, ხელისუფლების მხარეს იყოთ, თქვენ სიმართლის მხარეს უნდა იყოთ,“ — ასე განუმარტა მან ჟურნალისტებს ჟურნალისტიკის დანიშნულება, ხოლო როდესაც ჩაეძიენ, რას მოიმოქმედებდა ქვეყნის ხელისუფლება იმ ჟურნალისტების წინააღმდეგ, ვინც სიმართლეს არ იტყოდა, ანუ სიცრუის ტირაჟირებას განაგრძობდა, გენერალმა მოკლედ უპასუხა: „უბრალოდ, სიკვდილით დავსჯით!“

სხვათა შორის, ცნობილი ამბავია — ფაშისტურ გერმანიაში გამოდიოდა გაზეთი „დერ შტურმერ“ იულის შტრაიხერის რედაქტორობით. კონკრეტულად შტრაიხერს არასდროს და არავინ დაუხვრეტია; არც დახვრეტის ბრძანების გამცემთა სიაში იყო; არც არანაირ სამხედრო მოქმედებებში ჩარეულა არასდროს და არც ვინმე აუწიოკებია, იჯდა კაცი თავისთვის, მშვიდად, თავისი რედაქციის კაბინეტში და უშვებდა გაზეთს, არადა, ნიურნბერგის პროცესზე ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანის მიზეზი მხოლოდ ერთი იყო — „ფაშისტური რეჟიმის „გაპრავება“!

შტრაიხერის ადვოკატმა კლიენტის დაცვა მის შეურაცხადობაზე ააგო. საბრალდებო დასკვნაში ჩაიწერა, რომ ბრალდებული ნამდვილად იყო შეპყრობილი ფიურერის თაყვანისცემის აკვიატებული იდეით, მაგრამ სწორედ ამიტომ არ შეიძლებოდა, მისი ავადმყოფური ფსიქიკა გამხდარიყო შეწყალების საფუძველი!

როგორც სასჯელის აღმასრულებელი იხსენებდა, ჩამოხრჩობისას, თავზე ტომარაჩამოცმული შტრაიხერი, უბრალოდ, ერთი გაზეთის უწყინარი რედაქტორი, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მხარს უჭერდა ქვეყნის ფაშისტურ მმართველობას, სიკვდილის დადგომის ბოლო წამამდე გაიძახოდა: „ჰაილ, ჰიტლერ!“

არავის უნდა ნებისმიერი ადამიანის სიკვდილით დასჯა და არც „სამარცხვინო ბოძზე“ გაკვრა, მაგრამ როდესაც ცნება „სირცხვილი“ გამიზნულად მოსპეს, მასმედია კი ხილულ დამნაშავედ ადგას თავზე სრულიად საქართველოს, იმის შიში, რომ ვიღაც საიდანღაც დატუქსავს ხელისუფლებას, სწორედაც რომ სამარცხვინოა.

ჟურნალისტის წოდება არ ათავისუფლებს ჟურნალისტს დანაშაულის სიმძიმისგან!

საინტერესოა, როდესაც საკუთარი ქვეყნისა და ხალხის წინააღმდეგ პროპაგანდა-აგიტაცია-დეზინფორმაციულ ნაზავზე აგებს საკუთარ ჟურნალისტურ კარიერას ჟურნალისტი, ელემენტარული პასუხი მაინც არ უნდა მოეთხოვოს მას და მის უშუალო ხელმძღვანელობას?

მეორე მსოფლიო ომის დროს ლონდონის „სამხედრო დანაშაულის გამომძიებელი კომისიის“ შტაბებში ინახებოდა ჩამონათვალი, რომელშიც მილიონამდე გვარი იყო იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვადასხვა ფორმით და დოზით მხარს უჭერდნენ ფაშისტური გერმანიის რეჟიმს, მათ შორის შთამბეჭდავი რაოდენობით იყვნენ ჟურნალისტები. მათი საერთო რიცხვი ინგლისის ოკუპირებულ ზონაში შეადგენდა 90 000-ს, ამერიკულში — 100 000-ზე მეტს...

საზოგადოების მოთხოვნა, გაიფილტროს ქართული მედიასივრცე და რეაქცია ქართული მედიის კონკრეტული წარმომადგენლებისა და კონკრეტული სატელევიზიო გადაცემების მიმართ, ბუნებრივია, რადგან სირცხვილის გრძნობის დაკარგვამ აბსულუტურად შიშვლად წარმოაჩინა ყველა „შტრაიხერი“!

სხვა, უკეთესი შედარება რაღა უნდა მოიყვანო მაგალითად, როცა სააკაშვილის სისხლიანი რეჟიმის დამნაშავეებს თვით სააკაშვილის მეთაურობით, დღემდე ფეხსაცმლის ჭვინტს ულოკენ ჟურნალისტები და ყველანაირ ამქვეყნიურ სამარეში მიჰყვებიან.

ზოგადად კი საინტერესოა, რაში მდგომარეობს ე.წ. ჟურნალისტთა ერთი (ანუ, ფაქტობრივად დაპყრობილი მედიასივრცის) ნაწილის მიერ „ნაცდამნაშავეებისადმი“ გამოხატული სიყვარული?

ანგარება? — დასჯადი უნდა იყოს!

სისხლიანი რეჟიმის აკვიატებული თაყვანისცემა? — აკრძალული უნდა იყოს! ავადმყოფი ფსიქიკის ადამიანს არ უნდა შეეძლოს სხვა ადამიანებზე ზეგავლენის მოხდენა!

არადა, უმარტივესია — ჟურნალისტს მხოლოდ ის მოეთხოვება, რომ ობიექტურად გააშუქოს მიმდინარე მოვლენები; არ დაამახინჯოს ინფორმაცია და ა.შ. რაც შეეხება მხარეს, მხოლოდ სიმართლის მხარეს უნდა იყოს! ხოლო თუ ეს არ შეუძლია მიზეზთა გამო, სხვა საქმით დაკავდეს, დაუბრუნდეს მშობლიურ კერას რომელიმე რაიონში და მოიყვანოს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი, ბოლო-ბოლო, შვილები მაინც გაზარდოს ჯანმრთელ ადამიანებად!

სწორედ გამრუდებული ფსიქიკის მქონე ჟურნალისტების მეშვეობით მოდის კოკისპირულად მედიიდან სიცრუე, სიმახინჯე, გარყვნილება, ადამიანების ერთმანეთზე წაკიდება-დაპირისპირება, ყოველივე მშობლიურის მასხრად აგდება და ქვეყნის წარსულის, აწმყოსა თუ მომავლის მაქსიმალურად დაკნინება-წაშლა...

სიცრუე, სიცრუე და სიცრუე!

სწორედ ამიტომ ჰგონიათ ქართველ ემიგრანტებს, რომ მიშას დროს საქართველო ჰყვაოდა, ახლა კი იქცევა; მიშას დროს ქვეყანაში გამალებული შენება მიმდინარეობდა, ახლა კი — ყველაფერი გაჩერებულია; მიშას დროს წინ მივდიოდით, ახლა კი გამოქვაბულისკენ ვქენით პირი... უცხოეთში ლუკმაპურის მოსაპოვებელი თანხის საძიებლად გადახვეწილებს კი არა, უკვე ადგილზე მყოფებსაც კი შეეპარათ ეჭვი, ლამაზად გაფენილ მახეში შეჰყვეს ნახევარი თავი, მართლა ასე ხომ არ არის და ვერ ვამჩნევთო?

გაცვეთილი ფრაზა „ჟურნალისტს სქესი არ აქვს“, ხალხმა გადააკეთა და ახლა, სქესთან ერთად, „ჟურნალისტს ნამუსიც არ აქვს!..“

P.S. ***მახსოვს, წლების უკან, ბაქოში გენერალური პროკურატურის თანამშრომლები რადიოსადგურ „თავისუფლების“ ოფისში შევიდნენ და თავდაყირა დააყენეს იქურობა, რადიოს თანამშრომლებს საკუთარ კომპიუტერებთან მიახლოებაც კი აუკრძალეს. ოფისი დალუქეს, ბიუროს თანამშრომლებს კი ოფისის დატოვება და მუშაობის შეწყვეტა მოსთხოვეს. მიზეზი მხოლოდ ერთი იყო — ის უცხოეთიდან ფინანსდებოდა!..***

ნინო დაუშვილი

„ნაცმოძრაობის“ დაშლა ახლოვდება

მიშა დემოკრატიის კი არა, რადიკალიზმის, დესტრუქციის, წამების, ქვეყნის ნგრევის შუქურა იყო

გვესაუბრება მწერალი მერაბ შათირიშვილი:

— ბატონო მერაბ, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ დასკვნის თანახმად, სააკაშვილი სასჯელისგან უნდა გათავისუფლდეს და სასწრაფოდ სამკურნალოდ იქნას გადაყვანილი. იზიარებთ ამ მოსაზრებას?

— დასკვნა იმ სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელობამ უნდა დადოს, სადაც სააკაშვილი მკურნალობს. მიკერძოებული მხარის მიერ დადებული დასკვნა, რა თქმა უნდა, ნაკლებ დამაჯერებელია. „ნაცები“ იტყვიან: საზღვარგარეთ წავიყვანოთ, არიქა, კვდებაო, სხვას მათგან რას უნდა ველოდოთ. მიშას ციხიდან გაყვანის სურვილი იმდენად დიდია, თავად პარტიაც ამ საკითხით არის დაკავებული. „ნაცმოძრაობაში“ აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა. უფრო ზუსტად, პარტიის ქმედებებს სააკაშვილის დედა — გიული ალასანია ემიჯნება. სამ დეკემბერს ნაცებმა მიშას ციხიდან დახსნის მოტივით „ქართული ოცნების“ ოფისთან აქცია გამართეს, რასაც გიული ალასანია არ შეუერთდა. ეს ნიშანდობლივია. მან განაცხადა: სად მცალია აქციისთვისო! ე.ი. მიშას ოჯახი პარტიის გარკვეულ ქმედებებს ემიჯნება. პარალელურად, „ნაცმოძრაობაში“ დიდი გაურკვევლობა და განხეთქილებაა. ელემენტარულად იმაზეც ვერ თანხმდებიან — ჯერ მიშა გაათავისუფლონ თუ შიდა ვადამდელი არჩევნები ჩაატარონ. შიდა განხეთქილების ფონზე ერთი ფრთა ცდილობს, პარტიის ლიდერად, ბელადად ისევ მიშა დააბრუნოს. თუმცა, მელიას სააკაშვილზე არანაკლები ამბიციები აქვს. მართალია, მელია პრეზიდენტი არ ყოფილა, მაგრამ რით სჯობნის მიშა? — არაფრით, ხომ. მელიას პოპულარობა, ზენიტში ასვლა სააკაშვილისთვის მიუღებელია. მას უცებ დაბრალდა, რომ მიშას ციხიდან გამოხსნას საკმარისად არ ეცადა, მიტინგები დაშალა, ხალხი სახლში გაუშვა. შედეგად, დიაგნოზიც დაისვა — თანამდებობისთვის შეუფერებელი. „ნაცმოძრაობაში“ არეულობა სწორედ იმ ინერტულობას უკავშირდება, რასაც პარტიის მიმართ სააკაშვილის ოჯახი იჩენს. დააკვირდით მიშას შვილის — ედუარდ სააკაშვილის განცხადებებს იმის თაობაზე, რომ მამამისის ჯანმრთელობით თავად „ნაცმოძრაობა“ სპეკულირებს. ექიმები, რომლებიც მხარეს წარმოადგენენ, ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მას ისეთი დაავადებები სჭირს, სასწრაფოდ საზღვარგარეთ არის გადასაყვანი. ეს თუ მოხდება, მერწმუნეთ: „ნაცმოძრაობა“ უკვე ისედაც დასრულებულია და ეს პროცესი კიდევ მეტად დაჩქარდება. ეს გეგმა არსებობს — ნაცების პოლიტიკური ცხოვრება უნდა დასრულდეს. სააკაშვილის საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანა „ნაციონალური მოძრაობის“ დასრულების პროცესს დააჩქარებს.

— პარტია თუ დასრულდა, აბა, ხაბეიშვილი ვის თავმჯდომარეობას აპირებს?

— ხაბეიშვილი არ გახლავთ პოლიტიკური ფიგურა. იგი „ნაცმოძრაობაში“ გამოიჩეკა, თუმცა როგორც პოლიტიკოსი და პიროვნება, ჩემთვის არაფერს წარმოადგენს. ჩემთვის ეს პარტია, ვინც უნდა იყოს თავმჯდომარე, ყოვლად მიუღებელია. თუმცა ხაბეიშვილს ავტორიტეტითაც, ქარიზმითაც მელია ჯიბეში ჩაისვამს. ვიცით, რომ მან გლდანში არჩევნები მოიგო, მამამისმაც პირველ ტურში ლამის გამარჯვება მოიპოვა. ანზორ მელია ეროვნულ მოძრაობასთან ასოცირდება. მავანს არ სურს, რომ „ნაცმოძრაობა“ მელიასთან ასოცირდებოდეს. ის მხოლოდ მიშას სახელს უნდა უკავშირდებოდეს. მიიჩნევენ, რომ სწორედ ხაბეიშვილი ასოცირდება მიშასთან რადგან მის იქით ეს პიროვნება დაკარგულია. მელიას პარტიის ხელმძღვანელობის და არჩევნებში წარმატებების მიღწევის ფონზე იმდენი ამბიცია დაუგროვდა, რომ, ალბათ, პოლიტიკიდან არ წავა და „ნაცმოძრაობის“ ელექტორატისგან ახალ ძალას შექმნის. ჩვენ ამის პრეცედენტი უკვე ვნახეთ, როცა გარკვეული პირები „ნაციონალურ მოძრაობას“ გაემიჯნენ და ახალი პარტია „ევროპული საქართველო“ დააარსეს. ანალოგიურად მოიქცევა მელია, რაც პარტიის დაშლის პრეცედენტი იქნება. მიშას ერთი სული აქვს, საზღვარგარეთ გაიქცეს. მისი პოლიტიკური ძალა ხაბეიშვილის დონეზე დარჩება. სააკაშვილმა ერთხელ უკვე მოსინჯა, „ნაცმოძრაობა“ მკვდრეთით აღედგინა. თუმცა დარწმუნდა, რომ ეს შეუძლებელია. მას იმდენი ჭკუა აქვს, რომ მეორედ პარტიის მკვდრეთით აღდგენას აღარ შეეცდება. მან იცის, რომ „ნაცმოძრაობა“ ვეღარ გაცოცხლდება. ეს მცდელობა ციხეში თავის ამოყოფად დაუჯდა. მან ვერ მოახერხა ძალების სათანადოდ მობილიზება. შედეგად, მისი გეგმები ვერ განხორციელდა. მიშა საზღვარგარეთ თუ გაძვრა, არ მგონია, უკან მოტრიალდეს და ამ პოლიტიკურ ძალას სათავეში ჩაუდგეს. ეს არის აბსურდი, არაფერი გამოუვა. ხაბეიშვილის იმედად დარჩენილი „ნაცმოძრაობა“, როგორ ფიქრობთ, ისევ პარტია იქნება?! „ნაცმოძრაობის“ დაშლის უპრეცედენტო ფინალი ახლოვდება. უკვე დაშლილია, მაგრამ ხვალზეგ ეს ოფიციალურად გაფორმდება. ბევრი საუბარი მიდის იმის თაობაზე, რომ ხაბეიშვილის უკან ვიღაც დგას — სახელდება კეზერაშვილი და მერაბიშვილი. ჩემი აზრით, ხაბეიშვილი არ გახლავთ ის ფიგურა, ვის გამოც პარტიაში ფული ჩაიდება. კეზერაშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა მილიარდერი დამფინანსებლები ხაბეიშვილში თანხას არ ჩადებენ.

— საუბრობენ, რომ ხაბეიშვილზე არჩევანი რადიკალიზმის გამო გაკეთდა, რაც მელიას დაუწუნეს. არის დღეს საზოგადოებაში ეს დაკვეთა?

— რადიკალიზმი საქართველოში აღარ გაჭრის. 90-იანი წლების მერე კარგად ვნახეთ, რა მოგვიტანა რადიკალიზმმა — არჩევნების გზით არჩეული კანონიერი ხელისუფლება დავამხეთ, დაიღვარა სისხლი, რუსთაველის გამზირი გადაიწვა და ქვეყნიდან განიდევნა კანონიერი პრეზიდენტი. ეს შეცდომა იყო. ადამიანმა შეიძლება დაუშვას ერთი და იგივე შეცდომა, რადგან სუსტი არსებაა. მაგრამ ერი ერთი და იგივე შეცდომას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. ერები, რომელთაც მსგავსი რამ ჩაიდინეს, პირისაგან მიწისა აღიგავნენ და რუკიდან საერთოდ გაქრნენ. ამიტომ რადიკალიზმი გამორიცხულია. ეს არ არის საზოგადოების დაკვეთა. მეორეც, მელიას კი აბრალებენ, „ნაცმოძრაობა“ „ნაცუძრაობად“ გადააქციეო, მაგრამ მის რადიკალიზმთან ხაბეიშვილი ახლოსაც ვერ მივა. მესამე, რადიკალიზმის ყველაზე დიდი გამოვლინება თავად მიხეილ სააკაშვილი იყო. დიახ, მიშა დემოკრატიის კი არა, რადიკალიზმის, დესტრუქციის, წამების, ქვეყნის ნგრევის შუქურა იყო. დაგეგმილი იყო, რომ მის ჩამოსვლას უნდა მოჰყოლოდა რადიკალიზმიც, ნგრევაც, ომიც და ათასი უბედურებაც, მაგრამ იგი ციხეში აღმოჩნდა. დიახ, სიტუაციის უკიდურესად დაძაბვა ჩაფიქრებული იყო, თუმცა მიხვდნენ, რომ ვერაფერს გახდებოდნენ. „ნაცმოძრაობამ“, მისი ბელადის მეთაურობით, რადიკალიზმის ყველა პიკი გაიარა. თუ ნაცები კიდევ შეეცდებიან არეულობის, დესტაბილიზაციის მოწყობას, პირადად მოვუწოდებ ხელისუფლებას, რომ რადიკალიზმი კანონის ფარგლებში აღგავონ და დასაჭერი დაიჭირონ! წინააღმდეგ შემთხვევაში, რადიკალიზმს, იცით, რა მოჰყვება? — ხალხი ქუჩაში გამოვარდება და ნაცებმა შეიძლება ვეღარ გაასწრონ.

— ოპოზიცია პრეზიდენტისგან სააკაშვილის შეწყალებას ითხოვს...

— ერთმა ახლობელმა მკითხა: მიშა ციხიდან რომ გამოუშვან, რა მოხდებაო. ვუპასუხე: მისთვის იქნება უარესი-მეთქი. პრეზიდენტს ამ ეტაპზე მისი შეწყალება არ შეუძლია, რადგან გამოძიება მიმდინარეობს. სააკაშვილი ზურაბიშვილმა რომ შეიწყალოს და მიშამ თბილისის ქუჩებში თავისუფლად ნავარდი დაიწყოს, იგი უამრავი ოჯახგანადგურებული ადამიანისთვის. 2003 წლიდან 2012 წლამდე არსებულ სააკაშვილად გადაიქცევა და გაფიქრებაც არ მინდა, რა მოხდება. ხელისუფლება ამას ვეღარ გააკონტროლებს. მერე მართლა გამოვა ქუჩაში ის ხალხი, ვინც მიშა 2012 წელს პოლიტიკური არენიდან მიაბრძანა. შეიძლება მაშინდელივით 62% არ გამოვიდეს, მაგრამ 20-30%-იც საკმარისი იქნება, რომ სააკაშვილს კუდით ქვა ასროლინონ. ამიტომ ამას აზრი არ აქვს. ნაცებს ყველა პოლიტიკური ბრძოლა აპრიორი წაგებული აქვთ. ცნობილია, რომ არჩევნებზე ამომრჩევლის 51% ცხადდება, 49% კი — სახლში რჩება. არავინ იცის, რადიკალიზმის შემთხვევაში როგორ შემოუტრიალდება ნაცებს ეს 49% და რას მოიმოქმედებს. ცალკე საკითხია, რომ ამ ხალხს ხელი აქვს ჩაქნეული როგორც ხელისუფლებაზე, ისე ოპოზიციაზეც. მაგრამ როგორც კი დესტრუქციულ ქმედებებს და სამოქალაქო ომის საშიშროებას დაინახავს, არავინ იცის, ხალხის ეს 49% რა ტალღად გადაიქცევა.

— ზოგადად, რამდენად ემხრობით სააკაშვილის სასჯელისგან გათავისუფლებას, ან თუნდაც მისთვის სასჯელის გადავადებას?

— ზოგადად, თუ პატიმარს მძიმე დაავადება აქვს, რაც შესაძლოა, მალე ლეტალურად დასრულდეს, მაშინ ათავისუფლებენ. არ მგონია, სააკაშვილს მსგავსი რამ სჭირდეს. ასე რომ, მიშას დაავადებების გამო გათავისუფლება გამორიცხულია. მის შემთხვევაში ლეტალობის პრეცედენტი არ ჩანს. მინდა გითხრათ, რომ მიშა პოლიტიკიდან უკვე წასულია. იცით, რატომ? — ადამიანი, რომელიც მართლა პოლიტიკოსია, ნებისმიერ დაავადებას ფეხებზე დაიკიდებდა და ბოლო წუთამდე იბრძოლებდა. სააკაშვილმა ავადმყოფობის მანტია ისე მოირგო, რომ პოლიტიკოსობის არცერთი პროცენტი აღარ დაიტოვა. სინამდვილეში, მიშამ ავადმყოფის როლს ასრულებს და გაიძახის: სამკურნალოვარ, საზღვარგარეთ გამიშვითო. მეორე დღეს რომ შემოტრიალდეს და თქვას: დასავლეთიდან ზეწოლა იყო, იძულებული გახდით, გაგეშვით და ახლა დედას გიტირებთო, როგორც პოლიტიკოსი, საერთოდ დასამარდება. ოღონდ ციხიდან დაიხსნას თავი და ავადმყოფობაც კი დაიბრალა, ქართული პოლიტიკა უკვე სულ ფეხებზე ჰკიდია. თუმცა, ვიმეორებ, უცხოეთში რომ „მოაყოჩაღებენ“, მერე როგორ შემოგვიბრუნდება, არავინ იცის.

— გამოდის, სააკაშვილის ციხეში მოხვედრამ გამოაჩინა, რომ იგი სუსტი ლიდერია?

— რა თქმა უნდა, ასეა. როცა პოლიტიკოსობაზე გაქვს პრეტენზია, რომც კვდებოდე, ბოლომდე პოლიტიკოსად უნდა დარჩე. სააკაშვილში ხედავთ პოლიტიკოსს?! იგი ამბობს, რომ ავადმყოფი პატიმარია, რომელსაც საზღვარგარეთ სამკურნალოდ წასვლა უნდა.

— ევროსაბჭოს რეზოლუციით სააკაშვილი პოლიტპატიმარია და უნდა გათავისუფლდეს. რა მიზანი აქვს ამას?

— ეს მხოლოდ ერთ რამეს ემსახურება — მათ სურთ საქართველოში მუდმივად პოლიტიკური ქაოსი იყოს. დიახ, დასავლეთს არ აწყობს აქ სიმშვიდე, დეპოლარიზაციისკენ მოგვიწოდებენ და ამ დროს ყველანაირად ცდილობენ, პოლარიზაციას თავად შეუწყონ ხელი. ამის აშკარა მაგალითია ის,

გვ. 6 →

ნაცების სახით ოპოზიციაში კლინიკური გიჟები გვყავს

მელიამ მიშა ციხიდან ვერ დაიხსნა, რაც სააკაშვილის ზომბებისთვის საკმარისი მიზეზია ის სძულდეთ

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ისტორიკოსი
სოსო მანჯავიძე:

— სოსო, რა წარმოდგენები იმართება დღეს პოლიტიკურ ავანსცენაზე და როგორი თეატრალური დასი გვყავს?

— პოლიტიკა, გარკვეულწილად, თეატრს ჰგავს. გასაგებია, რომ თეატრი თავად გამოხატავს, კონცენტრირებული სახით, რეალობას. ჩვენი თეატრალური დასი უნიჭობის აპოთეოზია. პრობლემა ის გახლავთ, რომ მუდმივად განმეორებად უნიჭო სპექტაკლებზე ბედკრულ ქართულ საზოგადოებას დასწრება იძულებით უწევს. ის, რაც დღეს ჩვენთან ხდება ძალიან ჰგავს ენტონი ბერჯესის ცნობილ რომანს — „მექანიკური ფორთოხალი“, რომლის ეკრანიზაცია რეჟისორმა სტენლი კუბრიკმა გადაიღო. რომანის ეკრანიზაცია საკმაოდ წარმატებული გამოდგა. „მექანიკური ფორთოხალის“ სიუჟეტი ჩვენს რეალობას ძალიან ჰგავს. არასრულწლოვანი სადისტი ალეკსი სიამოვნებას ვიღაცის მოკვლით, ცემით, გაუპატიურებით ღებულობს. მისი კიდევ ერთი გატაცება კლასიკური მუსიკაა — ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონია. ალეკსი ციხეში ხვდება. მის გამოსწორებაზე სახელმწიფო იწყებს ზრუნვას და მოძალადის წინააღმდეგ მუსიკას იყენებს, რაც მას ძალიან უყვარს. დიახ, მოძალადის აღზრდა მუდმივად განმეორებადი ბეთჰოვენის მუსიკითა და ძალადობის სცენების გახსენებით, ყურებით ხდება. აქაც იგივე ხდება, ოღონდ, ბეთჰოვენის ნაცვლად, „ნაცმოძრაობის“ შესრულებით, ამ ბაქანალიას გვასმენინებენ და გვაყურებინებენ. ნაცების ტირაჟირება მუდმივად ტელევიზიების მეშვეობით ხდება. ამ ყველაფერს კიდევ ჯოჯოხეთის პლასტებს შევადარებდი. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ჯოჯოხეთი მაღლა ამოვიდა, ახალი პლასტი შეიქმნა, სადაც მარადიული ინგა გრიგოლია და მისი კლონები მუდმივად არიან წარმოდგენილი. ამ კინოთეატრში საქართველოს მოქალაქეები წლების განმავლობაში იძულებით დადიან.

ახლა კიდევ მიშას ახალი ეპოპეის მომსწრე ვართ. ჯერ მისი პრეზიდენტობა რად ღირს — საოცარი წარმოდგენები და აბსურდები ვიხილეთ, რაც კონკრეტული ადამიანებისა და მთელი ერის ტრაგედიით დამთავრდა. მერე იყო მისი თავგადასავლები უკრაინაში და ბოლოს საოცარი დაბრუნება, რაც დაპატიმრებით დასრულდა. ხალხმა იფიქრა, ახლა მაინც მოეღო ბოლო ამ ბაქანალიასო, მაგრამ ასე როდი მოხდა. პირიქით, უნიჭო სპექტაკლის ახალი ეტაპი — მისი ფსევდოშიმშილობა დაიწყო, რაზეც მიტროპოლიტმა ნიკოლოზ ფაჩუაშვილმა განაცხადა, რომ მიშა ორმოცი დღე მშრალ მარხვაზე იმყოფებოდა. აღარაფერს ვამბობ „ემპათიისა“ და ადვოკატ-მარაზმატიკების ტყუილებზე, თითქოს სააკაშვილი მოწამლულია, 36 დაავადება სჭირს, თვალსა და ხელს შუა ილევა და ა.შ. რეალურად, უცხოელმა ფსიქიატრებმა დაასკვნეს, რომ მიშას ციხეში ყოფნა არ უნდა, ამას ვერ ეგუება. აქედან გამომდინარე, კარგად არ გამოიუყურება და გადაყვანილია კარცერ-ლუქსში, სადაც ვისაც უნდა, შედის და გამოდის. მას მკურნალობენ უცხოელი ექსპერტები, მოსანახულებლად დადიან თაყვანისმცემლები, მრავალრიცხოვანი ცოლები, თავს დასტრიალებენ პოლიტიკური ლიდერები, მაგრამ ის ამ ყველაფერს მაინც ვერ ეგუება. ეს ბოდვა, საოცარი სიგიჟე, რამაც ქვეყანა მოიცვა, ისევ ჩვენი ბრალია. მიშას რომ შეხედავ, აშკარა გიჟური ქცევები აქვს — თვალები აქეთ-იქეთ გაურბის, საჭმელს არანორმალურივით თქვლეფს, გაუწონასწორებელია, ყვირის, ზრდასრულ ასაკში პარლამენტის მოაჯირებზე სრიალებს. ასეთ პიროვნებას პრეზიდენტად რომ აირჩევ, ეს უკვე ეროვნული პრობლემა ხდება. მერე მიშასნაირები ადამიანების ზომბირებას ახდენენ. როგორც წესი, ასეთი გიჟები აქტიურები არიან და, შედეგად, ხდება მოსახლეობის კრიტიკული ნაწილის ფსიქიკური აშლილობა, სექტის ჩამოყალიბება, რითაც სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურები მოხერხებულად სარგებლობენ და ცდილობენ საქართველო სრულ გარემართვაზე იყოლიონ. ესაა და ეს.

მიშას გათავისუფლების მოთხოვნით გამართული აქციები. ეს ერთ მიზანს ემსახურება — ქვეყანა სრულიად გიჟური მოთხოვნებით თავდაყირა დააყენონ — რადგან ქვეყანაში მშვიდობაა ამის გამო, ჩვენ თავს დამნაშავედ უნდა ვგრძნობდეთ. თურმე, რა დროს მშვიდობა, ნაძვის ხე ან ჭამა-სმაა, როცა მიშა კვდება და უკრაინას ბომბავენ! აი, ეს სიგიჟე ტელე თუ ბეჭდვით მედიაში განუწყვეტლივ ტირაჟირდება და ასე გაგრძელდება, თუ ამას დროზე არ აღვკვეთავთ. სოციალურ ქსელებში გვამუნათებენ იმის გამო, რომ არ ვომობთ. ნორმალურ დროში ასეთი ადამიანები სასწრაფოდ ფსიქიატრიულში იქნებოდნენ გადაყვანილი. სამწუხაროდ, ახლა ასე არ ხდება. მეტიც, მგონი, ის ადამიანები, ვისაც არ გვინდა, ქვეყანა ნანგრევებად იქცეს, მალე უმცირესობაში აღმოვჩნდებით. მიშას მიმდევრებს ადეკვატურობის განცდა არ აქვთ — რა გეოპოლიტიკურ რეალობაში ვცხოვრობთ, როგორია ჩვენი თავდაცვის შესაძლებლობები, რა შედეგები დადგება და ა.შ. ისინი ფსიქიკურად არაჯანსაღი ადამიანები არიან. **მათი ფსიქიკური გადახრები იმის გამო გამწვავდა, რომ ამ ხნის მანძილზე ხან ხელისუფლებაში და ხან ოპოზიციაში, ნაცების სახით, ზე ხან ხელისუფლებაში და ხან ოპოზიციაში, ნაცების სახით, კლინიკური გიჟები, შმაგები გვყავს. აი, ასეთი მდგომარეობაა. კიდევ კარგად ვართ იმ ფონზე, როცა „ნაცმოძრაობას“ არჩევნებში ხმას ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი აძლევს. აშკარად ზეციური ძალები იფარავენ ჩვენს ქვეყანას და იმიტომ არ ვართ დღეს უკრაინის მდგომარეობაში, რასაც ესენი შეჰნატრიან.** დიახ, შეჰნატრიან უკრაინას, რომელიც დაბომბილია, საიდანაც 14 მილიონი ადამიანი გაქცეულია და რით ირჩენს თავს, კაცმა არ იცის. აქაურ უკულმართებს ისიც კი ახარებთ, რაც ყველაზე მთავარ, მართლმადიდებლობის ერთ-ერთ ცენტრში — კიევის პეჩორას ლავრაში მოხდა, სადაც საოცარი სიწმინდეები, წმინდანების უხრწნელი სხეულებია.

— ბოლო პერიოდია, ერთსა და იმავე სპექტაკლს ვუყურებთ — დიდი ხმაურით იწყება და ფინალი იგივეა. როდემდე ვუყუროთ ამ წარმოდგენას?

— სასჯელი იქამდე გრძელდება, სანამ დანაშაულს არ გამოისყიდი. დანაშაულში, ერთი მხრივ, სიზარმაცეს ვგულისხმობ. კერძოდ, საზოგადოებამ ტვინი უნდა გაანძრიოს და კლინიკური გიჟი პრეზიდენტად არ აირჩიოს. მეორე, მოსახლეობის პასიურობაა, რომელმაც კლინიკური გიჟის ხელისუფლებაში არმოსასვლელად არაფერი მოიმოქმედა და მესამე, პოლიტიკური დალტონიზმი, რაც ხშირად ახასიათებს პოლიტიკაში მყოფ მმართველ ძალებს, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, გარე ძალებს დამორჩილებოდნენ. ასეთი არაადეკვატური მდგომარეობა ამიტომაც გრძელდება. იქამდე მივედით, რომ ყველა სფერო ერთმანეთში აირია — სამართლებრივი, ზნეობრივი და ა.შ. იმედია, ერი განიკურნება, რადგან ყველაფერს დასასრული აქვს.

— რა ხდება კონკრეტულად „ნაცმოძრაობაში“, რამდენად სწორად არის ამა თუ იმ როლის შემსრულებელი შერჩეული?

— „ნაცმოძრაობის“ რამდენიმე ასეული ათასი ამომრჩევლისთვის მთავარი მიშას ციხიდან გამოყვანაა. ისინი სააკაშვილის ზომბები არიან. ის, რომ მელიამ თავმჯდომარეობის პერიოდში მიშა ციხიდან ვერ გამოიხსნა, საკმარისი მიზეზია ის სძულდეთ. როგორ უნდა გამოეხსნა მიშა, რა მეთოდით, არ აინტერესებთ. მელია მათთვის სამიზნეა. მათი სიმპათიები იმ მხარეს იქნება, ვინც უფრო ექსტრემისტულად და რადიკალურად გამოიყურება. ასეთი გახლავთ ხაბეიშვილი. მასზე ფსონს დებს კეზერაშვილი, რომელსაც ჩვენთან გაბატონებული სამართლებრივი აბსურდების ეპოქაში ვერბალურად ბრალს სდებენ, რომ უამრავი ფული შეჭამა, ქართული ჯარი გაძარცვა და მაინც თავისუფლად აგრძელებს როგორც ბიზნესწილების ფლობას, ისე, ტელევიზიების დაფინანსებას. ეს წინასწარ დაგეგმილი სპექტაკლია. „ნაცმოძრაობაში“ დაპირისპირება გაგრძელდება და მელიას პოსტის შენარჩუნება გაუჭირდება. ის, რომ მან მიშა ტყვეობიდან ვერ იხსნა, ეს მართლმორწმუნე მიშისტების თვალში დანაშაულია.

— ევროსაბჭოს რეზოლუციებზე რას გვეტყვით. მათ სცენაზე მიშა შემოიყვანეს და მის გამოსახსნელად მოწინავე დემოკრატიული ქვეყნები დაირაზმნენ. რეალურად რასთან გვაქვს საქმე?

— ერთი რაც მანუგეშებს, ისაა, რომ ეს საგიჟეთი მარტო ჩვენთან არ არის — **საგიჟეთის დეტონატორი სწორედ აშშ და ევროკავშირია. იქ ისეთი კომიკური რაღაცები ხდება, რაზეც მთელი პლანეტა იცინის**: ბაიდენის საუბრები აჩრდილებთან და ა.შ. ასევე, **მის მიერ დანიშნულმა ტრანსგენდერმა ქალმა, რომელიც ატომური ნარჩენების მართვის სააგენტოში უმნიშვნელოვანეს თანამდებობას იკავებდა, აეროპორტიდან ჩემოდანი მოიპარა და ერთი თვეა, არსად ჩანს. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.** რომელი ერთი სკანდალი ჩამოვთვალო. ავიღოთ კრიპტოვალუტის ბირჟის სკანდალი, რომლის ხელმძღვანელი ბენკმან-ფრიდი საოცარი პერსონაჟია. მის გარშემო უზარმაზარი სკანდალი გორდება, რაშიც სრულიად დემოკრატიული პარტიის მთელი ისტებლიშმენტია ჩათრეული. რაც შეეხება ევროპას, ევროკავშირი უმძიმეს კრიზისს განიცდის, გან-

გვ3.

„ნაცმოძრაობის“ დაშლა ახლოვდება

4 გვ.

რომ 12-პუნქტიანი დავალებიდან გვთავაზობენ, ერთ-ერთი პირდაპირ ბიძინა ივანიშვილს მოვარგოთ და ოლიგარქად გამოვაცხადოთ, რაც აბსურდია. ეს სპეციალურად შემოგდებული ნაღმი გახლავთ. ამ კანონის შემოღება მხოლოდ უკრაინაში, მოლდოვასა და საქართველოში უნდათ. სხვაგან მსოფლიოში ასეთი კანონი არსად მიუღიათ. ასევე, მსოფლიოში არცერთ ქვეყანაში არ არის პროკურორის არჩევის ისეთი წესი, რაც ჩვენ შემოგვთავაზეს. ცხადია, იციან: მათი რეზოლუციების შინაარსს მიშას პოლიტპატიმრობასთან დაკავშირებით, ოპოზიცია უმალ აიტაცებს. დეოლიგარქიზაციის კანონ-პროექტს, იმ ფორმით, რაც დასავლეთს სურს, მმართველი პარტია ეწინააღმდეგება. „ქართულ ოცნებაში“ საღად მოაზროვნე ხალხია და, ბუნებრივია, ამ კანონს ივანიშვილს არ და ვერ მოარგებენ. ეს მშვენივრად იციან ევროპის პარლამენტის წარმომადგენლებმა. ეს ნიშნავს, რომ მათ საქართველოში ქაოსი და აქაური პოლიტიკური ვითარების მართვა უნდათ. ხომ ხედავთ, უკრაინაში რას მიაღწიეს? — სისხლი იღვრება, ქვეყანა ომის ქარცეცხლშია გახვეული. თითს გვიქნევენ: თუ 12-პუნქტიან დავალებას არ შეასრულებთ, ევროკავშირში არ მიგიღებთო. ევროკავშირი თავად იშლება და სად უნდა მიგვიღონ?! მე ნებისმიერი კავშირის წინააღმდეგი ვარ. ყველა კავშირი — საბჭოთა თუ ევრო, ძალის დემონსტრირებაა და მეტი არაფერი. რატომ ერთიანდებიან ამ კავშირებში? იცხოვროს საფრანგეთმა თავისთვის და ესპანეთთან ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდეს. რა საჭიროა ეს სამხედრო თუ იდეოლოგიური კავშირები?! ევროკავშირი დემოკრატიას კი არ ემსახურება, არამედ ძალის დემონსტრირებაა. ჩვენ სამმილიონიანი ქვეყანა ვართ. რა სარგებლობას მისცემს ევროპას ჩვენი ევროკავშირში შეყვანა, ამაზე დავფიქრდეთ!

— ბატონო მერაბ, კალაძის ინიციატივაზე რას ფიქრობთ, თბილისს მშვიდობის ქალაქი რომ ეწოდოს?

— ვინც ამ ინიციატივას აპროტესტებს, სამშობლოს მოღალატეა. ვერ გავიგე: კიევში თუ ბომბები ცვივა, თბილისშიც უნდა ცვიოდეს? კალაძემ ეს ინიციატივა იმიტომ გააჟღერა, რომ საქართველო მშვიდობას ინარჩუნებს, რაც, უდავოდ, დასაფასებელია. ნებისმიერი ჭეშმარიტი ქართველი, მოაზროვნე ადამიანი, ვისაც სამშობლო მართლა უყვარს, ამ პოზიციის გაჟღერებისთვის მთავრობის მადლიერი უნდა იყოს. დიახ, ხელისუფლებას აღმოაჩნდა გონიერება და ნებისყოფა, რათა საკმაოდ მძაფრ ზეწოლებს არ წამოგებოდა, მათ შორის, უკრაინის პირველი პირების მხრიდან განხორციელებულსაც. ანუ, რას ითხოვენ: იქ თუ იხოცებიან ბავშვები, აქაც უნდა დაიხოცონ?! ჩვენს გამო ვინმე შეწუხდა?! 90-იან წლებში ქართველი ვაჟკაცი ბიჭები რუსეთს მთელი წელიწადი ებრძოდნენ. ჩვენმა გვარდიამ ომს წელიწადი გაუძლო. უკრაინა დაგვიდგა მაშინ გვერდით?! — არა, ხომ. 2008 წელს, კი ბატონო, პრეზიდენტები ჩამოვიდნენ, მაგრამ ვინ დაგვიდგა გვერდით? ვინმემ ამოიღო ხმა: რუსეთის წინააღმდეგ სანქციები დავაწესოთო? რასაც საქართველო უკრაინისთვის აკეთებს, იგივეს უკრაინა საქართველოს ვერასოდეს გაუკეთებდა. აქ უკრაინული სკოლები გაიხსნა, ჩვენი ქართველი ბიჭები მათ ომში იღუპებიან, აგერ, კიდევ ხუთი ქართველი ვაჟკაცი შეეწირა ამ ბრძოლას. მეტი რაღა უნდათ?! კიდევ რატომ ცდილობენ, ჩვენც ამ ომში ჩაგვაბან. ანკი ჩაბმული არ ვართ, როცა ამდენ ქართველ ვაჟკაცს ვკარგავთ?! ჩვენ ახლა უნდა ვეცადოთ, ეროვნული პოლიტიკა გავატაროთ და ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე დავდგეთ. დიახ, ჩვენ პატარა ერი ვართ, ამიტომ ეროვნება და ღვთისგან ბოძებული ქვეყანა უნდა შევინარჩუნოთ.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ნაცების სახით ოპოზიციაში კლინიკური გიჟები გვყავს

5 გვ.

საკუთრებით მისი ლოკომოტივი გერმანია, საიდანაც სამრეწველო საწარმოები გადიან. აშშ-ში მიიღეს კანონი სუბსიდირებისა და კლიმატური ცვლილებების შესახებ, რომელიც პირდაპირ ევროპული საწარმოების აშშ-ში გადაყვანისკენ არის მიმართული. ამის წინააღმდეგ მაკრონმა გაილაშქრა. მან პირდაპირ თქვა: ეს ანტიფრანგული კანონიაო. მან ხელი ჩაიქნია ევროკავშირის დანარჩენ წევრებზე, რომლებიც აშშ-ის მარიონეტები არიან ისე, როგორც ანალენა ბერბოკი და სხვები. შოლცი გერმანიის სახელმწიფოს, ეკონომიკის მესაფლავის როლს ასრულებს. ევროკავშირში თავმოყრილი პოლიტიკური ძალები ჩვენთვის კარგად ცნობილი ნეოლიბერალური ძალების გავლენას განიცდიან. შესაბამისად, არ უნდა გვიკვირდეს, რომ ევროკავშირში შემავალი სახალხო პარტიისა და სხვა ფრაქციის წარმომადგენლები დაირაზმნენ და თავიანთი პროტეჟეს — საკაშვილის გამოხსნას ლამობენ. ჩვენი ქვეყანა მათთვის სასურველი დოზით ანტირუსულ სანქციებში ვერ ჩართეს. საქართველოს ხელისუფლება მათ მახეში არ ებმება, რასაც ვერ ეგუებიან. მათ წარმოდგენაში პროქსი, ნეოკოლონიალურ უღელში შებმული ქვეყნები უნდა იყვნენ ისეთივე დამჯერი და მორჩილი, როგორიც საომარი ძაღლი — პიტბულია. საქართველოს ხელისუფლება პიტბულის როლს არ ასრულებს და ამის გამო საშინლად აღგზნებულნი არიან. **დასავლეთს ასეთი პიტბული საავადმყოფოში ეგულება და მის გათავისუფლებას ცდილობს. ვისაც ჰგონია, ევროკავშირი და მისი ორგანოები სამართლიანობის იდეისთვის გამსჭვალულნი არიან და ამისთვის იღვწიან, მან ხონის ფსიქიატრიულში უნდა იმკურნალოს.** აქვე, ერთსაც ვიტყვი: ხომ გახსოვთ, სამმა ქართველმა ტრანსგენდერმა სტრასბურგში სარჩელი რომ შეიტანა. სტრასბურგმა განაჩენი გამოიტანა, რის შედეგად ქართულ მხარეს თითოეულისთვის 2-2 ათასი ევროს, პლუს, დამატებით 9 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. ჩვენს **ნაცპოლიტიკურ სპექტრს — ამ შიზოფრენიკებს და ასევე, თხუთმეტ გეი-პარტიას მოვუწოდებ: მაგალითი აქედან აიღონ და ტრანსგენდერებად გადაკეთდნენ — ფულსაც იშოვნიან და თავიანთ სულიერ არსსაც მთლიანად გამოაჩენენ. ბუნებრივია, მათ მოთხოვნებს საქართველოს ხელისუფლება ვერ დააკმაყოფილებს, ამიტომ ეს სტრასბურგში გაასაჩივრონ. ნაცებს და თხუთმეტ გეი-პარტიას ვურჩევ: პოლიტიკური ტრანსგენდერობიდან ფიზიკურ ტრანსგენდერობაზე გადავიდნენ.**

— ქართულ პოლიტიკაში უცხოეთის ჩართულობით საქმე იქამდე მივიდა, რომ აშშ-მ, ევროპამ მიშა პოლიტპატიმრად გამოგვიცხადა. შაჰინმა ისიც კი თქვა: თუ მიშას არ გაათავისუფლებთ, საქართველოსთან ურთიერთობისა და ფინანსური დახმარებების საკითხსაც გადავხედავთო. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

— ეს აბსურდია. სინამდვილეში, მათი ფინანსური დახმარება, გარდა მავნებლობისა, სხვა არაფერს ემსახურება. არცერთი სამრეწველო საწარმო არ არის დაფინანსებული. ისინი საკუთარი გავლენის აგენტებს აფინანსებენ და აქ თავიანთ ბატონობას უზრუნველყოფენ. პირდაპირ გვეუბნებიან: ყველა იმ აბსურდის მორჩილი უნდა იყოთ, რასაც თავს მოგახვევთო. აი, რა აწყობთ. ეს არის და ეს. რაზეა საუბარი, როცა ამ პოლიტიკური ნაგვის გავლენის ქვეშაა თავად ამერიკელი ხალხიც. პირდაპირ ვთქვათ: მათი ბატონობის ქვეშ. თავად ამერიკაში აპროტესტებენ ყველაზე მეტად იმ უბედურებებს, რაც იქ ხდება. ჩვენ რაღა უნდა გვიკვირდეს. რაზეა საუბარი, როდესაც ე.წ. არჩევნებში, რომელიც აშშ-ში ტარდება, ეუთომ უარყოფითი დასკვნა გამოიტანა. სენატის კონტროლი კვლავ დემოკრატიულმა პარტიამ შეინარჩუნა, რომელიც ელემენტარულად პანოპტიკუმია — პრეზიდენტი ჰყავთ „მკვდარი“, ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი ცნობილია თავისი არაადეკვატურობით და ტრაგიკომიკური წარსულით. ბაიდენის ადმინისტრაციაში მოსვლის დღიდან გლობალური კრიზისია, რაც შეიძლება ატომურ ომში გადაიზარდოს. ასეთმა ადმინისტრაციამ კვლავ შეინარჩუნა სენატზე კონტროლი. რესპუბლიკელებმა კი კონგრესი უმნიშვნელოდ მოიგეს. მაგალითად, მე **ამ არჩევნებს ვუყურებდი, როგორც ბოლო შანსს მსოფლიოსთვის და, მათ შორის, აშშ-სთვისაც. მეგონა, დადებითი პროცესები დაიწყებოდა. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. არც უნდა გვიკვირდეს, რომ სამყაროს გამრუდებული სარკეების პრინციპით უყურებენ. მათთვის მიშა ნამდვილად პოლიტპატიმარია, ასევე გვარამიაც. მათთვის პოლიტპატიმრები იყვნენ რურუაც, მელიაც, ოქრუაშვილიც და სხვანი. ეს სრული აბსურდია. ბუნებრივია, აშშ იმავეს უჭერს ჩვენთანაც მხარს, რასაც საკუთარ ქვეყანაში მიესალმება. მათ ქართულ საზოგადოებას შესთავაზეს თხუთმეტი გეიპარტია, რაც სრულიად ანეკდოტური, არაადეკვატურია. ასევე, წარმოდგენილია სავსებით დისკრედიტირებული ენჯეო-სექტორი და საძულველი მედია. აი, ეს ხალხია მათთვის საქართველო.** თუ რომელიმე ქართველს ეს დადებით მოვლენად მიაჩნია, იგი საერთოდ არ არის ნორმალური. როცა დასავლეთზე კრიტიკულად ვლაპარაკობ, ვინმეს არ ეგონოს, რომ ეს რუსეთის სასარგებლოდ ხდება. იქ ცალკე პრობლემებია. ჩვენ სიმართლე უნდა ვილაპარაკოთ, გინდ დასავლეთი იყოს და გინდ რუსეთი, ამას მნიშვნელობა არ აქვს. რეალობა ობიექტურად უნდა ავსახოთ.

— რა თამაშს ეთამაშებიან ნაცები, „გეიპარტიები“ და მისი სატელიტები ქართველ ხალხს?

— ეს გეოპოლიტიკური თამაშიც არ არის. გეოპოლიტიკური აქტორები სხვანაირად მოქმედებენ. დედამიწას ე.წ. კორპორატოკრატია დაეპატრონა. ეს გახლავთ ფინანსური მაგნატები, რომლებიც შერწყმულნი არიან სპეცსამსახურების საიდუმლო ორგანიზაციებს, ელიტებს. ეს ადამიანები, ფაქტობრივად, გეოპოლიტიკური აქტორებისთვის ერთგვარ ციფრულ ზოოპარკს ქმნიან, რომლის კონტროლსაც ცდილობენ. ჩვენც ამ ახალი რეალობის ერთ-ერთი მცირე ნაწილი ვართ. ყოველივე ადეკვატურად უნდა ავსახოთ და ამის წინააღმდეგ ვიმოქმედოთ ისე, რომ პირდაპირი სამიზნე არ აღმოვჩნდეთ.

— მიშამ ავადმყოფობისგან „განსაკურნებლად“ ლობისტები დაიქირავა.

— ლობიზმი ლეგალიზებული კორუფციაა. აშშ-ის კონგრესი და სენატი რომ ავიღოთ და მათი ფინანსური ანაზღაურება საარჩევნო ხარჯებს შევადაროთ, ძალიან დიდ დისპროპორციას დავინახავთ. ლობისტური კომპანიები ყოველგვარი ზნეობრივი მდგენელის გარეშე მუშაობენ. ნებისმიერი ლობისტური კომპანია, მიუხედავად იმისა, ვინ არის დამქირავებელი, რას წარმოადგენს, რა ზნეობრივი კატეგორიისაა, ყველა შემთხვევაში თავის სამუშაოს ასრულებს და ცდილობს, საზოგადოებრივი აზრი შექმნას, რითაც დამქირავებელი პირის ინტერესს ლობირებს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ხომ არ გეჩვენებათ, რომ უდე-ვანოს ვიოლინო ენმ-ის როიალშია?

მეზობელმა დეიდამ დამიტატანა, რა ვაჟკაცის საქმეა იმის გარკვევა, რა ხდება „საქათმეშიო?“ მეთქი, ქალბატონო დეიდა, სწორედ რომ ჩემი საქმეა, როდესაც საქათმეში შეპარულა მელა და ქათმებს ეჩურჩულება ნელა: შენ, მამალო, გააჩერე ენა, შენ, დედალო, გამომყევი ნელა. უი, შენ კი გაქრიო და, მეც გავქრი, მაგრამ აქ ამოვიწვერე.

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეობის კანდიდატი რომ გახდე, ამისათვის მინიმალური ფილტრი უკვე დადგენილი აქვს სამუშაო ჯგუფს და არ გამოიხატება სოლიდურად მხოლოდ სურვილების გამოხატვაო“, — განაცხადა „ნაცმოძრაობის“ წევრმა დავით კირკიტაძემ მტკიცედ. სოლიდურად გამოხატული სურვილების არსს ვერ ჩავწვდი, მაგრამ ენმ-ის გენერალური მდივნის, კასტეტა-ციხკარიშვილის „საბრალდებო დასკვნამ“ ბოლო მოგვიღო. თურმე პარტიაში აზრთა სხვადასხვაობა და პარტიის თავმჯდომარის ხელახალ არჩევნებზე საუბარი მას შემდეგ დაწყებულა, რაც ენმ-ის თავმჯდომარეს, ნიკა მელიას ტელეკომპანია „ფორმულას“ დამფუძნებლისთვის, დავით კეზერაშვილისთვის ოლიგარქობაში დაუდია ბრალი.

აგე, ხომ შეპარულა საქათმეში მელია-ტანგრძელია?

ეგრეა, მაღალი არ ჰქვია ამ შემთხვევაში, რადგან მათ ერთადერთი „მაღალი“ ჰყავთ, რომელიც მაღალთა შორის მაღალია. საბრალო „ნამაღლარი“, დიდი ბელადი, აწ მჭმუნვარე სახის აპელატებაყრილი ხვადაგი ბოცვერი...

ნაპოლეონს რომ უთხრა ვიღაცამ, მე თქვენზე მაღალი ვყოფილვარო, ხომ მიუგო, ჩემზე მაღალი კი არა, ჩემზე გრძელი ხარო, ეგრეა მელიას ამბავიც.

ვაჰ, რა უცნაურია! ჩვენ კიდევ გვეგონა, მელიას სოსო თოფურიძის ღია მიმართვა-წერილმა გამოუსვა ბიბილოში ბლაგვი ჯაყვა. ეს როგორაა? ორი „კლანი“ იკვეთება - უდე-ვანო-კეზერაშვილისა და მეგრული კლანი, მელია-ახალაიები. ახალაიების ხელისბიჭი იყო სოსო თოფურიძე და რა ხდება, ვისი ვიოლინო ვის როიალშია?!

ბოლო მონაცემებით, „ნაცმოს“ თავმჯდომარეობის სამი კანდიდატი შემორჩა: მოქმედი მელია, პარტიის წევრი „გრუშა ხაბე“ და ვიღაც შაშა-კოლა მუმლაძე — „მამა-ძია“ ჩალაძემ ხელ-ფეხი ჩაიქნია და გაილალა. უეცრად, „გადაჭრილი“ ჭიაბერაშვილის აჩრდილი აესვეტათ, მე ვიქნები თქვენი თავმჯდომარე, ისე ფილოსოფიურად დაგაჯდებით თავზე, უკეთესს ვერ ინატრებთო. გადაჭრილია, აბა, რა არის, ორი ან სამი ჭიაბერაშვილი უნდა დაადგა ერთმანეთზე, რომ მელიას სიგრძეს გაუტოლდეს, მელია ხომ მასზე ბევრჯერ გრძელია?

ნაჭიამერალმა ჭიაბერაშვილმა მრავალმნიშვნელოვანი ფილოსოფია მოკლედ ჩამოაყალიბა: არსებულ სამ კანდიდატში მაკონსოლიდირებელ ეფექტს ვერ ვხედავო. რა კონსოლიდაცია უნდა დაინახოს, ეს ხომ უხილავია, ჭია-ნამერალი კი უხილავად მხოლოდ ფალოსსა და ვაგინას ხედავს, გააჩნია, მოხაზულობა წაგრძელებულია თუ მომრგვალებული. რეზო ამაშუკელის მიერ „ფრანგულ ბულდოგად“ სახელდებულ ჭია-მერს ჟურნალისტი ჩაეკითხა, ხედავთ თუ არა ასეთად (მაკონსოლიდირებლად) თქვენს თავსო? ე, ბიჯო, რომ არ ვხედავდე, ამ იდეაზე საერთოდ არ ვიფიქრებდიო. მოკლედ, ეს ტიპი იმასაც კი ხედავს იქ, სადაც ის არ არის (კანტი — „კატა ბნელ ოთახში“)!

რას გაუგებ ფალოსოფოს ფილოსოფოსებს, ხან ერთი კარიდან მეორეში ვარდებიან, ხან მეორედან პირველში, ან არსად. ერთი წლის უკან „ევროპული საქართველოდან“ იშვირა ფეხი, აუცილებელია გვერდზე გაწევა და მომავალი თაობებისთვის გზის დათმობაო და ახლა რამ აურია ის ფეხები?

არ მჯერა ამ მოცემულობაში დამოუკიდებელი სვლებისო, — გოდებს „ნაცმოძრაობაში“ საიდანღაც ჩამოვარდნილი ბაჩო დოლიძე — ეს ვიღას დაეკარგა?

მელია თავისას ზუზუნებს, ნაცვლად იმისა, რომ საკითხებზე შევჯერდეთ და ერთიანი პოზიცია გვქონდეს, კანდიდატები აწარმოებენ გაურკვეველ კამპანიებს, რაც სამარცხვინო სახეს იღებსო; ოპონენტები ბევრს საუბრობენ საჯაროობაზე, გამჭვირვალობასა და დემოკრატიაზე, ამ დროს, კონკრეტული სვლები, საერთოდ, კულისებიდან კეთდება და შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს კულუარული/არაფორმალური გავლენების კვალიო. ბიჯოოო, მელიკო, შენს გამოა ამტყდარი ეს დომხალი და ვისთან ერთად შეჯერება გინდა?

ვაჰ, რაც ხარს არ ეპატიება, იუპიტერს ეპატიება და აგერ, ბატონო!

ხაბეიშვილმა ვირის ნაცში შესვა კეზერაშვილი გასულ ხუთწლედში, სულ ქურდი და მამაძაღლი უძახა. მელიას ნათქვამი ოლიგარქობა იგივე იყო, უბრალოდ, ეს სიტყვა „ხაბემ“ მაშინ არ იცოდა და ახლა კეზერაშვილმა სახლიკაცად შეისახლა ნაცში. ჩემი რა გიკვირთ, რომ ვერ გამირკვევია ვისი ვისაშია, რეზო ამაშუკელის მიერ „ახალშობილ ბეჰემოტად“ სახელდებული გიორგი ონიანია გაოგნებული: ლევან ხაბეიშვილმა განაცხადა, რომ პარტია „ნაციონალური მოძრაობა“ გიგა ბოკერიას გამო დატოვა; ასევე, გიგა ბოკერიას გამო ლანძღავდა დავით კეზერაშვილს. ახლა, მისი მხარდამჭერები მიესალმებიან იმ დროისათვის გიგას გუნდის სამეულში მყოფი ზურაბ ჭიაბერაშვილის მიერ ენმ-ის თავმჯდომარედ კანდიდატურის დაყენებას, რა სპორტიაო?

სპორტია, ბეჰემოტჩიკ, ბინძური თამაში, „ბოი ბეზ პრავილ“, გინა „პადპოლნი ბოი დო სმერტი“!

ისე რომ ვთქვათ, პარტიის თავმჯდომარეა თუ სახე არის პარტიისა, „გრუშა ხაბე“ ზედგამოჭრილი გზავნილია კოსმოსიდან. ხომ უყვართ „ნაცებს“ სხვისი ცემა, ჰოდა, ჰყავდეთ „გრუშა ხაბე“, რაც ასპარეზზე გამოჩნდა, მაინც მუდმივად დასაბეთქია და მასზე მოიოხოს ყველამ წიხლი. ისე, ფრთხილად უნდა იყოს „ხაბე-კაცი“, ნაცებს სხვა რამეც არანაკლებ უყვარდათ და ისიც არ უდეპეშონ კოსმოსიდან...

„მაიმუნის ყვავილზე“ რომ ატყდა საუბარი, ვიღაცამ დაწერა „ფბ“-ზე, საქართველოს პარლამენტში მაიმუნის ყვავილის შემთხვევა დაფიქსირდაო. ვეცი ინფორმაციას და წითლიძის სურათი იდო. ჰოდა, ასე შერჩნენ ერთმანეთს წითლიძე და ხაბე „ნაცმოს“ სახეებად. მთელი ნაცგალერეა იკითხება ამ ორი ტიპაჟით. ნამეტანი აუყროლდათ ნეოლიბერალიზმის ციხესიმაგრე „ნაცბოზბანდელებს“ და როგორ იქნება ამათი საქმე კელი დეიდები რომ აღარ ეყოლებათ, სულაც არ მაწუხებს, ვტკბები მოლოდინით.

კაცმა რომ თქვას, ამ „უტილში“ მელია ყველაზე სუფთად გამოიყურება. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რაიმე ღირსების მატარებელია, უბრალოდ, არა-ჩვეულებრივი „ნაცია“, საპროტესტო მუხტი ვერ/არ გამოიყენა სწორად და სულაც ჩააქრო — შემკვეთს რომ ჰკითხო. ის „შემკ-

ვეთიც“ რა გამომიშავებულობაში დარჩა გაზიპარია ბაიდენივით. აბა, სხვა რა ჰქვია ამ მდგომარეობას, რომ ფსონს პლინტუსსქვემოთ დაცემულ ინტელექტუალ „გრუშა ხაბეზე“ ჩამოხვალ. რაო, ნებისმიერ პროვოკაციასა და ავანტურაზე წამსვლელია და შემსრულებლად გამოდგებაო?.. ნუ, ზატო, „ხაბე“ კარატისტი და მოკრივეა!

ییییی, თავისუფლების ინსტიტუტის დირექტორმა სალომე ხვადაგიანმა გვითხრა, მედიამ უნდა შეახსენოს საჯარო პირს ყველა არათანმიმდევრულობა, ყველა ტყუილი თუ პოზიციის ცვლილება; მედია უნდა იდგეს დარაჯად, რომ არავინ მოატყუოს მოქალაქე, რომელსაც დარაჯად დგომის დრო არ აქვსო. ჰოდა, აგე, მაგარადა ვდგავარ, ხოსე მამი!

სალომე მამიდამ ისიც გვითხრა: სტანდარტებს ნუ იწუნებთ, რას ჰქვია, პოლიტიკოსს, ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარეობის მსურველს, ცხვირში არ ვუტუნტუროთ ხელიო? მედია რასაც უნდა შვრებოდეს, იმაზე ეუბნებიან, რატომ შვრებითო? — ტყუილს წერო, ამას კი არ საყვედურობენო; მედია, სწორედაც რომ „ბოღმა“ უნდა იყოს ამ გაგებითო. შენ გაიხარე ყველა თემში, სალომე მამიდა, მომეცა ლხენა!

ამ ერთმანეთში გადაძახება-წამოძახებაში ყველას დაავიწყდა წარსულიდან მომავალში გაელვებული „ჩუმი მავრი“ უდე-ბლუ და უცნაურად ჩაჩუმებული „ჟრიამულა“, მით უფრო, გააზრება არ შეუძლიათ, რა შესაძლო კავშირში უნდა იყოს ამ ყველაფერთან „მტარვალი ბიძინა“, რა თქვა მან ისეთი, რაც ფასეული დასამახსოვრებელი იყო იმ დროში მომავლისთვის, რასაც დღევანდელობა ჰქვია და პირობითად „გახსოვს, ვანო?“ დავარქვათ.

„ბიძინა ივანიშვილის ღია წერილი“ („ს.გ“ №40 12.10-18.10. 2011) მცირე ამონარიდი: „...მერაბიშვილს ვიცნობ როგორც კარგ მენეჯერს, კარგ ორგანიზატორს და ბევრი დადებითი თვისების მქონე პიროვნებას. მერაბიშვილმა დიდი შრომის შედეგად მოახერხა და შექმნა გამართული სისტემა შსს-ის სახით. საპატრულო პოლიცია თუ სხვა ძალოვანი სტრუქტურული დანაყოფები, რომელებსაც ის სადამსჯელო, ჯალათური ფუნქცია რომ მოვაშოროთ, შეიძლება, საზოგადოებისთვის ძალიან სასარგებლო როლი ითამაშონ.

მერაბიშვილი ხშირად მაცებდა ეკონომიკის სფეროში საკმაოდ სერიოზული კომპეტენტურობით...

ვარდების რევოლუციიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, სააკაშვილი სპეციალურად ჩამოფრინდა ბობოყვათში ჩემთან შესახვედრად (მე იმ დროს ურეკში ვიყავი) და მითხრა, მერაბიშვილი

უნდა გავუშვაო.

მე მაშინ ყველაფერი გავაკეთე, რომ სააკაშვილს შენი გაშვება გადაეფიქრებინა. მე ის დავარწმუნე, რომ შენ ბუნებით ერთგული კაცი ხარ, გონიერი ორგანიზატორი და წინდახედული მენეჯერი.

სააკაშვილმა მაშინ დამიჯერა და არც უნანია, რაც უდავოდ შენი დამსახურებაა. მე მისთვის არასოდეს მიმიცია ცუდი რჩევა, არც მისთვის და არც შენთვის...

ასეთები ხართ თქვენ! ასეთი ზნე გაქვთ, დანდობა და სიყვარული არ იცით!“

ახლა მამა მელია აჰყვა შვილი მელიას ზუზუნს, სააკაშვილი შეაცდინესო: „არ უნდა ჩამოსულიყო პრეზიდენტი (იგულისხმება სააკაშვილი). არ ვიცი, ვანო მერაბიშვილმა მოატყუა თუ არა, მაგრამ ნიკა წინააღმდეგი იყო მაგის ჩამოსვლის. შეცდომაშია შეყვანილი. თაკო ჩარკვიანი რომ იძახდა, 130 ათასი კაცი დახვდებაო, სად წავიდა ის 130 ათასი კაცი? კანცელარიასთან ბოლოს რომ წრიპინებდა და იძახდა რაღაცებს, სადაა მაგის მხარდამჭერი ხალხი, სადაა მაგისი პარტია? რატომ იყო 300 კაცი, აქაც ნიკამ შეუშალა ხელი, გზა გადაუღობა ყველას, არ მოხვიდეთო? რა ჭკვიანი კაცი ყოფილა, ყოჩაღ, ივანიშვილი!“

იქით ინგა გრიგოლია დავარდა ქადაგად: „საღოლ, ბატონო ბიძინა, რა! მაგარი შეგვისრულე ყველას ერთად! ახლა დავდგეთ და ვახოხიალოთ ყველამ ერთმანეთი რაიმე ცვლილებებისთვის ერთად დგომის ნაცვლად.“

ბატონ ივანიშვილს ბევრი „საღოლ“, მაგრამ უდე-ბლუს ღირსებები შეგახსენეთ და მა გოგიას რაღა, ვირის თავ-ფეხი?

კაცი, რომელსაც დაეჯერება, ასე ახასიათებდა ვანო მერაბიშვილს და ის კარგი ორგანიზატორი და გონიერი მენეჯერი მერაბიშვილი 7-წლიან „სროკზე“ გაშვებას რომ ვინმეს იოლად აპატიებს, ცოტა ძნელი წარმოსადგენია.

მამა მელიას კი არა, ვისაც აინტერესებდა და მეხსიერებას არ უჩივის, ყველას ახსოვს ბატონი ღარიბაშვილის სიტყვები, ვანო მერაბიშვილი არწმუნებდა საკაშვილს, რომ საქართველოში დაბრუნებულიყოო. შემდეგ ისიც ითქვა, რომ სააკაშვილის უკრაინიდან საქართველოში გამომპარებელი, მისივე ხელისუფლების დროს, იმავე ვანო მერაბიშვილის მოადგილე, გიორგი ლორთქიფანიძე იყო, რომელიც, ხატია დეკანოიძის თქმით, უკრაინის კონტრდაზვერვის დირექტორის მოადგილე გახდა.

დასტურ ასეა! სწორედ ამიტომ მისცა სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს პროკურატურამ გასული წლის დეკემბერში გიორგი ლორთქიფანიძე — საქმე ეხებოდა საქართველოს მესამე პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში საზღვრის უკანონო კვეთით შემოსვლას.

თვით მიშას აყვანაც რა „იმნაირი“ იყო, ზედ თავიანთი ერთ-ერთი შტაბის თავზე, წყნარად და უხმაუროდ, გაშლილ სუფრასთან...

როგორ ჩანს, ნამდვილად ზედმიწევნით ზუსტად დაახასიათა ბატონმა ივანიშვილმა უდე-ბლუ. ასე რომ არ ყოფილიყო, არც მის ძველ ხელქვეითებს შემორჩებოდათ ყოფილი მინისტრის მიმართ პატივისცემის გრძნობა და ციხიდან ახალგამოსულ ნამინისტრალთან არც „ძველი ნაცნობები“ მიირბენდნენ.

თუ კარგად გავიხსენებთ, 2012 წელს ისე იქცეოდა მერაბიშვილი, იფიქრებდი, თავ-გზა აერია და ვეღარ იგებს, რანაირად უნდა იმოქმედოსო. მის დახასიათებას თუ გადავხედავთ, ძალიანაც კარგად იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო და სწორადაც იქცეოდა — „ეგდო“ 7 წელი საკანში და არაფერი გაუპროტესტებია, არც მიმკვდარებულა და არც დასხივებულა — გარეთაც ყველა დაადუმა.

ჰოდა, ახლა, ამ მოცემულობაში, როცა მყვირალა თავები „საღოლ ბიძინას“ გაიძახიან, ეს რა გვიქნაო და თითს კაკვავენ, არ გაგიჩნდება ეჭვი, რომ „ნაცმოს“ გაპარტახების ბოლო აკორდი მისი უსახური თავმჯდომარეობის კანდიდატებით დაგვირგვინებაა, რაც „ნაცმოძრაობის“ სრული მასხრად აგდებაც არის ყველაფერთან ერთად?

აჩრდილი დადის „ნაცმოში“, უდე-ბლუს შურისძიების აჩრდილი, რომელიც საკუთარ ვიოლინოს ისე ოსტატურად დებს როიალში, „მუზიკანტებს“ ვეღარ გაურკვევიათ, „პოლკა“ რატომაა ჩეხური ცეკვა და „მაზურკა“ — პოლონური, აქამდე ხომ პირიქით ეგონათ...

ზურა ოშხერელი

სანქციების მსოფლიო ისტორია

„ქვეყანა მუდამ იცოცხლებს“ - როგორ უმკლავდება სირია აშშ-ისა და ევროპის ზეწოლას?

ბაშარ ასადი? – რა თქმა უნდა!

ვიდრე ქვეყანას ასადი ხელმძღვანელობს, სირია ამერიკის მტრების, ირანისა და რუსეთის მოკავშირე იქნება. ასადი მხარს უჭერს პალესტინის ძალებს, რომლებიც აშშ-ის სტრატეგიულ მოკავშირეს, ისრაელს ებრძვიან. ასადის გადაყენების შემდეგ კი სირიაში შესაძლებელი გახდება პროამერიკული მთავრობის მოყვანა. სირიის ლიდერის მოშორების იდეა სირიის ჰუმანიტარულ კრიზისზე საუბრისას თავის დროზე მაშინდელმა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმაც გააჟღერა.

შიდაამერიკულ დისკუსიებში საუბრისას სირიაში სიტუაციის დარეგულირების შესახებ, გამარჯვებული ყოველთვის „ომის პარტია“ გამოდის. სინამდვილეში კი არც ამერიკელებმა და არც საზღვარგარეთ მცხოვრებმა სირიელმა ოპოზიციონერებმა, არაფერი იციან სირიელი ხალხის განწყობის შესახებ და ვერ ხვდებიან, რომ ასადს დღეს ალტერნატივა არ ჰყავს.

სირიელებმა შესანიშნავად იციან, რომ მოქმედი პრეზიდენტის ალტერნატივა, შესაძლოა, ხელისუფლებაში ისლამისტების მოყვანა იყოს, რაც მოსახლეობის გენოციდს გამოიწვევს.

სირიელები არასოდეს წავლენ ასადის წინააღმდეგ, რადგან ყველა ხვდება, რომ მათი პრობლემების სათავე ამერიკაა და არა სირიის პრეზიდენტის პოლიტიკა. მათ მშვენივრად იციან, რომ მტერი ის არის, ვინც ჰუმანიზმის ყველა პრინციპს უარყოფს და თავისუფლებისმოყვარე სირიელ ხალხს ახრჩობს.

ახალი გზა

როგორც ხშირად ხდება ხოლმე დასავლური სანქციების პირობებში, სანქციებმა უბრალო ხალხზე მოახდინა დიდი გავლენა. მთავარი პრობლემა არა ეკონომიკური ბლოკადა, არამედ ხანგრძლივი ომი გახდა და ხელისუფლება იძულებული იყო, რესურსები ისე გადაენაწილებინა, რომ, პირველ რიგში, თავდაცვა უზრუნველეყო.

ასეთმა პოლიტიკამ თავისი შედეგები გამოიღო. 2014 წელს ბაშარ ასადი ახალი ვადით აირჩიეს. მან კონტროლი დაიბრუნა სტრატეგიულად მნიშვნელოვან რამდენიმე რაიონზე. ამის შემდეგ იმ სირიელებსაც კი, რომლებიც ადრე კრიტიკულად იყვნენ განწყობილი, სჯერათ, რომ ქვეყნის ბოევიკებისგან გათავისუფლება მხოლოდ ასადის არმიას ხელეწიფება.

სანქციების გამკაცრებასთან ერთად, 2014-2019 წლებში დასავლეთის ქვეყნების, განსაკუთრებით ამერიკის პოლიტიკა სირიის მიმართ სულ უფრო ხშირად ხდებოდა კრიტიკის საგანი. სირიელები და ისინიც, ვინც მათ თანაუგრძნობდა მთელ მსოფლიოში, აღშფოთებული იყვნენ თეთრი სახლის პოლიტიკით — ომს ახანგრძლივებს და სირიელ ოპოზიციონერებს სამხედრო დახმარებას უწევსო.

ბრიტანული საქველმოქმედო ორგანიზაცია „ჰუმანიტარული დახმარების ფონდის“ ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სამხედრო მოქმედებების გამო სირია დამოკიდებულია საკვები პროდუქტების იმპორტზე, დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკური ემბარგო ხელისუფლებას საკმარისი რაოდენობით პროდუქტის შეძენის შესაძლებლობას არ აძლევს.

ეკონომიკურმა სანქციებმა სირიაზე იმაზე არანაკლები გავლენა მოახდინა, ვიდრე ტერორისტულმა ოპერაციებმა და იმ ადამიანებმა, ვინც ეს სანქციები დააწესა და ტერორიზმს უჭერენ მხარს. სანქციებმა ხელისუფლება კი არა, ხალხი დააზარალა.

კანონი, როგორც უკანონობა

სანქციებით ზეწოლის ახალი ტალღა გახდა კანონი „სირიის სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ“, რომელიც აშშ-ში 2020 წელს შევიდა ძალაში. ამ კანონის მიხედვით, მეორადი სანქციები უნდა განხორციელდეს იმ უცხოურ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც რაიმე სახის მხარდაჭერას უცხადებენ ოფიციალურ დამასკოს, ან მონაწილეობას იღებენ სირიის მთავრობასთან განხორციელებულ სავაჭრო გარიგებებში.

კანონის განუსაზღვრელი ფორმულირებები შესაძლებლობას აძლევენ ამერიკელ ჩინოვნიკებს, აირჩიონ, რომელ გარიგებებზე დააწესონ სანქციები და რომლებზე არა. შედეგად, გარიგებების პოტენციური მონაწილეები იძულებულნი არიან, უარი განაცხადონ სირიასთან ნებისმიერი სახის თანამშრომლობაზე. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებით, მეორადი სანქციები არ ვრცელდება ჰუმანიტარულ სფეროზე, თუმცა პრაქტიკაში ყველაფერი ასე არ არის.

კანონი ვრცელდება კერძო სამხედრო კომპანიებზე და ჰუმანიტერული ორგანიზაციებზეც, რომლებიც სირიის აღდგენაში იღებდნენ მონაწილეობას. კოვიდ-19-ის პანდემიის პერიოდში დაიბლოკა ქვეყანაში მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობების შეტანა (რენტგენის, ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის, დიალიზისა და სხივური თერაპიის აპარატები).

ექსპერტების განმარტებით, ეს კანონი კი არ იცავს მოსახლეობას, არამედ ხელს უშლის ქვეყნის აღდგენას, რადგან სანქციების გამო სირიაში ვერ მუშაობენ ის არაკომერციული ორგანიზაციებიც კი, რომლებიც სპეციალიზირებული არიან ტერიტორიის განაღმვასა და წყლის გაწმენდაზე.

დღეს სირიელებს მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურები ეხმარებიან. სახელმწიფო კომპანიები მონაწილეობას იღებენ ქვეყნის გათავისუფლებული რაიონების აღდგენაში. ომის დასაწყისშივე მთავრობამ ჩამოაყალიბა აღდგენის კომიტეტი, რომელიც გასცემს კომპენსაციებს სახელმწიფო და კერძო სექტორების შესაძლებლობების ფარგლებში, რაც აღდგენისთვის საჭირო ხარჯების 30 %-ს შეადგენს და პირდაპირ დაზარალებულებს გადაეცემა.

გარდა ამისა, ქვეყნიდან წასული ბევრი ბიზნესმენი სამშობლოსთან კავშირს არ წყვეტს. მაგალითად, რუმინეთში შეიქმნა სირიელი ბიზნესმენების საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც 20-ზე მეტი ქვეყნის ბიზნესმენებს აერთიანებს. ისინი ქვეყნის აღდგენის საქმეში სირიის ხელისუფლებასთან თანამშრომლობენ. უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის ზოგიერთ დარგში შეინიშნება ზრდა, მაგალითად, მშენებლობასა და ტრანსპორტის სფეროებში.

სირიის ეკონომიკის კიდევ ერთი რესურსი დაინტერესებული მხარეები და ახალი პარტნიორები არიან. ძალიან სერიოზულ დახმარებას უწევს სირიას რუსეთი, რაც სამშვიდობო ღონისძიებებში, დანგრეული ქალაქებისა და ინფრასტრუქტურის აღდგენაში გამოიხატება. პერსპექტივაში რუსული მხარე ვარაუდობს, სირიაში დახარჯული თანხები სასარგებლო წიაღისეულის ექსკლუზიური მოპოვების უფლების ხარჯზე დაიბრუნოს. სირიის ძველი მოკავშირეა ირანიც, რომელიც უზარმაზარ თანხებს დებს ქვეყნის აღდგენასა და სირიის არმიის შეიარაღებაში (2018 წლისათვის ამ თანხამ, მინიმუმ, 30 მლრდ დოლარი შეადგინა). სირია აპირებს ჩინეთთან თანამშრომლობასაც — ქვეყანასთან, რომელსაც უძლიერესი და უმსხვილესი ეკონომიკა გააჩნია და არაბულ ქვეყანაშიც თავისი ინტერესები აქვს. მხარეებმა უკვე მოაწერეს ხელი შეთანხმებას თანამშრომლობის შესახებ ჩინეთის ეკონომიკური ინიციატივის ფარგლებში: „ერთი სარტყელი — ერთი გზა“, რომელიც ვაჭრობასა და ტექნოლოგიების მიმართულებით თანამშრომლობას გულისხმობს.

ჯერ კიდევ 2016 წელს სირიის ოპოზიციის აქტივისტები აღიარებდნენ: თუ 2011 წლისთვის ყველა მათგანს სწამდა, რომ ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი იყო, ახლა ნათელი გახდა, რომ ეს თითქმის შეუძლებელია. აჯანყებამ, რომელიც სისხლისმღვრელ ომში გადაიზარდა, თვალსაჩინო გახადა, რომ დასავლური სტრატეგია სირიაში ხელისუფლების შეცვლას ვერ უზრუნველყოფს. ოპოზიციონერების ნაწილი ქვეყნიდან წავიდა, სხვები დარჩნენ, რათა მონაწილეობა მიეღოთ ქვეყნის აღდგენაში.

ერთადერთი პრობლემა, რომელიც სირიელებს ხელს უშლის, რომ ძველ ცხოვრებას დაუბრუნდნენ, სანქციები კი არა ომია. დასავლეთის გამოხდომები სირთულეებს კი ქმნის, მაგრამ იძლევა იმის შესაძლებლობასაც, რომ შიდა რესურსების მობილიზაცია მოხდეს და ახალი გზები და პარტნიორები მოიძებნოს.

სანქციები დაუსრულებლად შეიძლება დაუწესონ სირიას, მაგრამ ქვეყანა ყოველთვის იცოცხლებს, სირიელი ხალხი კი ყოველთვის გამოძებნის ფულის შოვნის გზებს. მოიძებნებიან მეწარმეებიც, რომლებიც იქ დაინახავენ შესაძლებლობებს, სადაც სხვებმა ვერ დაინახეს. ასეთები კი სირიაში მრავლად არიან...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ლოიდ ოსტინი: „უკრაინისთვის გაწეული დახმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციაა!“

აბეზარი სტუმარი

„მომაბეზრებელი მოკავშირე“, — ასე მოიხსენიეს ამერიკის შეერთებული შტატების პრესაში საფრანგეთი ემანუელ მაკრონის ოფიციალური ვიზიტის დაწყებამდე. ბოლო ერთ თვეში აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი და მაკრონი სამ საერთაშორისო სამიტს ესწრებოდნენ ერთად, მაგრამ ბევრი დაგროვილი საკითხის გამო, მაკრონის აშშ-ში ჩასვლა გახდა საჭირო. ოფიციალური ვიზიტით მაკრონი აშშ-ში დონალდ ტრამპის დროსაც იმყოფებოდა. მაშინ ტრამპი უმცროს კოლეგას ხელჩაკიდებული დაატარებდა თეთრ სახლში და პიჯაკიდან მტვერიც კი ჩამობერტყა — „ბიჭი საუკეთესოდ უნდა გამოიყურებოდეს“, — თქვა ტრამპმა. მოკლედ, საფრანგეთის პრეზიდენტს ბავშვივით ეპყრობოდა.

ოფიციალური ვიზიტის დაწყებამდე თეთრ სახლში მძიმე მოლაპარაკებებისთვის ემზადებოდნენ. მაკრონი ფართო დღის წესრიგით ჩავიდა აშშ-ში. წინასწარ იყო ცნობილი, რაზე აპირებდა ჯო ბაიდენთან საუბარს. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ევროპის ქვეყნები უკმაყოფილო არიან აშშ-ის ბოლოდროინდელი ეკონომიკური პოლიტიკით. „ბებერი ქალბატონის“ კონტინენტზე, მათ შორის საფრანგეთშიც, აღიზიანებთ აშშ-იდან მიწოდებული დაწნეხილი გაზის ფასი, რომელიც ევროპაში თითქმის ხუთჯერ ძვირი უჯდება მომხმარებელს. შეშფოთებულები არიან ასევე ევროპიდან წარმოებების აშშ-ში გადაქაჩვის გამო...

თეთრი გულით, მაგრამ...

ერთი შეხედვით თბილი დახვედრა მოუწყეს ემანუელ მაკრონს და მის მეუღლე ბრიჯიტს. ოფიციალურ შეხვედრამდე ჯო ბაიდენმა რესტორანში ვახშამზე მიიპატიჟა სტუმარი. „გაუმარჯოს საფრანგეთისა და ამერიკის მეგობრობას“, — წარმოსთქვა მაკრონმა. მეორე დღეს გაიმართა ოფიციალური მოლაპარაკება, რომელიც დაგეგმილზე ორი სააათით მეტხანს გაგრძელდა. მხოლოდ ენერგეტიკულ საკითხზე უპასუხა ბაიდენმა ისიც ზოგადად, „რაღაცას მოვიფიქრებო“. დანარჩენი განსახილველი თემები, მით უფრო, შეთანხმებაზე ინფორმაცია, უცნობია — ბაიდენმა თეთრ სახლშიც გაუშალა სუფრა მაკრონს. ნადიმზე ჰოლივუდის მსახიობებიც იმყოფებოდნენ, მაკრონის გამასპინძლება აშშ-ის ბიუჯეტს 500 ათასი დოლარი დაუჯდა.

მახრჩობელა თურმე მართლაც საყვარელია

ტრადიციულად, აშშ და საფრანგეთი ძველ მოკავშირე ქვეყნებად მიიჩნევიან. ამიტომაც, საჯაროდ მაკრონი მეგობრულად უთათუნებდა მხარზე ხელს ბაიდენს. პოლიტოლოგების შეფასებით, მათი მოკავშირეობა, წელიწადზე მეტია, მოიკოჭლებს. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც შარშან საფრანგეთის მეგობრებმა: ბრიტანეთმა, აშშ-მ და ავსტრალიამ, ფაქტობრივად, 66-მილიარდდოლარიანი კონტრაქტი წაართვეს (საფრანგეთს ავსტრალიისთვის უნდა აეგო ატომური წყალქვეშა გემები). დაზარალდა გემთმშენებელი საწარმო, რომელიც გაკოტრებას სასწაულით გადაურჩა. ცივ ურთიერთობაზე ის გარემებაც მეტყველებს, რომ მაკრონის ვაშინგტონში ყოფნისას ბაიდენმა საშობაო ნაძვისხე აანთო. თუმცა ღონისძიებაზე მაკრონი არ წაუყვანია. სამაგიეროდ, მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ბაიდენი მიკროფონის წაღება აპირებდა, მაგრამ არ გაატანეს. საერთო ჯამში, მაკრონის ვიზიტი უშედეგო აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მან რუსეთთან ურთიერთონის დარეგულირებაში საკუთარი თვალთახედვა შესთავაზა.

„...ცამეტი წლის ხარ?!“

ამერიკელმა ჟურნალისტებმა სცადეს, გაერკვიათ, რომელი პრეზიდენტის მეუღლეა უფროსი. ჯო ბაიდენი მაკრონზე ორჯერ უფროსია. აღმოჩნდა, მისი მეუღლე ჯილი ბრიჯიტ მაკრონზე ორი წლით უფროსი ყოფილა. საერთოდაც, რაში დასჭირდათ ჟურნალისტებს პრეზიდენტების მეუღლეების ასაკის გარკვევა, დეტალურად უცნობია. სავარაუდოდ, მათ მაკრონი გააქილიკეს ასაკოვანი მეუღლის გამო.

ტარანი თვლით ყოფილა

არასტაბილური ვითარებაა აშშ-ის საშინაო პოლიტიკაში. რესპუბლიკელები მკაცრად აკრიტიკებენ ჯო ბაიდენს, რადგან ჩინეთის ხელისუფლების მიმართ სიმკაცრეს არ იჩენს. სწორედ რესპუბლიკელებს მიაჩნიათ ჩინეთი აშშ-ის მთავარ საფრთხედ. ამჯერად მხარს უჭერენ საპროტესტო აქციების მონაწილეებს, რომლებიც კოვიდის პანდემიის აფეთქების მიზეზით დაწესებულ შეზღუდვების წინააღმდეგ გამოდიან. სამაგიეროდ, რესპუბლიკელები კონგრესში შესვლისთანავე, იანვრის დასაწყისში დაიწყებენ მოკვლევას, რაში დაიხარჯა უკრაინისთვის გადაცემული მილიარდები. მათ დღის წესრიგშია ასევე ჯო ბაიდენის იმპიჩმენტი.

დაფარული არაფერი დარჩება

მძიმე დარტყმა მიაყენა დემოკრატებს სოციალური ქსელის „ტვიტერის“ ახალმა მფლობელმა ილონ მასკმა. მან ჟურნალისტს გადასცა მასალები, სადაც მოთხრობილია, თუ როგორ ახორციელებდნენ დემოკრატები „ტვიტერის“ მასალების ცენზურას. ირკვევა, რომ დემოკრატები პირდაპირ მითითებას აძლევდნენ „ტვიტერის“ თანამშრომლებს, კონკრეტულად რომელი მასალა უნდა დაებლოკათ. განსაკუთრებით 2020 წლიდან დაიწყეს დემოკრატებმა სოცქსელის საქმიანობაში ჩარევა. ჯო ბაიდენის შვილის, ჰანტერის ნოუთბუქში ნაპოვნი მასალების ხსენებაც კი აკრძალული იყო „ტვიტერზე“. ჰანტერის კომპიუტერის დისკზე აღმოჩნდა არამარტო პორნოგრაფია და ფაქტები მის მიერ ნარკოტიკების მოხმარებაზე, არამედ კორუფციაში მისი და მამამისის მონაწილეობის ფაქტებიც. ილონ მასკის განცხადებით, გამოქვეყნებული მასალები არსებული ინფორმაციის მხოლოდ ნაწილია, მომავალში გაგრძელდება მოჰყვება. რესპუბლიკელები გეგმავენ, დაიწყონ მოკვლევა არსებულ ინფორმაციაზე.

გამოქვეყნებულმა მასალებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია არამარტო პოლიტიკურ წრეებში, არამედ დემოკრატების ამომრჩევლებშიც. გამოკითხულთაგან ყოველი მეხუთე დაბეჯითებით აცხადებს, რომ არჩევნების წინ რომ სცოდნოდათ ნოუთბუქში არსებული მასალების შესახებ, საპრეზიდენტო არჩევნებში ხმას არ მისცემდნენ ჯო ბაიდენს. „ტვიტერის“ ძველმა მფლობელმა 2020 წელს საერთოდ გაუუქმა გვერდი ამჟამინდელ პრეზიდენტს, დონალდ ტრამპს და მის პრეს-მდივანს. მართალია, ექსპერტებმა ეს დამოუკიდებელ პრესაზე შეტევად შეაფასეს, მაგრამ მათი მოსაზრება უყურადღებოდ დატოვეს. ამიტომაც „ტვიტერის“ შეძენის შემდეგ მასკმა თანამშრომელთა დიდი ნაწილი დაითხოვა სამსახურიდან.

ჩუმად! არ თქვათ, რომ ბრმას ცოლი მოუკვდა!

ყოველდღიურად მძიმდება ვითარება უკრაინაში. გასულ კვირას ტელეკომპანია CNN-მა ბახმუტიდან (დონეცკის ოლქი) გადასცა სიუჟეტი, სადაც აღწერილია, თუ რა მძიმე პირობებში არიან უკრაინელი მებრძოლები. „...სანგრებში მუხლებამდე ტალახი და წყალია. რუსები უკეთ არიან შეიარაღებული და შემოსილი. უკრაინელი მებრძოლები გაუსაძლის პირობებში არიან“. ევროკავშირის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ ლიაიენმა გასულ კვირას გაავრცელა უკრაინის მხარდამჭერი ვიდეოგანცხადება, სადაც ამბობდა, რომ უკრაინაში ომის დაწყებიდან დღემდე უკვე ათიათასობით მებრძოლი და მშვიდობიანი მოქალაქეა დაღუპული. განცხადებამ აღაშფოთა უკრაინის ხელისუფლება, რადგან დაღუპულთა რაოდენობას უკრაინელები საჯაროდ არ აცხადებენ.

„პეტრიოტი“ – არა...

გასულ კვირას რუმინეთში გამართულ ნატოს მინისტერიალზე უკრაინელებმა კვლავ იარაღი სთხოვეს მოკავშირეებს. მძიმე ენერგეტიკული ვითარებიდან გამომდინარე, უკრაინელები ასევე გენერატორებს („დვიჟოკი“) და ტრანსფორმატორებს ითხოვენ. განსაკუთრებით დაჟინებით მოითხოვენ საჰაერო დაცვის დანადგარებს „პეტრიოტს“. პენტაგონში განაცხადეს, რომ დანადგარების მოხმარების შესწავლას დიდი დრო სჭირდება, უკრაინელები მოუმზადებლები არიან და ამიტომ მათ გადაცემაზე სასტიკი უარი უთხრეს.

ქვეყანა შეინარჩუნეთ, ქვეყანა!

იმედით იყვნენ უკრაინელები, რომ ბუქარესტში ქვეყნის ნატოში გაწევრიანების საკითხი დადგებოდა. ალიანსის გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა იმედი გადაუწურა მათ: „... უკრაინის ნატოში გაწევრიანება არ იგეგმება. ახლა მთავარია, უკრაინამ სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნოს, რადგან მძიმე ზამთარი ელოდება“, — განაცხადა გენმდივანმა. აშშ კვლავ განაგრძობს უკრაინისთვის დახმარებას. დემოკრატები ჩქარობენ, მას 37-მილიარდდოლარიანი დახმარება დაუმტკიცონ, ვიდრე კონგრესში უმრავლესობით რესპუბლიკელები შევლენ. თუმცა უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ქვეყნის აღდგენისთვის ტრილიონ (!) დოლარს ითხოვს! ცნობილი გახდა, რომ უკრაინელ მებრძოლებს გერმანიაში არსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზაზე მოამზადებენ. საინტერესო განცხადება გააკეთა აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა: „..უკრაინისთვის დახმარება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკაში განხორციელებული ინვესტიციაა“. მართლაც საყურადღებო გამონათქვამია.

P.S. ორშაბათს ცნობილი გახდა, რომ ჯო ბაიდენი, ემანუელ მაკრონი და გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი მზადყოფნას გამოთქვამენ, რუსეთთან მოლაპარაკებები აწარმოონ უკრაინაში ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით. თუმცა, იქვე საკუთარ პირობებს აყენებენ. დაველოდოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

გია ბურდული
551 71 27 07

საქართველო უცხოურ ბიზნესსტრუქტურებში საქმიანი რეპუტაციით სარგებლობს

საქართველომ ორნიშნა ეკონომიკური ზრდის ტემპის მიხედვით რეკორდი გაიმეორა

გვესაუბრება
ეკონომისტი სოსო არჩვაძე:

— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ მიმდინარე წლის ეკონომიკურ ვითარებას?

— 2022 წელი მძიმე პოსტკოვიდური კრიზისიდან გამოსვლისა და სერიოზული წინსვლის წელი იყო. სტატისტიკური მონაცემებით, ეკონომიკის ზრდამ ოქტომბერში, წინა წლის ოქტომბერთან 8,3%, ხოლო იანვარ-ოქტომბერში, შეასაბამისად, 10% შეადგინა. სახეზეა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. თუ ეს ტემპი შენარჩუნდება, ფაქტობრივად, მეოთხედი საუკუნის წინანდელ რეკორდს გავიმეორებთ, როცა ზედიზედ ორი წლის განმავლობაში (1996-97 წლებში) ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა. ზრდაც არის და ზრდაც — მაშინ ჩვენი ეკონომიკა შედარებით მოკრძალებული გახლდათ, თითოეული პროცენტის უკან შედარებით მცირემასშტაბური წინსვლა იყო. ორი წლის ჯამური მაჩვენებელი 7,3 მილიარდ დოლარს შეადგენდა. წლევანდელს 2020 წელს თუ შევადარებთ, ზრდა, დაახლოებით, 8,8 მილიარდი დოლარია. ანუ, ეს სულ სხვა მასშტაბებია, რაც საბიუჯეტო შემოსავლებზე, მოსახლეობის კეთილდღეობაზე, ხელფასების დონეზე აისახება. რა თქმა უნდა, ბევრია ეკონომიკურად შეჭირვებული, ღარიბ-ღატაკი, მაგრამ განვითარების ვექტორს თუ შევაფასებთ, პროგრესი ცალსახაა. წელს ბოლო ათი თვის მანძილზე პირველი ხუთი თვე ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვქონდა, ხოლო მეორე ხუთი თვე ორნიშნასთან საკმაოდ მიახლოებული ეკონომიკური ზრდა დაფიქსირდა.

აქვე, რეგიონში და არსებული საერთაშორისო ვითარება, მზარდი რისკები, გამოწვევებიც უნდა გავითვალისწინოთ და ამ ფონზე ეკონომიკური ზრდის მნიშვნელობა მეტად დავაფასოთ. ჩვენი მეზობლები ბუნებრივი რესურსებით უფრო მდიდრები არიან, თუმცა, იქ საქართველოსთან შედარებით, ეკონომიკური ზრდა ორ-სამჯერ დაბალია. აზერბაიჯანსა და რუსეთში, გასაგები მიზეზების გამო, ეკონომიკური ზრდის ნაცვლად სახეზეა შემცირება. მოკლედ, საქართველო, გარკვეულწილად, სტაბილურობისა და მდგრადი განვითარების კუთხით, მისაბაძი სივრცეა — ოაზისი, რაც ჩვენი რეგიონით უცხოელი ინვესტორებისა და ბიზნესსტრუქტურების დაინტერესებას განაპირობებს. საქართველო თავის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო ფუნქციას ზრდის. მაისის მერე, ადგილობრივი საქონლის ექსპორტთან შედარებით, რეექსპორტის გაცილებით მაღალი ტემპი გვაქვს — ჩვენი ექსპორტის დაახლოებით ერთი მესამედი რეექსპორტზე მოდის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა საქმიანი რეპუტაციით სარგებლობს — უცხოურ ბიზნესსტრუქტურებს გარანტია აქვთ, რომ საქართველოს ტერიტორიის გავლით სწრაფად, უსაფრთხოდ და შედარებით ნაკლები დანახარჯებით, ტვირთი დანიშნულების ადგილზე მოხვდება. ეს ბიზნესსტრუქტურების საქართველოთი დაინტერესებას ზრდის. ასევე იზრდება სამეწარმეო აქტიურობა. ოფიციალური მონაცემებით, ოქტომბერში ყოველდღიურად საშუალოდ 233 ბიზნესერთეული დარეგისტრირდა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 70%-ით მეტია. ბიზნესსტრუქტურების წარმომადგენლებს, უცხოელ ინვესტორებს მკაფიო განცდა აქვთ, რომ აქ სტაბილური ვითარებაა, რაც შენარჩუნდება და ამიტომ საკუთარ სამომავლო ბიზნესგეგმებს საქართველოს უკავშირებენ. რაც შეეხება არსებულ მწვავე პრობლემას, ეს მოსახლეობის ბუნებრივი მატების დაბალი ტემპი გახლავთ. საქართველოს მოსახლეობა შემცირდა — სიკვდილიანობამ შობადობას გადააჭარბა. მოსახლეობის დაბერების პროცესი, სამწუხაროდ, გრძელდება. ეს დამამძიმებელი გარემოებაა, რადგან პერსპექტივაში დემოგრაფიული მდგომარეობა გავლენას ახდენს ეკონომიკურ პროცესებზე და ა.შ. კერძოდ, რაც უფრო ახალგაზრდაა ადამიანი, უფრო იოლად და სწრაფად ითვისებს თანამედროვე ტექნოლოგიებს, კომპიუტერულ ტექნიკას, ზუსტ მეცნიერებებს.

— ადგილობრივი მოსახლეობის რაოდენობა მცირდება, თუმცა სახეზეა მაღალი მიგრაცია, რა დროსაც მოსახლეობის ოდენობა იმატებს და, შესაბამისად, იზრდება მოთხოვნა საკვებზე, საცხოვრისზე და ა.შ. ეს ხომ ფასების ზრდასა და ინფლაციას იწვევს?

— დიახ, რა თქმა უნდა, ყველაფერი ერთმანეთთან კავშირშია. საქართველო, თუ სურსათზე ვისაუბრებთ, ძირითადად, იმპორტდამოკიდებული ქვეყანაა. წლების განმავლობაში უარყოფითი სავაჭრო სალდო გვაქვს — მეტი სურსათსანოვაგე, სასურსათო დანიშნულების პროდუქცია შემოგვაქვს, ვიდრე გაგვაქვს. ეს მაჩვენებელი ყოველწლიურად რამდენიმე ასეულ მილიონ დოლარს შეადგენს. პრობლემა ბოლო პერიოდში იმანაც გაამწვავა, რომ დიდი ხნის მანძილზე ენერგორესურსებზე ფასები მაღალი იყო. ჩვენ ენერგორესურსების იმპორტზეც ვართ დამოკიდებული. ადგილობრივი წარმოების ნავთობპროდუქტები ქვეყნის მთლიანი მოხმარების მხოლოდ 2,2%-ს შეადგენს, ანუ, 97,8% მთლიანად იმპორტირებულია. ჩვენ იძულებული ვართ, ნავთობი მსოფლიო ბაზრის ფასად შევიძინოთ. წელს, შარშანდელთან შედარებით, 500 მილიონი დოლარით მეტის გადახდა მოგვიწია. საბოლოოდ, გაძვირებული პროდუქტის ფასის გადამხდელი მოსახლეობაა. ამიტომ ფასების ზრდაში ამ ფაქტორმაც გარკვეული როლი შეასრულა. რამდენიმე კვირაა, ნავთობპროდუქტებზე ფასების შემცირება შეიმჩნევა, კვების პროდუქტებზეც პოზიტიური ტრენდი ჩამოყალიბდა. გაძვირებული ფასები, რაც წელს მაკროეკონომიკას და, პირველ რიგში, მოსახლეობის ბიუჯეტს მძიმე ტვირთად დააწვა, თანდათან დაიკლებს და ეს ინფლაციის ტემპის შემცირებაზე პოზიტიურად იმოქმედებს. შეინიშნება ინფლაციის ჩაფუშვის ტენდენცია. მალე გაცილებით დაბალი ინფლაცია გვექნება, ვიდრე ბოლო თვეების მაძილზე იყო. დარწმუნებული ვარ, ნოემბრის თვის ინფლაციის ტემპი გაცილებით ნაკლები იქნება. ეს ტენდენცია თვიდან თვემდე გაგრძელდება.

— ბატონო სოსო, რუსული ბაზრის წილი საქართველოში 50%-ით გაიზარდა. რა საფრთხის შემცველია ყოველივე?

— საქართველოს ეკონომიკური კავშირ-ურთერთობა მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს, მათ შორის, უშუალო მეზობლებთან — აზერბაიჯანთან, სომხეთთან, რუსეთთან და თურქეთთან. სავაჭრო ბრუნვით პირველ ადგილზე თურქეთია, ხოლო მეორეზე — რუსეთი. საბჭოთა კავშირის დროს ჩვენს სავაჭრო ბრუნვაში, რუსეთს 60% ეკავა, 2000-იანი წლების დასაწყისში 30%, ახლა ეს ციფრი 13%-ის ფარგლებშია. ამიტომ იმის თქმა, რომ რუსეთის ფედერაციაზე მეტისმეტად დამოკიდებულნი ვართ, გადაჭარბებულია. ერთადერთი რუსული პროდუქცია, რაზეც საქართველოს ეკონომიკა მოწყვლადია, ეს არის მარცვლეული და ფქვილი. რა თქმა უნდა, ამ ბაზრის ჩანაცვლება შეგვიძლია, მაგრამ პროდუქცია უფრო გაგვიძვირდება. მაგალითად, ხორბალი და ფქვილი კანადიდან რომ შემოვიტანოთ, ეს პროდუქციას სულ ცოტა 80%-ით გააძვირებს. ამიტომ ამ გარემოების გათვალისწინებით იძულებული ვართ, მარცვლეული რუსეთიდან შემოვიტანოთ. საქართველოში მარცვლეულის ფართობები უახლოეს წლებში რამდენჯერმე უნდა გაიზარდოს. პარალელურად გაიზრდება მოსავლიანობაც. მოსავლიანობა, დაახლოებით, 2,5-ჯერ, ხოლო ნათესი ფართობები სულ ცოტა 2-ჯერ უნდა გაიზარდოს. ეს, ალბათ, 2027 წლისთვის მიიღწევა, რითაც სახელმწიფო მარცვლეულის და ფქვილის იმპორტზე მრავალ ათეულ მილიონ დოლარს დაზოგავს. ამ მიზნის მისაღწევად წელიწადში, დაახლოებით, 150 მილიონი დოლარი გვჭირდება.

— საქართველოს ეკონომიკა, არაერთი პარამეტრით, დამაჯერებელ ზრდის ტენდენციას აჩვენებს. რატომ არ აისახება ეს მოსახლეობის ჯიბეზე?

— ოფიციალური ინფორმაციით, ქვეყანაში წინა წელთან შედარებით დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობა 52 ათასით გაიზარდა. რაც შეეხება საშუალო ხელფასს, სულ ცოტა 200 ლარით მოიმატა. ვამბობთ, რომ ინფლაცია გვაქვს, მაგრამ დასაქმებულთა რაოდენობა და საშუალო ხელფასი გაიზარდა. ამ ორი ფაქტორის გათვალისწინებით, ერთ თვეზე გაანგარიშებით, დაქირავებით დასაქმებული კონტიგენტის ხელფასმა 242 მილიონი ლარით მოიმატა, რაც 15%-ზე ოდნავ მეტია, ხოლო ინფლაციამ იმავე პერიოდში, დაახლოებით, 11% შეადგინა. თუ შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ სახელფასო ფონდის ზრდის ტემპი ინფლაციის ზრდის ტემპს დაახლოებით, 5%-ით უსწრებს. ამავე დროს, არამარტო ხელფასის მიმღებთა რაოდენობა გაიზარდა, არამედ თვითდასაქმებულებისაც. სტატისტიკური მონაცემებით, ერთ წელიწადში თვითდასაქმებულთა რაოდენობა 26 ათასი ადამიანით გაიზარდა. სულ 78 ათასი ადამიანით მეტი დასაქმებული მივიღეთ. **დღეის მდგომარეობით, საქართველოს ეკონომიკაში სულ ცოტა 25 ათასი ვაკანსია გვაქვს. წლის განმავლობაში 100 ათასზე მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნა. აქედან 78 ათასი უკვე დაკავებულია, 25 ათასი — ვაკანტური. იმის ეკონომიკური საფუძველი, რომ სამუშაოდ მაინცდამაინც უცხოეთში უნდა გავიქცეთ, თანდათან მცირდება.** თურაშაულის პატრონი ტყეში ეძებდა პანტასაო — ხომ გაგიგონიათ. უკვე გვაქვს საშუალება, საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა გავიუმჯობესოთ ისე, რომ არც ამერიკაში შესასვლელად მექსიკის საზღვრის გადაკვეთა მოგვიხდეს და არც საბერძნეთსა თუ იტალიაში მოხუცების ღამის ქოთნების გატან-გამოტანა. დიახ, ჩვენი ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდის შანსი არსებობს, რაც რეალურ საფუძველს ემყარება.

— პრემიერმა განაცხადა: ასი ათასი სამუშაო ადგილი შევქმენითო. რეალურად, რა მდგომარეობაა უმუშევრობის კუთხით?

— ახლა უმუშევრობის დონე 15,6%-ია. ეს ბოლო ათწლიან პერიოდში ერთ-ერთი დაბალი მაჩვენებელია. ორი წლის წინ უმუშევრობის გაანგარიშების მეთოდიკა შეიცვალა. ადრე თვითდასაქმებული ადამიანი, ვინც პროდუქციას ოჯახისთვის აწარმოებდა, ახლა უმუშევართა კატეგორიაშია გადაყვანილი. ანუ, თუ ოჯახი პროდუქციას საბაზრო დანიშნულებით არ აწარმოებს, იგი უმუშევრად ითვლება. ამჟამად რამდენიმე ათეულ ათასი ვაკანსია გვაქვს. ეს სრულად რომ ათვისებულიყო, უმუშევრობის დონე 15,6%-ის ნაცვლად, 13-14%-მდე გვექნებოდა.

— მომავალი წლიდან პენსიები, სოციალური დახმარებები იზრდება. ხელგაწვდილი მოქალაქეების მომრავლებას, ხომ არ სჯობს, ისინი დავასაქმოთ?

— ჩვენ სოციალურად ორიენტირებული სახელმწიფო ვართ, რაც კონსტიტუციურ ნორმას წარმოადგენს. როცა ორნიშნა ეკონომიკური ზრდა გვაქვს, ეს მრავალი მიზნით, სხვა შედეგებთან ერთად, ბიუჯეტში მეტი თანხების აკუმულირების საშუალებას გულისხმობს. სოციალური დახმარება ორგვარია — წმინდა მონეტარული და არამონეტარული. მონეტარულია, როცა ვზრდით ხელფასებს,

ხილული ჭინკები საქრისტიანოში

მოგეხსენებათ, ნოემბრის მეორე ტესტ-მატჩში საქართველოს მორაგბეთა ნაკრები „დინამო არენაზე“ სამოას დაუპირისპირდა. სამოას გუნდმა ტრადიციული ჰაკა შეასრულა, ხოლო ქართველმა მორაგბეებმა ჯვარი გამოსახეს. ისეთი ამბავი ატეხეს ჭინკებმა, ნამდვილად იფიქრებ ადამიანი, რომ ჯვრის დანახვაზე კრუნჩხვებში ვარდებიან. რა ვიცით, იქნებ, მართლაც გაუსაძლისი კანკალი ეწყებათ, ავსულებს ხომ სზარავთ ჯვრის დანახვა...

როგორც ჩანს, ჯვრის დანახვაზე კანკალი სულაც არ არის სხვა რელიგიის მიმდევართა თანმდევი მოვლენა, ევროპის ქრისტიანულ ქვეყნებში უკვე ოფიციალურმა პირებმაც დაიწყეს არა მხოლოდ ქრისტიანული სიმბოლოების „უხერხულობაზე“ და მათ მოშორებაზე საუბარი ისტორიული თუ ხელოვნების ნიმუშებიდან, სიტყვებს საქმეც მოაყოლეს.

ქართველი მორაგბეების მიერ „დინამო არენაზე“ ჯვრის გამოსახვამდე ათიოდე დღით ადრე გერმანიის კულტურის მინისტრმა კლაუდია როტმა გადაწყვიტა, „მცირედით“ შეეცვალა ბერლინის სამეფო სასახლის იერი და მის გუმბათს მისდგა. თურმე სასახლის გუმბათზე დატანიებული ყოფილა ისეთი სიტყვები, რაც შეურაცხმყოფელია სხვა რელიგიების წარმომადგენლებისთვის: „არ არსებობს ცისქვეშეთში სხვა სახელი გარდა სახელისა, რომლის მეშვეობითაც ჩვენ უნდა გადავრჩეთ“. გარდა ამისა, თურმე მისი ოქროს გუმბათიც, მასზე აღმართული ჯვრით, სასტიკად ეწინააღმდეგება თანამედროვე კოსმოპოლიტიზმის სულს, ზედმეტია და...

მას კვალდაკვალ მიჰყვა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი და ისეთი რამ მოითხოვა, რამაც მთელი ევროპის ქრისტიანული სამყარო აღაშფოთა. ევროპისა, თორემ საქართველოში ვინ გვეტყოდა, ჩვენ ხომ გამიზნულად ვყავართ „ვიღაც უხილავებს“ ინფორმაციულ ვაკუუმში მოქცეული, ის ვერ გაგვიგია, რეალურად რა ვითარებაა ცეცხლში გახვეულ უკრაინაში, ქრისტიანული სიმბოლოების ხელყოფაზე ვინ დაასვეულებდა სიტყვას?

რელიგიურად, ჭინკა ანალენა ბერბოკი ევანგელური ეკლესიის პრინციპებით გაზრდილა. დღეს ის აგნოსტიკოსს (აგნოსტიკოსი კითხვაზე „არსებობს თუ არა ღმერთი?“ პასუხობს „არ ვიცი და არც შემიძლია ვიცოდე“) უწოდებს საკუთარ თავს, თუმცა ეკლესიაშიც ხშირად დადის მისი მნიშვნელოვანი ფუნქციის — სოციალური ერთობისა და საზოგადოებასთან კავშირების გამო.

ჭინკა ანალენამ ქალაქ მიუნსტერის წარმომადგენლობას რატუშის „მშვიდობის დარბაზიდან“ ერთ-ერთი ისტორიული სიმბოლოს, ჯვარცმის გატანა მოსთხოვა, ჯვრისა, რომელიც ამ დღემდე იქ იყო დავანებული, იმ დარბაზში, 482 წლის განმავლობაში. იმ დარბაზში მუდმივად იკრიბებოდნენ ღირსეული ადამიანები, სადაც დაიდო ვესტფალიის ზავი, იგივე „ვესტფალიის მშვიდობა“ — სამშვიდობო შეთანხმება 1648 წელს მიუნსტერსა და ქალაქ ოსნაბრიუკში, რომელმაც ბოლო მოუღო ოცდაათწლიან ომს. ეს იყო სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა კაიზერმა ფერდინანდ III-მ საფრანგეთსა და შვედეთთან ერთად და ხელმოწერის ზოგადი მიზანი იყო ევროპაში მიმდინარე ომების ჩაცხრობა.



ორ ქალაქში სამშვიდობო ხელშეკრულების დადება განპირობებული იყო საფრანგეთსა და შვედეთს შორის არსებული უთანხმოებით, რაც გამოიხატებოდა კათოლიკეთა (საფრანგეთი) და პროტესტანტთა (შვედეთი) წინააღმდეგობაში. მხარეებმა გადაწყვიტეს, ხელშეკრულებები დადებულიყო ცალ-ცალკე, პროტესტანტულ (ოსნაბრიუკი) და კათოლიკურ (მიუნსტერი) ქალაქებში, ხოლო სამართლებრივად ერთ მთლიან საერთაშორისო დოკუმენტად ჩაითვლებოდა. იმ ჯვრის წინ ამ დრომდე ფიცს დებდნენ ქალაქის მმართველობის ახლადარჩეული წევრები...

... და ჩამოხსნა კი არა, ჩამოაგდო ბერბოკმა ისტორიული დარბაზიდან ქრისტიანული სიმბოლო — ისტორიული ჯვარი.

„ვის შეუშალა ხელი ამ წმინდა ჯვარმა? რატომ მოხსნეს? ამ ქალაქის მესვეურებმა რატომ არ გამოიჩინეს სიმტკიცე, რომ უარი ეთქვათ ამ მოთხოვნაზე რათა დაეცვათ ეს ჯვარი? ვის არ შეეძლო მჯდარიყო იქ, სადაც ჯვარი იყო?“ — გამოეხმაურა ვესტფალიის მხარისა და ევროპელი ქრისტიანებისთვის გაუგონარ თავხედობას პოლონეთის პრესა.

ვინ ისხდნენ და „შესანიშნავი შვიდეული“, საგარეო საქმეთა მინისტრები ღრმად ქრისტიანული ევროპიდან, ერთი იაპონიიდან და ამერიკიდან ბლინკენი, რომელთაც, ვინმემ რომც არ ჰკითხოს, თვითონ იტყვიან, რომ მსოფლიო სამშვიდობო წესრიგს განიხილავდნენ, მშვიდობის დამყარებაზე მსჯელობდნენ... ბერბოკს რომ ამ ჯვრის აუტანლობა ჰქონდა და გულში მისი ჩამოგდების ნდომა, თორემ სხვა დარბაზში დასხდებოდნენ და სულაც არ და ვერ დაინახავდა...

ეტყობა, ბერბოკს ჰგონია, რადგან უკრაინაში ორჯერ იყო და ვესტფალიის ჯვარი ჩამოაგდო, მშვიდობა დამყარდება... რაც შეეხება ბლინკენს, ქრისტიანი თუნდაც არ იყოს, ის ხომ ამერიკელია, სადაც პრეზიდენტები ფიცს „ბიბლიაზე“ დებენ...

„არსებულმა ფედერალურმა ხელისუფლებამ დაივიწყა ტრადიციები და ისტორია. ნებისმიერი, ვინც მინისტრივით (იგულისმება ანალენა ბარბოკი — ავტ.) აიღებს ქრისტიანული რწმენის სიმბოლოებს, კოსმოპოლიტი კი არა თავისნათქვამაა“, — თქვა ბუნდესტაგში გამოსვლისას ტორსტენ ფრაიმ. „ზეწოლა ქრისტიანობაზე ევროპის ბევრ ქვეყანაში ხდება“, — აცხადებენ ფრანკფურტის უნივერსიტეტის მკვლევარები. „ჩვენ გამოვიძიეთ ათეულობით ქრისტიანი სტუდენტის დისკრიმინაციის ფაქტი. გერმანია არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც ასე ხდება“, — თქვა მოხსენების ავტორმა, სოციოლოგმა მათიას რევერესმა.

ასე რომ, „შეთქმულების თეორიად“ მონათვლა არ ყოფილა, როცა ამბობენ, რომ გაშმაგებული ბრძოლა მიმდინარეობს ქრისტიანობის წინააღმდეგ, არ აქვს მნიშვნელობა, მისი რომელი განშტოება იქნება, ამოსავალია ქრისტიანობის სიმბოლო — ჯვარი.

სერაფიმე საროველის სიტყვებია: „დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო — ივერია, მეორე — ათონის მთა, მესამე — კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე — დივეევო“.

საქართველოში რამდენი ხანია და როგორ ებრძვიან ჯვარს, წმინდანებსა და სასულიერო პირებს, კარგად ვიცით და ახლახან ყოვლად წარმოუდგენელი ამბავიც დაერთო — ცხრამუხის მონასტერში მომხარი საშინელი ძალადობა მონაზონზე და ეკლესიითვის შენაწირი თანხის გატაცება...

ახლა ღვთისმშობლის მესამე წილხვედრში, კიევ-პეჩორის ლავრაში შეცვიცდნენ. „ყინწვისის საქმის“, „ფერიის ეკლესიის“, გლდანის ეკლესიის კარის „ურალით“ შენგრევისა და მსგავსი ანტიმართლმადიდებლური გამოხტომები დაიწყო უკრაინის „ნაციონალისტურმა“ ხელისუფლებამაც...

ჩვენთან, მართლმადიდებელ საქართველოში, კონკრეტულად მართლმადიდებლობასა და მართლმადიდებელ წმინდანებს ებრძვიან, რა ფორმით, რა გამოხატვითა და მოქმედებით, ყველამ კარგად იცის, გამოთაყვანებული მოზარდებიც კი გამოიყენეს...

ჩვენი რაგბისტების მიერ გამოსახული ჯვრით დავიწყეთ, რასაც ისეთი გამოხმაურება მოჰყვა ჭინკებისა და ჯვრის დამცველების მხრიდან, სოციალურ ქსელში კი არა, თავი „ბორჯღალოსნების“ მიერ წამოწყებულ ომში მეგონა.

გამარჯვების გზაზე გევლოთ, ჩვენო „ბორჯღალოსნებო“, ქრისტეს ძვლის მკვნეტელებს ყურადღებას ნუ მიაქცევთ!

მაკა ჯაყელი

პენსიებს, დახმარებებს, დეკრეტულ შვებულებებთან დაკავშირებულ ხარჯებს, სოციალურ შემწეობებს და ა.შ. არამონეტარულია, როდესაც ფულად დახმარებას პირდაპირ არ ვუწევთ, მაგრამ ვქმნით პირობებს, რათა მოსახლეობის კეთილდღეობა გაიზარდოს. მაგალითად, პენსიონერს წამლისთვის დამატებით თანხას არ ვაძლევთ, მაგრამ, როცა სააფთიაქო ქსელში წამალი იაფდება, ეს მისი პირობების გაუმჯობესებაა. ასევე, 2023 წელს დევნილებისთვის 27 ათასი ბინა უნდა აშენდეს, რითაც მათი კეთილდღეობა უმჯობესდება. ანუ, სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება სხვადასხვა გზით კომპლექსურად ხორციელდება.

— ბოლოს გვითხარით, რა რისკები არსებობს ეროვნული ვალუტის გამყარების ფაქტორებში და რამდენად გრძელვადიანია ლარის გამყარების ტენდენცია?

— ლარის სწრაფი გამყარების კუთხით მეტისმეტი აღტაცება არ გვმართებს, თორემ გრძელვადიან პერსპექტივაში თუ ლარი ნელ-ნელა გამყარდება, ეს კარგია. მოკლევადიან პერსპექტივაში ლარის გამყარება თითქოს ცუდი არ არის, მაგრამ ჩვენ ღია ეკონომიკის ქვეყანა ვართ. ზემოთ ვახსენე, რომ 140-ზე მეტ სახელმწიფოსთან გვაქვს სავაჭრო ურთიერთობები და როდესაც ლარი მყარდება, ეს ნიშნავს, რომ მსოფლიო ბაზარზე პროდუქცია ძვირდება. შესაბამისად, იზრდება კონკურენცია და მსოფლიო ბაზარზე გაძვირებულ პროდუქციას ნაკლები ხალისით ყიდულობენ, ვიდრე იაფს. ვახსენეთ, რომ თურქეთი ჩვენი პირველი სავაჭრო პარტნიორია. რუსეთის იმპორტი თურქეთის იმპორტთან შედარებით, დაახლოებით, 27%-ით ნაკლებია. ბოლო ერთ წელიწადში თურქეთის იმპორტი საქართველოში თითქმის 36%-ით გაიზარდა. ჩვენი ექსპორტი თურქეთში კი პირიქით — შემცირდა. მიზეზი ის გახლავთ, რომ თურქული ლირა დევალვაციას განიცდის. თურქეთში ინფლაციის მაღალი ტემპია. მისი ეროვნული ვალუტა — ლირა მსოფლიოს ვალუტებთან, დოლართან მიმართებაში გაუფასურდა. ჩვენი ლარი კი სტაბილურობას ინარჩუნებს და ბოლო ერთ წელიწადში პირიქით — 11%-ით გამყარდა. ანუ, გამოდის, რომ საქართველოში თურქული საქონელი გაიაფდა, ხოლო თურქეთში ქართული საქონელი გაძვირდა. შედეგად რა მივიღეთ? — თურქულ საქონელს საქართველოში გასაღების უფრო მეტი მაზანდა აქვს, ხოლო თურქეთში ქართულ პროდუქციას თურქეთის მოსახლეობა უფრო ნაკლები ენთუზიაზმით იძენს. ამიტომ ლარის მეტისმეტი გამყარება თითქოს კარგია, მაგრამ ეს ხომ ეკონომიკურ ასპექტში უნდა განვიხილოთ. თუ ვალუტის გამყარება ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, ეკონომიის რეჟიმს, რაც ბიზნესისთვის წარმატების პირობას წარმოადგენს, არ ეფუძნება, მაშინ ლარის გამყარებას დამატებითი პრობლემები მოჰყვება. თანაც გავითვალისწინოთ, რომ ვალუტის გამყარება, დიდწილად, რუსეთიდან თანხების შემოსვლას უკავშირდება. დიახ, თანხების მოცულობა გაიზარდა და მატების 60% რუსეთის ფედერაციაზე მოდის. ეს პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ვალუტის გამყარება იყო. ამიტომ ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რომ ეკონომიკის ზრდას მივაღწიოთ, ვაწარმოოთ ხარისხიანი პროდუქცია, რომელიც მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი იქნება და ლარის გამყარება სწორედ ამის საფუძველზე მოვახდინოთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენი პროდუქცია თურქეთისა და ნებისმიერი სხვა ქვეყნის შიდა ბაზარზე ნამდვილად კონკურენტუნარიანი იქნება.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ჩვენი მიშა-გულივერი

2019 წლის დასაწყისში, მიხეილ სააკაშვილმა ფეისბუკზე ქაერი შეცვალა და ახალ ფოტოზე ჯონათან სვიფტის ცნობილი ნაწარმოების მეზღვაური გმირივით, გულივერივითაა გამოსახული ლილიპუტების ქვეყანაში.

ორი წლის შემდეგ არაჟინის ქილებთან ერთად შორი გზიდან საარაკაცოდ ჩამოსული „გულივერი“ დააკავეს და მას მერე კვნესის, ოხრავს და ყველა ცნობილი თუ უცნობი, მიღებული თუ მიუღებელი ხერხით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ კვდება. წლების წინათ თითქმის იგივე „მანევრით დაუძვრა“ციხეს მისი „მეგობარი“ იულია ტიმოშენკოც, რომელიც ციხეში ეტლით გადაადგილდებოდა და როგორც კი გაათავისუფლეს, მაიდანზე დროშას იქნევდა...

ხელისუფლება არც ნაცელიტ ბანდის მუქარას შეუშინდა, არც დასავლელი მეგობრების და არც მიხეილის უნიჭო სპექტაკლებმა გაჭრა. ამასობაში „ნაცმოძრაობაც“ თითქმის ჩამოიშალა. მიშა-გულივერს უსაზღვროდ აღიზიანებს თავისუფლების აღკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ სასჯელს საუკეთესო კლინიკაში იხდის და არა თავის მოწონებულ და ევროპული სტანდარტებით აშენებულ ციხეში, სადაც მისი ზეობის ხანაში, აყროლებული პლასტმასის ჯამებზე დასხმულ საშინელ საკვებს მიირთმევდნენ მსჯავრდებულები. იმ წყეულ დროს, პატიმრები არც სამედიცინო მომსახურებით იყვნენ განებივრებულები და ისეთ ტერორში ჰყავდათ, რომ საკვები და სამედიცინო მომსახურეობა კი არა, ციხიდან ცოცხლად გასვლას ნატრობდნენ. ღვთისგან მიტოვებულ იმ ჯოჯოხეთში, ასეულობით მსჯავრდებული კაცი, ქალი თუ არასრულწლოვანი წამებით დაიხოცა. რატომღაც, ციხეში დაღუპულ პატიმარს შინაგან ორგანოებს აცლიდნენ და ისე უბრუნებდნენ პატრონს. ბინძურ პლედში ახვევდნენ, ნაგვის გადასაზიდ ურიკაზე ასვენებდნენ და ისე გაჰყავდათ „აბსლუგის ვახტამდე“. ხშირი იყო შემთხვევებიც, როცა დალეწილი პატიმრები საავადმყოფოში გადაჰყავდათ და იქ იღუპებოდნენ. საკმაოდ გრძელი სია არსებობს „ეჭვმიტანილებისა“, რომლებიც მიხეილის აღზევებული, კრიმინალი სამართალდამცავების მიერ უმოწყალოდ ჩახოცეს.

2016 წელს მედიაში გავრცელდა ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძის განცხადება, სადაც ის ამბობს, რომ 2010 წელს ჰააგის მთავარ პროკურორს ნაციონალების მმართველობის დროს მოკლულთა სია პირადად გადასცა. სიაში, **სანდრო გვირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, ზურაბ ვაზაგაშვილის, გიორგი გამცემლიძის, ზურაბ ჟვანიასა და აფრასიძეების** გარდა, სხვა, საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი გვარებიცაა შეტანილი: **ოთარ გველუკაშვილი (მოკლული იქნა გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში სპეცოპერაციისას); ანტონ კეკულავა (მოკლეს თბილისში დაკავებისას); დიკო ბარქაია (მოკლეს ზუგდიდის რაიონში სპეცოპერაციისას); ზაზა ფანცქელაძე (მოკლეს ზუგდიდის რაიონში დაკავებისას); ხვიჩა კვირიკაშვილი (მოკლული იქნა თბილისში, პოლიციელების მიერ დაკავების დროს, ცემით); ალექსანდრე გომაშვილი (მოკლეს კახეთში დაკავებისას); მურთაზ ქარდავა და თემურ ხუბუნია (ორივე, ხაჭაპურიძის თქმით, უშიშროების თანამშრომელმა ჩაცხრილა); სულხან ლომიძე (მოკლეს ხელვაჩაურის რაიონში სპეცოპერაციისას); აკაკი კორკოტაშვილი (მოკლეს გურჯაანის რაიონში დაკავებისას); ავთანდილ და ვახტანგ გუმაშვილები (მოკლეს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში სპეცოპერაციისას); ვახტანგ მარგოშვილი (მოკლეს ქვემო ქართლში, სოფელ ვახტანგისში); ვარლამ ნემსიწვერიძე (მოკლეს თბილისში, მძევლის გათავისუფლებისას); ნესტორ ესებუა, გია ოკუჯავა და თემურ ცეკვავა (სამივე აბაშის რაიონის, სოფელ მარანში დაკავებისას მოკლეს); როინ შავაძე (მოკლეს ქობულეთში, სასტიკი წამებით); ზურაბ მანთაძე (მოკლეს რუსთავი-თბილისის გზატკეცილზე, დაკავების შემდეგ); გიორგი კრიალაშვილი (მოკლეს თბილისში, სპეცოპერაციისას);**. აღნიშნულ სიაში კიდევ ათეულობით მოკლული „ეჭვმიტანილის“ გვარია ჩამოთვლილი. ხაჭაპურიძეს დღეს ეს სია აღარ ახსოვს და მიხეილის ჯანმრთელობაზე წუხს...

მარიამ ჯიშკარიანი და წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრი „ემპათია“

წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიის“ ხელმძღვანელი მარიამ ჯიშკარიანი მიხეილის ზეობის ხანაში არცთუ იშვიათად სპეციალურ პრესკონფერენციას ატარებდა, რომლის დროსაც უცხოელებს ციხეებსა და პოლიციაში წამების, ცემის, არაადამიანური მოპყრობისა და არაადეკვატური სამედიცინო მომსახურების კონკრეტულ ფაქტებს აცნობდა. წამების ფაქტები ევროპის საბჭოს წამების პრევენციის ანგარიშში ხვდებოდა. საქართველოს ციხეებში ასეთი მდგომარეობა სავალალოდ ფასდებოდა. მარიამ ჯიშკარიანი, ამავდროულად, გახლდათ მსოფლიო ფსიქიატრთა ასოციაციის სექციის „წამების შედეგები და აღკვეთა“ საბჭოს წევრი და მოწმე იმ ფაქტებისა და შედეგებისა, რომელსაც მიხეილი და მისი გამოზრდილი გარეწრები სჩადიოდნენ. უმძიმესი ავადმყოფები, ციხეკოლონიაში უპატრონოდ აღესრულებოდნენ. საუკეთესო შემთხვევაში, მაქსიმუმ ორი დღით ადრე ათავისუფლებდნენ. მაშინ სად იყო ჯიშკარიანი? ციხე-კოლონიის დირექტორთან „ვასვასებდა“ და გაგებით ეკიდებოდა ნაწამები მსჯავრდებულების სიკვდილს. ბოლო სტადიის სიმსივნით და სხვა უმძიმესი დაავადებით „იმ“ წლებში რამდენი მსჯავრდებული დაიღუპა? სტატისტიკას გადახედოს... ან, მაშინ სად იყო ჯიშკარიანი, მსჯავრდებულებს რეანიმაციაშიც კი ფეხზე „კანდალებს“ რომ ადებდნენ? და არც ქალ-პატიმრებს ინდობდნენ? წარმოგიდგენიათ, საოპერაციოდან გამოსულს ფეხზე ბორკილი გედოთ? ამ ძუნძგლიან, ამბიციურ დედაკაცს 2012 წლამდე არ ეცალა პატიმრებისთვის, „სხვა“ საქმეებით იყო დაკავებული.

დღეს კი ჯიშკარიანი უტიფრად ამტკიცებს: „ჩვენ არაერთგზის ვაცხადებდით, რომ მდგომარეობა არის მძიმე და საჭიროებდა საზღვარგარეთ გაყვანას, სამწუხაროდ, ეს არავინ გაიზიარა. ამჟამად, ჩვენი დასკვნა ასახავს, რომ მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდა. გამოიკვეთა სრულყოფილი ტოკსიკოლოგიური კვლევის აუცილებლობა, რაც საქართველოში შეუძლებელია. პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი საჭიროებს სასწრაფო წესით გადაყვანას ევროპის ან აშშ-ის მულტიპროფილურ საუნივერსიტეტო კლინიკაში. დღეს კიდევ ერთხელ შევხვდები საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენლობას და კიდევ ერთხელ გავაცნობ სიტუაციის სიმძიმეს“.

საინტერესოა, სხვა უმძიმესი დაავადებებით „დახუნძლული“ მსჯავრდებულების მკურნალობას რატომ არ ითხოვდა ჯიშკარიანი საზღვარგარეთ? აა, მიხეილის მდგომარეობის გამოყენებით გამდიდრების სურვილმა დაავიწყა, რომ ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია...

შვილი მამიკოს ისავს და გვაცოდებს

მამის „ტვეობიდან დასახსნელად“ იბრძვის ედუარდ სააკაშვილი. იგი აცხადებს, რომ, ხელისუფლების ადგილას, რეალობის გათვალისწინებით, თავად გამოიყენებდა შანსს და დაეთანხმებოდა ცენტრ „ემპათიის“ მიერ მომზადებულ საექსპერტო დასკვნას მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომელიც სასამართლოში იქნება წარდგენილი. „ენდობიან თუ არა „ემპათიას“, სხვა საკითხია, მათ იციან რეალობა და, მგონი, ეს დასკვნა და შემდეგ მისი სასამართლოში წარდგენა არის შანსი, ხელისუფლებამ სწორი ნაბიჯი გადაგას. იმედი მაქვს, ამ შანსს გამოიყენებენ. მათ ადგილას მე გამოვიყენებდი. რაღაც მომენტში ისინი ამას გააკეთებენ, მაგრამ უკეთესი იქნება, ეს მოხდეს უფრო ადრე, რათა მამაჩემის ჯანმრთელობა ისე შეუქცევადად არ დაზიანდეს“, - ამბობს ედუარდ სააკაშვილი ინტერვიუში.

„ემპათიის“ მსგავსი არასამთავრობო ორგანიზაციების დასკვნას სასამართლო ან პროკურატურა ენდობოდა მამამისის ზეობის ხანაში? ედუარდი შიშობს, რომ საზღვარგარეთ სამკურნალოდ გადაყვანის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, მამამისის ჯანმრთელობა ვეღარც აღდგეს, რაც ხელისუფლების „უპასუხისმგებლობის ან შეცდომის შედეგი“ იქნება, მაგრამ „შეცდომის გამოსწორება ყოველთვის შესაძლებელია“. „ოპოზიცია, მგონი, ამ ყველაფრის გამო დასუსტდა კიდეც, იმიტომ, რომ გამოჩნდა, სააკაშვილის ჩამოსვლა არ იყო საკმარისი არაფრისთვის; ხოლო „ქართული ოცნება“ გამოჩნდება როგორც ძლიერი ძალა, რომელმაც გადადგა სწორი, სახელმწიფოებრივი, პასუხისმგებლობიანი ნაბიჯი. მგონი, საკმაოდ კარგი სცენარი გამოდის მათთვის. შეიძლება, მათი მრჩევლები სხვა რამეს ეუბნებიან, მაგრამ მე ამას ვურჩევდი. მე მაქვს იმედი, რომ პოლიტიკურად არა, მაგრამ ჰუმანიტარული თვალსაზრისით, პრობლემა მოგვარდება, რადგან მართლა არ მგონია, რომ მათ გულის სიღრმეში უნდოდეთ, რომ მიშა სააკაშვილი მოკვდეს ან სამუდამოდ დაინვალიდდეს“. ედუარდ სააკაშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილს გაცნობიერებული აქვს, რომ მისი საქართველოში დაბრუნება „შეცდომა იყო“. ედუარდს თავზედობა ჰყოფნის, რომ ხელისუფლებას ჭკუაც დაარიგოს და მრჩევლებიც დაუწუნოს. მკვლელი, გარეწარი მამის შეცდომას კი მხოლოდ მის „სამშობლოში“ დაბრუნებაში ხედავს.

ედუარდ სააკაშვილს ვურჩევ, ყურადღებით მოისმინოს, 2007 წელს ინგა გრიგოლიასთან ინტერვიუში როგორ ამხელს ირაკლი ოქრუაშვილი მის მამიკოს. ჰო, ის ჯერ კიდევ მაშინ ამტკიცებდა, რომ რამდენიმე მილიარდი ჰქონდა „მოყუჩებული“. არც კობა დავითაშვილი დაივიწყოს, მის შესახებაც ღირებული ინფორმაცია მოიპოვება დღემდე. ზურაბ ჟვანიას უცნაური სიკვდილი... სულხან მოლაშვილის წამების და აღსრულების შესახებაც ზღვა ინფორმაციაა სოციალურ ქსელში და იმ „სხვების“ შესახებაც, ვინც ხშირად სტუმრობდნენ მათ დაწყევლილ ოჯახს. ედუარდს ეცოდინება, რომ ორგანიზატორია მთავარი დამნაშავე და არა შემსრულებელი. გვამებს მუსიკასთან ერთად სწორედ მიშა-გულივერი უკვეთავდა. მისი შნირები კი შეკვეთებს „დამკრელურად“ პირნათლად ასრულებდნენ...

ედუარდის „გულისამაჩუყებელ „სიტყვებს სოციალური ქსელით მყისვე გამოეხმაურა ნათია ფანჯიკიძე: „პირადად ამ ბიჭს ვაჩუქებდი მამამისს... დიდ თავის ტკივილს ასცდება ქვეყანა, თუ დააკმაყოფილებენ შვილების სათხოვარს“. ნათიასაც სწრაფად უპასუხეს: „ქალბატონო სანტა! ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდების დედებს რას აჩუქებდი, ან ასობით ნაწამები პატიმრის დედებს, ან უამრავ ბიზნესწართმეულ ადამიანს, მოლაშვილის მამას რას აჩუქებ, ან გირგვლიანის მამას? აჩუქებ კი არა, სადაცაა, მაგისთვის მაგ ადგილი სამოთხეა, მე მაგის!..“

„გლობალ-პოინტი“

მიშა-გულივერის გამოხსნის ახალი გეგმა დასახა დედა-დედოფალმა, ხელშეკრულება ლობისტურ კომპანია „გლობალ-პოინტთან“ გააფორმა. კომპანიამ ექსპრეზიდენტის საზღვარგარეთ ჰუმანიტარული მისიით გადაყვანას უნდა გაუწიოს პიარკამპანია. გავრცელებული ცნობით, კონტრაქტის ღირებულება 30 ათასი დოლარია, თანხის ნაწილი – 15 000 დოლარი კი უკვე გადახდილია. ამ თანხას ემატება სამუშაოს საათობრივი ანაზღაურება, რომელიც 400 დოლარამდეა, ასევე საადვოკატო ჰონორარი და სხვა ხარჯები. დოკუმენტის თანახმად, ლობისტებს ევალებათ მედიასთან და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობა, კონტაქტი ლიდერებთან და გავლენიან პირებთან. „გლობალ-პოინტმა“ უნდა შეიმუშავოს საკვანძო მესიჯები, მოაწყოს ბრიფინგები და სხვადასხვა შეხვედრა. კომპანია აკერმანის იურიდიულ გუნდთან თანამშრომლობს. ამასთან, გიული ალასანიას მიერ ამერიკული ლობისტური კომპანიის დაქირავების შემდეგ უცხოურ ონლაინპლატფორმაზე პირველი შეკვეთილი სტატია გაჩნდა. ვებგვერდ ჩისიონ-ზე გამოქვეყნდა მასალა, სათაურით „ამერიკელი სამედიცინო ექსპერტები ადასტურებენ, რომ პოლიტპატიმარი მიხეილ სააკაშვალი ციხეში ყოფნის დროს აწამეს და მოწამლეს“. სტატიის დასაწყისსა და ბოლოში აღნიშნულია, რომ ეს ინფორმაცია მათ წარუდგინა კომპანია **GlobalPoint International**-მა გიული ალასანიასთვის, მიხეილ სააკაშვილის სახელით. „წამყვანი სამედიცინო ექსპერტები აშშ-დან და საქართველოდან ყოფილი პრეზიდენტის უფლებების დარღვევას, წამებას, მოწამვლასა და ჯანმრთელობის სწრაფ გაუარესებას ადასტურებენ“, - აღნიშნულია სტატიაში.

ავფიქრობ, ხელისუფლებამ და სამოქალაქო საზოგადოებამ უპასუხოდ არ უნდა დატოვონ ამ მონსტრების მარაზმული კამპანია და სასწრაფოდ უნდა გაეცეს შესაბამისი პასუხი. სამწუხაროა, რომ პროკურატურამ ჯერეოვნად არ, ან ვერ იმუშავა და მიხეილს ის ბრალი, რაც სინამდვილეში ეკუთვნოდა, არ წაუყენა. საკმაო რაოდენობის საჩივარი იყო შესული მის რიგით პირველ ცოლზეც, რომელსაც საკმაოდ დიდი წვლილი მიუძღვის ქვეყნის ნგრევაში, „პარსვაში“, უდანაშაულო ადამიანების ტერორში, პატიმარი ქალების „ფატვრაში“. მის „**doc და doc+**“ პროგრამას შეეწირა არაერთი პატიმარი და უამრავს ჯანმრთელობა დიდი ხნით შეერყა... ტუბსაავადმყოფოში პატიმრების „სადგომი“ მორგის შენობაში გახლდათ და მსჯავრდებულების ჯანმრთელობის შერყევით არცთუ ცოტა თანხა თეთრდებოდა და პრეზიდენტყოფილის უძირო ოჯახურ ბიუჯეტში მიედინებოდა. ბიძამისი, თემურ ალასანია, ოქრუაშვილის გარდა, არაერთმა მაღალჩინოსანმა ამხილა, მათ შორის, გენერალმა ლევან კენჭაძემ, რომელიც მიხეილის ჯურღმულებში აწამეს, შეურაცხყოფილი და დაავადებული რამდენიმე დღის წინ აღესრულა... გიულიმ, მიშა-გულივერის დახმარებით ქვეყნის ძარცვით ას მილიონზე ბევრად მეტი ქონება „შეიტყაპუნა“... დღეს კი ეს გაუმაძღარი, უტიფარი ოჯახი ცდილობს, პოლიტპატიმრად, სახელმწიფოსგან უსამართლოდ, უკანონოდ „დაჩაგრულ“ გმირად წარმოგვიდგინოს ჩვენ და იმ საერთაშორისო ინსტიტუტებს, რომლებსაც „მიშა მაგარაას“(და სინამდვილეში, „ნაგავიას“) შექმნაში ლომის წვლილი აქვთ შეტანილი.

სასაცილოა ნიღაბჩამოხსნილი ჯიშკარიანის განცხადება: „ ახლა იქ ახალი საავადმყოფოს მოწყობა საავადმყოფოს და პენიტენციური სამსახურის ბაზაზე, ეს არის სრული აბსურდი და შეუძლებელი, რა

15 გვ.

უკვდავი კაშეი - ტრაილერმოხვედრილი ვადაგასული უთო გარეკილ I

სოციალურ ქსელში ერთ-ერთმა მომხმარებელმა თემა შემოაგდო: აბა, ვისაც რა ზედმეტსახელი გსმენიათ „მიჰაზე“, დამიკომენტარეთო. ჩამონათვალი სასაცილო და მრავლისმთქმელი იყო. უცბად, „ტრაილერმოხვედრილი ვადაგასული“ მომხვდა თვალში. გადავწიე მეხსიერება — „ვადაგასული“ იმ დროს იყო, როდესაც პრეზიდენტობის ვადა გასული ჰქონდა, მაგრამ ოკეანისგაღმიდან დაძალებით ისევ პრეზიდენტად გვეჯდა ხელშეუხებლად.

ახლა იმან დამაფიქრა, „ტრაილერმოხვედრილი“ რატომღა იყო? ტრაილერით უკრაინიდან შემოიპარა, მაგრამ კიდევ რა იყო ტრაილერთან დაკავშირებით?

გამახსენდა!

ანტალიაში მყოფ საქართველოს მოქალაქეს, საპრეზიდენტო ვადაგასულ მიხეილ სააკაშვილს უბედური შემთხვევის გამო მხრის სამმაგი მოტეხილობა დაუფიქსირდა და 40 ნაკერის დადებამ მოუწიაო, — მოიარა ამ ცნობამ საინფორმაციო სააგენტოების პირველი გვერდები. ამბის გახმაურებისთანავე, ახალგაზრდების ჯგუფმა თბილისში, ე.წ. ვარდების მოედანზე მიხლაფორთებული „შედევრი-ველოსიპედი “ შეამკეს სამგლოვიარო გვირგვინით...

მართალია, სააგენტოები მიხეილს კვლავ საქართველოს პრეზიდენტად მოიხსენიებდნენ, მაგრამ სხვა რამ უფრო იყო მნიშვნელოვანი, რატომ იყო მოქალაქე სააკაშვილი, თუ ის მართლაც კვლავ პრეზიდენტად ითვლებოდა, მარტო? მხოლოდ საქართველოსთვის ითვლებოდა პრეზიდენტად და მსოფლიოსთვის უკვე ყოფილი იყო? სად იყო ამ დროს მისი დაცვის სამსახური (თურქული მხარის დაცვას რომ თავი დავანებოთ)?

აქ კიდევ ერთი კითხვა იჩენს თავს: სააკაშვილი შეხვდა ერდოღანს სტამბულში და ქართველებს ბურსაში, მეორე დღეს კი ანტალიაში ბეწვზე გადარჩა — რატომ იყო ანტალიაში? შემთხვევისთანავე გადაიყვანეს სტამბულის ამერიკულ ჰოსპიტალში და უტარდება რთული ოპერაცია ძლიერი ანესთეზიის ქვეშო, — ასე გვითხრეს. Pმისი პრესსამსახური აცხადებდა, სააკაშვილი ორი დღე იწვა საავადმყოფოშიო, თუმცა ორ „სუტკაში“, შუადღეს გიულთან ერთად სადილზე იყო და ნაოპერაციებ ხელს თავისუფლად ართმევდა მასპინძელს ფოტოკამერების წინ.

საკვირველია, ქვეყანა კაცს იღებს პრეზიდენტის რანგში, მას „რაღაც ემართება“ (ყოველ შემთხვევაში, საოპერაციო ხდება) და თურქული მხარე ისე დუმს, არაფერია ცნობილი, თუნდაც ის, ვინ ჩაუტარა ოპერაცია. პრეზიდენტის გასეირნება ფატალური შედეგით რომ დასრულებულიყო, ვის ეკისრებოდა პასუხისმგებლობა, გაურკვეველია — რატომ? უცნაურია, მაგრამ ამის შემდეგ უკვე გულზე ჩამოკიდებული ხელით ვხედავთ სააკაშვილს პოლონეთში.

საზოგადოებაში გაჩნდა სრულიად მარტივი კითხვა: ანესთეზიას, გარკვეული ხანი ახლავს დამახასიათებელი საფრთხეები და თუ პირი პრეზიდენტად მაინც მოიაზრება თუნდაც კოჰაბიტაციის ეგიდით, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელი იყო საჭირო ზომების მიღება — სხვა თუ არაფერი, დაცვა მას (სახელმწიფოს) ევალება. აქედან გამომდინარე, რატომ არ გაკეთდა ოფიციალური განცხადება შემთხვევისთანავე? (იმიტომ ხომ არა, რომ ოქტომბრამდე საპრეზიდენტო სკამსჩაბღაუჭერბული ვადაგასული სააკაშვილის, ანუ პრეზიდენტის მოვალეობის დროებითი შემსრულებელი, თუნდაც ორი დღით, პარლამენტის თავმჯდომარე, ბატონი უსუფაშვილი გახდებოდა? ან იმიტომ ხომ არა, რომ დრო ხომ დროდ დაიკარგებოდა, გავლენა — გავლენად და პოსტზე აღსადგენად სამედიცინო შემოწმება რომ დასჭირდებოდა, ძვლოვანი ქსოვილი კი ექნებოდა შეერთებული, მაგრამ სხვა მხრივ აღმოჩნდებოდა იმდენი და იმდენად მძიმე ხარვეზი, რაც ქვეყნის პრეზიდენტისთვის დაუშვებელია)?

ეს იქით იყოს და, დავით დარჩიაშვილი ამბობდა, ველოსიპედიდან თვითონ გადმოვარდაო და შემდეგ საიდან გამოჩნდა ტრაილერი და მისი მძღოლი, რომელია სიმართლე? სად იყო ასეთ უკაცრიელში, რომ არც ვიდეოკამერები იყო, არც წესრიგის დამცველი, არც პოლიცია, რომ პაწაწინა ოქმი მაინც შეედგინათ? ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ასეთი ლუკმა ჟურნალისტებს როგორ გაუვარდათ ხელიდან? დავიჯეროთ, იმდენად მოუწესრიგებელი ქვეყანაა თურქეთი, რომ ამხელა რანგის ფიგურა ავტოავარიაში მოხვდა და ექსპერტიზა სიმბოლურად მაინც არ ჩაატარეს? — უმარტივესია, სააკაშვილი მართლაც რომ გარდაცვლილიყო, ხომ შარში ეხვეოდა თურქეთი? — კარგი, ჩვენ ვიცით სააკაშვილის ოინები, მაგრამ თურქული მხარე ვალდებული იყო ოფიციალურად წარმოედგინა, რა შეემთხვა სინამდვილეში ფათერაკიან ვადაგასულ პრეზიდენტს.

გაჩენილ კითხვებს „ნაცმოძრაობიდანაც“ კი ვერ გაეცა პასუხი და ისღა მოახლაფორთეს, „პრეზიდენტის ორგანიზმს რეგენერაციის გასაოცარი უნარი აღმოაჩნდაო“.

რას ნიშნავს წამოსროლილი „რეგენერციის უნარი“, სააკაშვილი ხვლიკია?

მედიცინაში რეგენერაცია პროცესია და უდიდესი მნიშვნელობა აქვს რეგენერანტის ასაკს, ნივთიერებათა ცვლის თავისებურებებს, ნერვული და ენდოკრინული სისტემის მდგომარეობას, კვებას, დაზიანებული ქსოვილის სისხლით მომარაგებას, თანმხლებ დაავადებებს და ა.შ.

განვლილი კი არის, მაგრამ ახლა რომ ოინბაზობს, ამადაც ვიხსენებ: გავრცელდა გადამზიდავი კომპანია „ანადოლუს“ მძღოლის, ვინმე უმით ოქურის, მოქალაქე სააკაშვილის დაშავებაში მონაწილე პირის კომენტარი. ვინაიდან, როგორც ამბობენ, ანტალიის ამ უბანზე არსადაა დამონტაჟებული ვიდეოკამერა, ხოლო კონკრეტულად ხსენებული თურქი მძღოლის პირი-სახე არ გვიხილავს, როგორც იტყვიან ხოლმე, სიტყვაზე უნდა ვენდოთ ინციდენტის დეტალების ყველა გამავრცელებელს და ყასიდად მაინც დავიჯეროთ ის ვერსია, რაზეც სააკაშვილის პრესსამსახური „ჩამოყალიბდა“.

უმით ოქური, სააკაშვილისთვის საბედისწერო ტრაილერის მძღოლი: „როგორც წესი, ქალაქში მოსიარულე ველოსიპედისტები საათში 35-40 კმ სიჩქარით დადიან, მაგრამ მე ნამდვილად 60 კმ-სთ სიჩქარით მივდიოდი, როცა ჩემგან მარცხნივ ველოსიპედისტმა ჩამიქროლა და გადამასწრო. აღმართი იწყებოდა და მივხვდი, რომ ველოსიპედი მსგავს სიჩქარეს ვეღარ შეინარჩუნებდა. მართლაც, ჩემსა და ველოსიპედს შორის მანძილმა სწრაფად იწყო კლება. კიდევ კარგი, მოვასწარი ავარიული დამუხრუჭება, თორემ საქართველოს პრეზიდენტს, ალბათ, ვიმსხვერპლებდი“.

ვინ შეარქვა მიხეილ სააკაშვილს „გარეკილ I“, არ აქვს მნიშვნელობა, თუმცა, მის „ნათლიას“ შეუდარებელი ალღო ჰქონია, სააკაშვილს კი, მისი ასაკიდან გამომდინარე, ნაყროვანების ტრფიალისა და გაბრუებისკენ ლტოლვის მიუხედავად, მაინც ველოსიპედისტისთვის საჭირო იდეალური მონაცემები — ისეთი გარეკილი მიჰქროდა, მძღოლი გაოგნებულიღა იყო, 60 კმ-სთ-ით მიმავალ ავტომობილს გადამისწროო...

რა ენერგია აქვს ამ ადამიანს, გასაოცარია, თუმცა, ისიც საინტერესოა, სად მიეჩქარებოდა უკონტროლო ტრასაზე მარტოდ მიმავალ ქვეყნის სტუმარს, ვადაგასულ პრეზიდენტ სააკაშვილს, რა სახის „საინტერესო დაწესებულება“ ეგულებოდა ახლო-მახლო?

„ცუდად აქვს დაცდილი ამ კაცს ძეგლები — ქუთაისში მემორიალი ააფეთქა, პარლამენტი უნდა ავაშენოო და ისე წაუვიდა საქმე, იმ პარლამენტში ვერ შედის;

„ხვლიკთან მებრძოლი კაცის“ ქანდაკება წამოჭიმა თავისუფლების მოედანზე და ფეხი ვეღარ დადგა იქ; კვერცხიან „შლოპანცში“ არავინ აღარაფერი გააყოფინა... ველოსიპედის ძეგლი დაგვადო თავზე აღმაშენებლის ძეგლის ნაცვლად და კინაღამ ველოსიპედით წაიღო წერილი ჯოჯოხეთში.

ის დროა, პალატაში „შლოპანცებს“ ერიდოს და კვერცხებს გაუფრთხილდეს, არსად მოეწეწკვოს...

ვიშ, ქა, სააკაშვილმა პირველად ხომ არ მოიტეხა სხეულის რაღაც ნაწილი.

ერთხელ, ალიევების ოჯახის სტუმრობას დაემთხვა, ხელი მოსტყდა. ოფიციალური ვერსიით, მაშინაც ველოსიპედით სეირნობისას დაშავდა, თუმცა, ბოროტი ხმები ამბობდნენ, ველოსიპედი რა შუაშია, სტუმრებისთვის გამართულ სადილზე უზომოდ ნასვამ-ნაჭამმა ჯერ აღებინა, მერე კი, გამომტყვრალს გონება დაებინდა, მეჰრიბანს ხელი უადგილო ადგილზე მოუთათუნა და მისმა დაცვამ მოტეხაო;

მეორედ, არაოფიციალურად გავრცელდა ხმა, აშშ-ში მყოფი ავტოავარიაში მოჰყვაო. ამას თან დაერთო ისიც, რომ უცნობი რეისი დაფრინდა თბილისის აეროპორტში და ვიღაც ისე, რომ არავის დაენახა მისი სახე, თოდუას კლინიკაში გაარბენინეს და იქაც გაასაიდუმლოეს პაციენტის ვინაობა, ავადმყოფების მნახველები კი კლინიკიდან გამოაძევეს...

კიდევ ერთ ავტოავარიაზე იყო საუბარი, რომელიც თბილისში უნდა მომხდარიყო და თანაც იმ ღამეს, როდესაც ზურაბ ჟვანია წავიდა ამ ქვეყნიდან საეჭვო ვითარებაში...

ეს, რაც ავტოავარიებს ეხება და ასე თუ ისე, გამოჟონილია, თორემ კიდევ რამდენჯერ გადარჩა უეჭველ სიკვდილს?

ერთხელ, სიღნაღში ვითომ აღდგენილ-რესტავრირებული სახლიდან დაცურებულ კრამიტს ასცდა მისი თავი (მას შემდეგ აიცრუა გული „სიყვარულის ქალაქზე“);

მიშა—პილოტი, მიშა-ტრაქტორისტი, მიშა-სტაიერი, მიშა-მოთხილამურე, მიშა-მრბოლელი, მოკლედ რომ ვთქვათ, მიშა-ექსტრემალი, მიშა-დელფინის გარდა მიშა-უთოც რომ ყოფილა, მხოლოდ მაშინღა გავიგეთ (არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მისმა უახლოესმა გარემოცვამაც), როდესაც ზღვის დონიდან ლამის 4 ათას მეტრზე, უშბასთან მიმდგარმა უცბად იშვლიპა, პირდაპირ ზღვაზე დაეშვა და აკვათერაპია განიზრახა, გახურებული თავი პირდაპირ ზღვაში დურთა. ანცი ბუდულინეკი მონაგონია მასთან! — ძლივს გადარჩა საქართველო ძაძებით შემოსვას, მიშამ უეცრად უთოობაც მოინდომა.

ეტყობა, აღმა-დაღმა ქროლვისას ყური მოჰკრა ვიღაცაზე საუბარს, „უთოსავით იძირებაო“ და გულში ჩაიდო, ვიღაცამ როგორ უნდა მაჯობოს, მე რა, ნაკლები უთო ვარო?

ამ კაცს რომ თავი მუდმივად უხურს, დიდი ხანია, ცნობილი ამბავია, მესტიაში რომ საღომლეში არავინ შეაყუდებდა თავით, ცხადზე უცხადესია. ისედაც მუდამჟამს თავგახურებული კაცი რომ კიდევ მხურვალე უთოდ წარმოიდგენს თავს და შიშხინით ჩაეშვება თავით ზღვაში, უთოდ გადაიქცევა, აბა, რა მოუვა.

მისი თანმხლები პირები, კბილებამდე შეიარაღებული დაცვა და მათ შემდეგ ექიმიდან დაწყებული, მყვინთავებით დამთავრებული, ყველა გაფაციცებული შესცქეროდა საფიცარ „მაგარ-მიშას“, მაგრამ კაცს უთოობა ედო გუნებაში და ვინ შეეწინააღმდეგებოდა, ვინ იქნებოდა გულადთა შორის გულადი, ყველას ხომ არ უხურს მისებრ თავი (ვისაც მისებრ გაუხურდა, ზოგს საფერფლე მოხვდა შიგ „ბაშკაში“, ზოგს — მობილური, ზოგს ტლინკი და, შესაბამისად, ზოგი ადრე მოხვდა საავადმყოფოში ტვინის შერყევით და ზოგი მოგვიანებით და წყვილად).

შუა ზღვაში გასულმა დელფინმიშამ, ალბათ, ერთი კი მოავლო მისებური მზერა ყველას, მიყურეთო და ჩაესო ზღვაში ისარივით. კაცია და გუნება, მით უფრო, ეს გუნება-კაცი, ზღვის ფსკერის დათვალიერება მოუნდაო, იფიქრა ალბათ, ყველა მისმა გულმხურვალე ტვინგაყინულმა და მიუშვეს გიჟი ნებასა, კინაღამ რომ მართლა შეეყარა ვნებასა.

გიჟმაჟ-მიშას კი უნდოდა, თავი უთოდ ეგრძნო, მაგრამ აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ფირცხალაიშვილი რომ არ ყოფილიყო იქ და არ შეენიშნა მიშა-კაცის ნირვანაში ყოფნისებური მდგომარეობა და სპეცრაზმის მყვინთავებისთვის არ ეხმო, ხომ დაობლდებოდნენ მთელი ნაცელიტა და მიშა-კაცის მთელი ჰარემი.

ჰო-ჰო, რა ამბავი ატყდებოდაო! — არაფერიც არ ატყდებოდა, გვირგვინები, კაი შილა და იმის ჯანი! არა ბიჭო და, ყველას თავებს დააყრევინებდა ვანო-ბატონი. ერთი ისაა, არავინ იტყოდა, „აქაც კარგი კაცი იყო, იქ ნათელი დაადგესაო“. მღვდელი იმას არ დასჭირდებოდა წესის ასაგებად და სანთელ-საკმეველი, უკვე თავისებურად აჩქარებული კი არა, ისეთი ბზრიალ-ტრიალით შევარდებოდა ჯოჯოხეთში, ცერბერიც ვერ შეავლებდა თვალს.

მოკლედ, როგორც ყოველთვის, ახლაც ყველა ყველაფერს გადაურჩა ხალხის გარდა. ველოდებოდითღა, როდის მოჰკრავდა ყურს გიჟმაჟ-მიშა, იხვი-თორთლაძე ევერესტზე აპირებს ასვლასო და როდის აედევნებოდა ახვინტრიცებული, ხომ შემპირდი, აგიყვანო...

იმ დროს მხოლოდ ის მაინტერესებდა, ჯერჯერობით თავგაგრილე-

15 ბ.

რა საკანონმდებლო შეზღუდვებია დაწესებული სოციალური მედიის, განსაკუთრებით ფეისბუკის მომხმარებლებისთვის

ინტერვიუ ინტერნეტსამართლისა და წიგნის „ხელოვნური ინტელექტი“ ავტორთან, სამართლის დოქტორთან, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის პროფესორთან, ზვიად გაბისონიასთან

- ბატონო ზვიად, მისასალმებელია ის ფაქტი, რომ იურისპრუდენციაში გაჩნდა კიდევ ერთი, საზოგადოებისათვის მეტად საჭირო მიმართულება, როგორიცაა ინტერნეტსამართალი, რომელიც ელექტრონული, სოციალური მედიის საკითხებსაც მოიცავს. რატომ გადაწყვიტეთ, ხელი მოგეკიდათ ამ საინტერესო მეცნიერებისთვის და გამოგეცათ წიგნი ინტერნეტსამართლის შესახებ. რას ეფუძნება თქვენი კვლევა და რითია საინტერესო ელექტრონულ, სოციალურ მედიაზე დამოკიდებული საზოგადოებისათვის ?

- ზოგადად, სამართალი საკმაოდ კონსერვატიული მეცნიერებაა. როგორც იცით, დღემდე მოქმედი სამართლის ბევრი ნორმა და დარგი ჯერ კიდევ ძველი რომის იმპერიაში მოქმედებდა. მაგალითად, სანივთო სამართალი და ისეთი ინსტიტუტები, როგორიცაა, იპოთეკა, სერვიტუტი, უზუფრუქტი და ა.შ. ეს მაშინ, როცა ოცდამეერთე საუკუნის პირველი ოცწლედი წარმოუდგენელი ტექნოლოგიური სიახლეებისა და ინოვაციების განვითარების პერიოდია. სახეზეა მეოთხე ინდუსტრიული რევოლუცია, რომელსაც, ვფიქრობ, რომ სამართალმა ფეხი უნდა აუწყოს. სხვა შემთხვევაში მივიღებთ რეალური ცხოვრებისეული ურთიერთობებს მოწყვეტილ, რუდიმენტად ქვეულ სამართლის დარგებს, რომელთა ადგილი სამართლის ისტორიაში უფრო იქნება, ვიდრე თანამედროვე სამართალში.

სწორედ ამის გამო, დაახლოებით სამი წელია, ინტენსიურად ვმუშაობს ახალი სამართლის დარგების ჩამოყალიბებაზე საქართველოში, რომლის გაერთიანებულ ტერმინადაც შეიძლება ტექნოლოგიების სამართალი გამოვიყენოთ. სწორედ მისი შემადგენელი სამართლის დარგია ინტერნეტსამართალიც. მომავალში, ვფიქრობ, ინტერნეტსამართლის გარდა, ტექნოლოგიების სამართალში თანამედროვე სამართლის ისეთი დარგებიც შევა, როგორებიცაა, მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის სამართალი, რობოტიკის სამართალი, განახლებადი ენერგიების სამართალი და სხვ.

ინტერნეტი, როგორც თანამედროვე ტექნოლოგია, აერთიანებს ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ ძირითად ურთიერთობებს, რომელთა სამართლებრივი რეგულირებაც დღეს უკვე არა სასურველი, არამედ აუცილებელი გახდა. **მთავარი გამოწვევა, რაც ამ მხრივ არსებობს, ინტერნეტის ტრანსნაციონალური ხასიათია. ის არ ცნობს იურისდიქციულ საზღვრებს და, შესაბამისად, წარმოუდგენელ შესაძლებლობებთან ერთად, სამართლებრივი რეგულირების ურთულეს ასპექტებსაც ეხება.** სწორედ ამ პრობლემების რეგულირებისთვის შემოგვაქვს სამართლის **დოქტრინაში ინტერნეტსამართალი,** როგორც ტექნოლოგიების სამართლის ძირითადი მამოძრავებელი სამართლის დარგი. შედარებისთვის, ინტერნეტსამართალს ტექნოლოგიების სამართლისთვის დაახლოებით იგივე როლი და დანიშნულება შეიძლება მივანიჭოთ, როგორც სამოქალაქო სამართალს აქვს კერძო სამართლისთვის.

ჩემი ახალი სახელმძღვანელო, ინტერნეტსამართალი და **ხელოვნური ინტელექტი შეეხება ინტერნეტსამართლის და მასთან დაკავშირებული ისეთი სამართლის დარგების რეგულირების საკითხებს, როგორიცაა ელექტრონული კომერციის სამართალი, სოციალური ქსელების სამართალი, ბლოკჩეინტექნოლოგიების სამართალი და ყველა**

ლაზე თანამედროვე ტექნოლოგიის, ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის ურთიერთმიმართების პრობლემებს. ვფიქრობ, ქართული იურიდიული წრეებისა და, ზოგადად, როგორც ტექნოლოგიებით, ასევე სამართლით დაინტერესებული პირებისთვის წიგნი საინტერესო უნდა იყოს.

- რა საკანონმდებლო შეზღუდვებია დაწესებული სოციალური მედიის, განსაკუთრებით ფეისბუკის მომხარებლებისათვის ?

- სოციალური მედიის სამართალი, ჩემი სუბიექტური მოსაზრებით, სოციალური ქსელების სამართლის შემადგენელი ნაწილია. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ სოციალური მედიის სამართლის შესახებ ქართულ ენაზე უკვე არსებობს ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ასოცირებული პროფესორის, სერგი ჯორბენაძის წიგნი „სოციალური მედიის სამართალი“, სადაც გაშუქებულია ამ დარგის პრობლემატიკა. ჩემს ახალ წიგნშიც შევეცადე, წარმომეჩინა ის ძირითადი სამართლებრივი პრობლემები, რაც სოციალურ ქსელში, განსაკუთრებით სოციალურ მედიასთან დაკავშირებულ კონტენტებში გვხვდება.

ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა, რაც სოციალურ მედიაში, განსაკუთრებით ფეისბუქპლატფორმის გამოყენებისას გვხვდება, არის ე.წ. „ფეიკნიუსები“, მცდარი, მიზანმიმართულად დეზინფორმაციის შემცველი ინფორმაცია, რომელიც მომხმარებელს აწვდის ყალბ ინფორმაციას. სხვა პრობლემად შეიძლება დავასახელოთ სიძულვილის შემცველი განცხადებების, კომენტარებისა და შეურაცხმყოფელი მიმართვების გამოქვეყნება და მათი კონტროლის აუცილებლობა. **როგორც იცით, აღნიშნულთან დაკავშირებით უკვე არსებობს პრეცენდენტები ევროკავშირისა და საფრანგეთის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკაში, როცა ერთ-ერთ პოლიტიკოსს დაეკისრა პასუხისმგებლობა და ვალდებულება, გაეკონტროლებინა მის მიერ განთავსებულ პოლიტიკური შინაარსის პოსტებზე სიძულვილის შემცველი კომენტარები და დაეკისრა ვალდებულება ასეთი კომენტარების დაბლოკვის ან წაშლისა. ვფიქრობ, მომავალში ამ მხრივ სასამართლო პრაქტიკა და კანონმდებლობაც კიდევ უფრო გამკაცრდება.**

ცალკე საუბრის თემაა სოციალურ მედიაში რეკლამირების საკითხი. როგორც იცით, სოციალურ ქსელებსა და სოციალურ მედიაში მიზნობრივი რეკლამის განთავსებისთვის მეცნიერებების ისეთი დარგები ჩამოყალიბდა, **როგორებიცაა ნეირომარკეტინგი, ქცევითი ეკონომიკა, ციფრული მარკეტინგი და ა.შ. მომავალში ამ მიმართულებითაც გახდება საჭირო მარეგულირებელი ნორმების შემოტანა.**

- ბოლო ხანს მედია საშუალებები თავიანთი ელექტრონული გვერდებიდან თუ სატელევიზიო სიუჟეტების დახმარებით ხშირად მიმართავენ ცილისწამებასა და უხამსობას, რაც საზოგადოების განაწყენებას, ღირსების შელახვას იწვევს. არადა, გვაქვს კანონი სიტყვისა და გამოხატვის შესახებ, რომელიც ამას არეგულირებს, მაგრამ ესეც არ აღმოჩნდა საკმარისი. სამწუხაროა, რომ ჩვენი საინფორმაციო საშუალებები საზოგადოების შეურაცხყოფას სიტყვის გამოხატვის სახელით ნიღბავენ, უფრო კონკრეტულად ისე ჩანს, რომ აღნიშნული კანონი თითქოსდა ინდულგენციაა და ყველაფრის უფლებას აძლევს მათ. როგორია თქვენი, როგორც მედიასამართლის ექსპერტის შეფასება? რეალურად რა სამართლებრივი გზა არსებობს იმისათვის, რომ ჩვეულებრივმა მოქალაქემ, რომელიც ხშირად ხდება მედიისა თუ ფეისბუკის მომხარებლების მხრიდან ცრუ ბრალდების მსხვერპლი და მათ შორის ტრაგედიის მიზეზიც, დაიცვას თავისი უფლებები?

- საქმე ისაა, რომ სოციალური მედია მედიის განუყოფელი ნაწილია და კანონმდებლობა ცალკე არ არეგულირებს სოციალურ მედიაში ცილისმწამებლურ განცხადებებს. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში გამოსაყენებელი იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა როგორც მასმედიის, ასევე სამოქალაქო და **დელიქტური ნორმების (ზიანის) კომბინაციით. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში სოციალური მედიაში ასეთი ტიპის განცხადებების კონტროლისათვის ცალკე კანონიც იყოს შემოღებული.** თუმცა, არცერთ შემთხვევაში ის არ უნდა ზღუდავდეს კონსტიტუციით გარანტირებულ, რეალური გამოხატვის თავისუფლების ჩარჩოებს. აქ კი ზღვარის გავლება, მოგეხსენებათ, საკმაოდ რთულდება ხოლმე.

- ცილისწამებისა და უხამსობისათვის რა სანქციებს ითვალისწინებს ჩვენი საკანონმდებლო ბაზა და როგორია საქართველოსა და საერთაშორისო სასამართლოს პრაქტიკა? რა უნდა იცოდეს განსაკუთრებით ფეისბუკის მომხმარებელმა?

- ფეისბუქმომხმარებლებზე, როგორც გლობალური ქსელისა, რომელსაც 2 მილიარდზე მეტი მომხმარებელი ჰყავს, მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობა ვერ გავრცელდება. თავად **ფეისბუქს, ისევე, როგორც სხვა გლობალურ სოციალურ პლატფორმებს, თავისი სამომხმარებლო წესები და პოლიტიკა გააჩნია, რომლის დაცვაც იმ მომენტიდან ევალება მომხმარებელს, როცა ის მომხმარებლად რეგისტრირდება და ამ წესებს „აქცეპტირებითა“ და „OK“ ღილაკზე დაჭერით ეთანხმება. ნებისმიერმა მომხმარებელმა უნდა იცოდეს, რომ არ არსებობს განუსაზღვრელი უფლებები და თავისუფლებები.** როგორც ადამიანის უფლებათა სამართალში ცნობილი ფორმულა ამბობს, პირის უფლებები და თავისუფლებები იქ მთავრდება, სადაც იწყება მეორე პირის უფლებები და თავისუფლებები. ანალოგიური პრინციპი მოქმედებს ფეისბუქსა და სხვა სოციალურ ქსელებშიც. ამიტომაა, რომ, როდესაც ფეისბუქის ალგორითმი **პოულობს თქვენს მიერ გაზიარებულ შეურაცმხყოფელ ფოტოებს და კომენტარებს,** მათ არამარტო ბლოკავს, არამედ, შესაძლოა, თავად მომხმარებლის „ანგარიშიც“ დაბლოკოს. **გაიხსენეთ სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ პრეზიდენტ დონალდ ტრამპის „ანგარიშის“ დაბლოკვასთან დაკავშირებული სკანდალი.**

- ფიქრობთ, თუ არა, რომ ჩვენი საკანონმდებლო ბაზა უფრო მეტ რეგულირებას მოითხოვს, მათ შორის უნდა გაფართოვდეს თუ არა კანონმდებლის მიერ დაწესებული სანქციათა წრე, რათა საზოგადოება დაცული იყოს სახელისა და რეპუტაციის შემლახავი ბრალდებისაგან ?

- სამართლებრივი რეგულირების ცდუნება ყველა კანონმორჩილი ადამიანის ცდუნებაა. თუმცა ერთია რეგულირების სურვილი და მეორეა შესაძლებლობა. ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რამდენად ეფექტური იქნება ამა თუ იმ ურთიერთობის რეგულირების მცდელობა. ზოგჯერ რეგულირება უკუეფექტის მომტანია. გავიხსენოთ აშშ-ის ცნობილი „მშრალი კანონი“, რომელმაც ალკოჰოლის მოხმარება კი არ შეამცირა, არამედ გაზარდა და თან გააძვირა და საშუალება მისცა იმდროინდელ ჯერ კიდევ ბანდიტურ დაჯგუფებებად არსებულ იტალიურ მაფიას, სტრუქტურულად ჩამოყალიბებულ, მდიდარ და უზარმაზარი გავლენის მქონე სისტემად ქცეულიყო. საქართველოს სინამდვილეშიც დავაკვირდეთ, რამდენი მოქმედი კანონი არ მუშაობს პრაქტიკაში. ამიტომ მხოლოდ რეგულირებისა და საკანონმდებლო ბაზის დახვეწა, ჩემი აზრით, არ არის საკმარისი ისეთი რთული საკითხების მოსაწესრიგებლად, როგორიცაა სიძულვილის ენის შემცველი განცხადებები ან „ფეიკნიუსები“. ჯერ ერთი, ინტერნეტი, როგორც აღვნიშნე, იურიქდიქციის მიღმა მოქმედი ტექნოლოგიაა და მხოლოდ ერთ ქვეყანაში რაიმე ნორმის შეზღუდვა არ იწვევს საკითხის **გადაწყვეტას. ალბათ, უფრო მნიშვნელოვანი იქნება მეტი სოციალური დიალოგის წარმოება სოციუმის წევრებში და მეტი პატივისცემის გამოხატვა ერთმანეთის მოსაზრებების მიმართ, სადაც არ იქნება სიძულვილი და შეურაცხყოფა.**

ეს საკმაოდ რთულად გასავლელი გზაა. როგორც იცით, ევროპას და აშშ-ს მრავალი ათწლეული დასჭირდათ, მიუხედავად ამისა, ოპტიმალურ მდგომარეობამდე ჯერ კიდევ შორს არიან. ჩვენ ამ მხრივ მეტი გზა გვაქვს გასავლელი.

ლევან ჭილლაძე

უკვდავი კაშეი – ტრაილერმოხვედრილი ვადაგასული უთო გარეკილ I

13 გვ.

ბულ მიშა-კაცს როდის დაუწყებს თავი გათბობას და როდის მიაღწევს კულმინაციას, ანუ როდის შემოსტყორცნის კაცს-კაცზე ქორისებრ კივილით, ფირცხალაიშვილი რომ არ ყოფილიყო, რას აპირებდით, მკლავდითო? და შეთქმულების ბრალდებით როდის დააპატიმრებდნენ მრჩეველი ექიმის გარდა ყველას. სოფლის მეურნეობის მუშაკს უნდა შეემჩნია ადამიანის უმწეო მდგომარეობა თუ სპეცრაზმის მყვინთავთა ჯგუფიდან ერთ კაცს მაინც, მაშ რისი სპეცმყვინთავები იყვნენ? პრინციპში, ისეთი დანაყოფიდან ბრძანდებოდნენ, ადამიანის გადარჩენაზე კი არა, დახრჩობაზე იყვნენ ორიენტირებულები...

იმ დროს ფირცხალაიშვილს ისეთ მამაპაპურ „მოკითხვას“ უთვლიდნენ მეტიჩრობისთვის საქართველოს მოქალაქეები, თურქი მძღოლი ახლოსაც ვერ მივა, ასკეც გამრავლებული უნდა იყოს წესით... მაგრამ მიშა-კაცის მხრიდან კი იყო პატივსაცემი, კვაჭი კვაჭანტირაძისა არ იყოს, რამე კაი თანამდებობა კი უნდა „გაეიმასექნა“, ბოლო-ბოლო, მოადგილის სტატუსი მაინც მოეშორებინა და სულაც სპეცნაზის მყვინთავთა ჯგუფის უფროსად დაენიშნა საზღვაო სეზონის დამთავრებამდე მაინც.

მიშა-ნაუთოვებს მიტკლისფერი ედო სახეზე და შოკში იყოო, — ისე ხომ სულ ლოყებღაჟღაჟაა და „შოკია“ არ ჰქვია დღემდე, რა!

ისე, ნეტავ, რა სიმბოლური აზრები მოუვიდა სიმბოლოებით მოლაპარაკე მიშა-კაცს ასლან აბაშიძის „ტორნადოდან“ ზღვაში თავით გადაშვებულს ბოლო წამებში? პატიებას სთხოვდა ასლანს, დახმარებას თუ სულაც ქვეცნობიერი უბღაოდა: „აჭარა ჩემიაააა!“

გული ჰქონია ჯანმრთელი და გულმა „გაქაჩა,“ თორემ წნევა ისე ჰქონდა დავარდნილი, შანსი არ იყო მისი გადარჩენისო, — ვაი, შენ, ჩემო თეთრო მტრედო! რომელი გული, რა გული, რამ „გაქაჩა“, გული რომ არ აქვს, იმან გადაარჩინა, რაც არ აქვს, ის როგორ გაუსკდებოდა...

ხიფათიანი სააკაშვილის მორიგ ხიფათზე ანტალიაში და საქართველოს მოქალაქეების განწყობაზე ოლღა ბებია გაახსენდება კაცს, ჰიტლერზე რომ ამბობს, რაც მე იმას ვწყევლი, სული რაფერღა უდგია პირშიო...

ამ ბოლოს „მიჰას“ ადვოკატმა აიჩემა, მიხეილ სააკაშვილს 36 დაავადება აქვსო. ვიღაცამ მიუწერა „რაღას ვაწვალებთ, ხომ არ „დავაძინოთო“?!

ვალერი გელბახიანი ჩივა: სრული სერიოზულობით ვამბობ, მიშა აყროლდა, რაღაც გაურკვეველი სუნი ასდისო. ეს ის არ არის, გოგი წულაიას „კვერცხები“ რომ დაგვაზეპირებინა? აცადეთ, მივა მაქამდეც, ახლა მიშასი აქვს შესასწავლი... ე ბიჯო, მოუმზადეთ „შლოპანციანი კვერცხები“... ისე კი, 41-მდე ავიდა მიჰას დაავადებების რიცხვი და რას უნდა ნიშნავდეს, ნეტავ?

ეგ რა არის, ფრჩხილებიდან დარიშხანმაც ამოუხეთქა თურმე. ვიღაცამ გაიოცა, აბა, რას ელოდით, მირონი ამოსდინდებოდაო? რა ვიცით, გენაცვათ, მენდელეევის ქიმიურ ელემენტთა ცხრილში რაც რამეა მოხსენიებული, მის ორგანიზმში ყოფილა და ახლა ფოსფორსაღა ველოდებით. რა ლამაზი დასანახი იქნება სიბნელეში, საახალწლოდ მანათობელი მწვანედ აბრდღვიალებული რომ იკაშკაშებს. სიმაღლე კი აქვს და ეგეც თვითშემოქმედი ცოცხალი ნაძვის ხე...

ისა და, „ოცნებამ“ ძაღლი რომ გაწვრთნა, მიშას ლაპარაკის დაწყებისთანავე ყეფას რომ იწყებდა და მის ხმას ფარავდა, „ჯიპიდან“ (თუ კოსმოსიდან) კი ასხივებდნენ, დასხივებამაც გაუარა და ძაღლიც დადუმდა?

300 ელექტროსიგარეტი მოწიაო და დარიშხანი კი არა, თამბაქოს პირველი მომწევი ინდიელი რომ არ დაურბის საკან-ლუქსში, არ უკვირთ?

ათი წლის უკან ინდოელი შამ სომა სოლანაკის მკურნალმა ექიმებმა მოინდომეს მათი პაციენტის გინესის მსოფლიო რეკორდების წიგნში შეყვანა, როგორც ადამიანისა, რომელსაც ცხოვრების განმავლობაში 20 სხვადასხვა დაავადება ჰქონდა. მოახერხეს თუ ვერა, არ ვიცი, მაგრამ მიშა რომ ნამდვილად ავჯობებს, „ბაზარი“ არ არის...

„მთავარმა“ — მარხენა ხელს ველარ ხმარობსო. ვიღაცამ მიუწერა: მარჯვენას ხომ იქნევს და მარცხენას დედაცო...

„უკვდავი კაშეია?!“ — აინტერესებს ვიღაცას.

რიგით ბოლო ექსპერტიზის დასკვნა ერთი კვირის უკან მოვიდა და ჰოი, საოცრებავ, „უკვდავი კაშეი“ უარზეა, მთლიანად არ გამოაქვეყნოთო. თუმცა, მიშას არავინ დაუჯერა და ნახევარი მაინც გამოაქვეყნეს! მეორე ნახევარი ვისთვის შეინახეს, კაცმა არ იცის...

აფერისტებმა უკვდავობაც აფერისტული იციან და მოკვდავობაც...

ზურაბ ოშხერელი

ჩვენი მიშა-გულივერი

12 გვ.

თქმა უნდა. იუსტიციის მინისტრმა უნდა აღიაროს, რომ ერთი წლის განმავლობაში დაშვებული იყო ბევრი შეცდომა და კანონგადაცდენა მიხეილ სააკაშვილის მისამართით, რამაც მიიყვანა სიტუაციის დამძიმებამდე და ახლა მაინც უნდა მისცენ ადამიანს უფლება, აღასრულოს კონსტიტუციური თავისი უფლება, რაც არის ჯანმრთელობის უფლება და იგი გადაყვანილი იყოს სამკურნალოდ. რა თქმა უნდა, ეს სასამართლოში შედის დასკვნა ამ ეტაპზე და შემდგომი პროცესები გაგრძელდება სამართლებრივ ჩარჩოებში. მოვუწოდებთ სასამართლოსაც, რომ იყოს სამართლიანი, ვინაიდან დასკვნა არის ძალიან ბევრ მტკიცებულებაზე დაყრდნობილი და ის ორ აზრს არ ტოვებს, რომ მიხეილ სააკაშვილის საჭიროებს გათავისუფლებას“. ჯიშკარიანს 2012 წლამდე, მეხსიერება ჰქონდა დაკარგული და არც კონსტიტუცია ახსოვდა და არც სასამართლოს სამართლიანი გადაწყვეტილება...

ჟურნალისტი ბონდო მძინარაშვილი სოციალურ ქსელში გზავნილს ავრცელებს: „მანიაკ სააკაშვილს ვერ უშველის მის ბოროტ გონებაში დაწყობილი გეგმა, – სასჯელს მოიხდის ბოლომდე! მანიაკ სააკაშვილს ვერ უშველის დიდი ფულით დაქირავებული ლობისტური კომპანიების ძალისხმევა, რადგან რეალობა ყველამ იცის, – სააკაშვილი სიმულანტია! მანიაკს არაფერი სჭირს, ადაპტაციური აშლილობის გარდა, – პატიმრობას ვერ ეგუება! გადაიყვანეთ რუსთავის ციხეში!“

ზაზა ციმაკურიძის აზრით კი სააკაშვილი „სიმულიანტი და ჩანჩურა არაკაცია. მაგას რომ ღირსეულად დაეჭირა თავი, თუნდაც ეს ერთი წელი გაეძლო კაცურად და ჩმორივით არ ეკვნესა, არ ეტირა, არ ეფორთხა, ბოზი ქალივით არ ეკივლა და ეკნავლა, მეტი ღირსება შეენარჩუნებინა, უფრო სინანულსაც და თანაგრძნობასაც გამოიწვევდა ხალხში. მარა სად აქვს მაგ უღირსს ღირსება. საავადმყოფოს კეთილმოწყობილ პალატაშიც კი ვერ ძლებს. აბა, იმ ნაწამებმა ხალხმა რა ქნას, მართლა სიცოცხლე რომ გაუმწარეს და ღირსება მაინც შეინარჩუნეს, კაცურად რომ გადაიტანეს ყველაფერი. ასეთ კაცს მხდალს, ლაჩარს, დედალს, როგორ აფასებთ? კიდევ ესაა გასაკვირი“...

ქეთევან ზარნაძე

„თავად ოსტატს არ ეწევა სიკვდილი“

ლოტბერდ კუპატაძის გახსენება

არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი ცხოვრებით ნათელ კვალს ტოვებენ და მათ მიერ განვლილი გზა მომავალი თაობისათვის სამაგალითოდ რჩება.

იურიდიულ საზოგადოებას კარგად ახსოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ადვოკატი ლოტბერდ კუპატაძე, რომელიც მოულოდნელად გარდაიცვალა.

დაიბადა ზესტაფონის რაიონში, ჰყავს მეუღლე და ორი შვილი. მეუღლე ქალბატონი ნათელა ზვიადაძე წლების განმავლობაში ზესტაფონსა და თბილისში, კერძოდ, ვაკე-საბურთალოს რაიონში მოსამართლის თანამდებობას იკავებდა. ქალ-ვაჟი სერგო და თამარ კუპატაძეები დღეს იურიდიულ სფეროში მოღვაწეობენ.

ბატონი ლოტბერდ კუპატაძე და ქალბატონი ნათელა ზვიადაძე ერთ სისტემაში მოღვაწეობდნენ, რაც მაშინდელი საბჭოთა სისტემისათვის დიდ საფრთხესთან იყო დაკავშირებული. პროფესიონალიზმისა და ადამიანურობის წყალობით ისინი წარმატებით განაგრძობდნენ საქმიანობას.

ლოტბერდ კუპატაძე უბრალო ოჯახიდან იყო, ჰყავდა ორი ძმა და ერთი და, რომლებმაც თავდაუზოგავი სწავლითა და შრომით საპატიო ადგილი დაიმკვიდრეს აკადემიურ წრეებში.

როგორც ბატონ ლოტბერდის კოლეგები იხსენებენ, იგი საკუთარი თავის მიმართ საკმაოდ მკაცრიც იყო და მომთხოვნიც. ამ თვისებების წყალობით მან სამართალდაცვით სტრუქტურებში საპატიო ადგილი მოიპოვა. კერძოდ, ზურაბ ჟვანიას ბრძანებით, 2002 წელს ლოტბერდ კუპატაძე უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ გამწესდა. მისი მონაწილეობით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებები იურისტებისათვის დღესაც სახელმძღვანელოდ მიიჩნევა და ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში დაიმკვიდრეს ადგილი.

ყველას გვახსოვს ვარდების რევოლუციის შედეგად 2006 წელს უზენაესი სასამართლოდან დემარშით წამოსული მოსამართლეები. მათ შორის იყო ბატონი ლოტბერდიც. მან იცოდა, რომ უსამართლობას ვერ შეეგუებოდა და უპრეტენზიოდ დაემშვიდობა პრესტიჟულ თანამდებობას. ხშირად უთქვამს კიდეც, არაფერს ვნანობ, სადაც ჩემი მეგობრები იყვნენ, მეც იქ უნდა ვყოფილიყავიო.

ლოტბერდ კუპატაძისთვის უმაღლესი სასამართლოს ტრიბუნის დაკარგვას ხელი არ შეუშლია, საადვოკატო საქმიანობა დაეწყო. აკი ღიმილითაც იხსენებდა ხოლმე, ბევრი ჩემი კოლეგა მაშინ სამსახურის დაკარგვის გამო ღრმა დეპრესიას მიეცა, მე კი არ გამჭირვებია ახალ რეალობასთან შეგუება და მოღვაწეობა არანაკლებ პრესტიჟულ სფეროში, ადვოკატურაში განვაგრძეო. კოლეგები ბატონ ლოტბერდს კონსულტაციისათვის ხშირად მიმართავდნენ და ხუმრობით ადვოკატების ადვოკატსაც უწოდებდნენ.

როგორც აღმოჩნდა, ბატონი ლოტბერდ კუპატაძე არც პოეზიისაგან ყოფილა შორს. თავის შემოქმედებით ნიჭს ის არასოდეს ამჟღავნებდა. მისი ოჯახის დახმარებით ამის შესაძლებლობა უკვე გვაქვს. გთავაზობთ მის ერთ ლექსს:

ამქვეყნად ყველას ბევრი რამ გვაქვს სადარდებელი,
ბევრჯერ ღიმილმაც და ნაღველმაც გული მოგვფლითა,
ჩამომდგარია წუთისოფლის მატარებელი
და არვინ ვიცით, ვის წაგვიყვანს ის ამ სოფლიდან.
კარუსელივით მიდი-მოდის ცხოვრების ეტლი
და ბედნიერებს ბოლოს გვრჩება ამაოება.
ცოცხალნი ყველა ამქვეყნიურ ცხოვრებას ველტვით,
რადგან არ ვიცით, საიქიოს რაა ცხოვრება.
მაღალი ღმერთი არ იქნება ისეთი მკაცრი,
რომ ადამის ძე საბოლოოდ დაასამაროს,
რადგან იქიდან აქ მოსული არა სჩანს კაცი,
უნდა ვიფიქროთ, იქ ცხოვრებაც არის საამო!

უამრავ ჭირისუფალთა შორის, რომლებიც ლოტბერდ კუპატაძის დაკრძალვას ესწრებოდნენ, ერთი ქალბატონის მრავლისმთქმელი სიტყვები ახლაც ტანში მზარავს და ქვეყნის მწარე წარსულს მახსენებს: „დიდი მადლობა, ბატონო ლოტბერდ, ყველაფრისათვის, ჩემი ერთადერთი შვილის გადარჩენისთვის, მისი თავისუფლებისთვის!“ - ასე მწარედ თურმე იმ ერთ-ერთი პატიმრის დედა მოსთქვამდა, რომლის შვილის გათავისუფლებაშიც „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის დროს ბატონ ლოტბერდს, როგორც ადვოკატს, დიდი წვლილი ჰქონია შეტანილი.

ახლა, როცა ადვოკატები ჩვენს წარმატებულ პროფესიულ გზას გავეურებთ, წინ მიგვიძღვის ბატონ ლოტბერდ კუპატაძის ნაკვალევი, რომელსაც, როგორც ნამდვილ ოსტატს, არასოდეს ეწევა სიკვდილი!

ლევან ჭიღლაძე

„ნელიწადის დრონი“ დაქვეითებულ მეხსიერებას აღადგენს

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს საუბარს აკადემიკოს რამაზ გახოკიძესთან:

— ბატონო რამაზ, თქვენ დიდი კომპოზიტორის ალექსანდრე ბოროდინისადმი მიძღვნილი მონოგრაფიის ავტორი ბრძანდებით. როგორ შეძელით ქიმიის მუსიკისთვის დაკავშირება. როგორც ვიცით, მუსიკალური კოდიც კი გამოიკვლიეთ. რაში მდგომარეობს მისი პრინციპი?

— აინშტაინი წერდა: მუსიკა და მეცნიერება ერთნაირ აზროვნებას მოითხოვსო და ეს ნამდვილად ასეა. ჩემს მიერ გამოკვლეული მუსიკალური კოდის პრინციპი შემდეგია: ადამიანისა და ყველა ცოცხალი არსების ორგანიზმი ცილებისგან შედგება, ცილა კი პატარა „აგურებისგან“ — ამინომჟავებისგან. ეს ამინომჟავები ისეა დალაგებული, როგორც ბგერები მელოდიაში, რასაც საფუძვლად „შვიდობის“ პრინციპი უდევს — შვიდი დღე, შვიდი ფერი, შვიდი პლანეტა, შვიდი ბგერა — დო, რე, მი, ფა, სოლ, ლა, სი. როცა ამ პრობლემაზე მუშაობა დავიწყე, კომპიუტერული ტექნიკა ისე განვითარებული არ იყო, როგორც დღესაა. ამინომჟავების განლაგება მუსიკალურ ბგერებს მივუსადაგე და გამოვიდა ნაწარმოები — „ფუგა“. ანუ, როცა მსხვილი, რქოსანი საქონლის ცილის ფრაგმენტი გავშიფრე და იგი სანოტო სისტემაში გადავიყვანე, ბახის „ფუგა“ მივიღე — ზუსტად ისე აჟღერდა. წარმოგიდგენიათ, რა საოცრებაა?! ამიტომაც არის გენიალური ბახი, ბეთხოვენი, რუსთაველი, დანტე და ა.შ. ე.ი. ყოველ ინდივიდს თავისი შესაბამისი მელოდია გააჩნია, რაც მასში თავიდანვეა ჩადებული. ეს კიდევ ერთხელ სიცოცხლის ღვთაებრივ წარმოშობაზე მიუთითებს. შესაძლოა უმცირესმა ცვლილებებმა დისონანსი გამოიწვიოს და ნორმალური ცილა „დაავადდეს“. დღეს, როცა მედიცინის პრობლემა ნაადრევი დიაგნოსტიკაა, კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით შესაძლებელია ბიოლოგიური არსების მელოდიის ჩაწერა, რაც ორგანიზმის მდგომარეობის ადრეულ დიაგნოსტიკაში დაგვეხმარება.

შინაგანი მელოდია ცხოვრების თანამგზავრის პოვნაში დაგეხმარებათ

— ადამიანზე შესაძლებელია ბგერებით, სიტყვებით ზემოქმედება. წყევლას ან ლოცვას ხომ დიდი ძალა აქვს?! ქართველმა კაცმა ამ ფენომენის შესახებ დიდი ხნის წინ იცოდა. ჩვენში, „ბატონების“ განსაკურნებლად, წარმართული დროის სამკურნალო სიმღერები არსებობს. საოცარი რამ ხდება — ავადმყოფობა მართლაც იკურნება. მე მუსიკალური კოდის პრინციპი აღმოვაჩინე. როგორც მოგახსენეთ, ყველა არსებას, ყველა ადამიანს საკუთარი მელოდია აქვს, რომლის მიხედვით ადამიანის ხასიათის, მისი ბედის დადგენა შეიძლება. როგორც არ უნდა დამალოთ თქვენი განწყობილება, მელოდიაში ყველაფერი ჩანს. შინაგანი მელოდიის მიხედვით შესანიშნავად შეიძლება პარტნიორის, ცხოვრების თანამგზავრის პოვნა და რაც მთავარია, მრავალ დაავადებათა უადრესი დიაგნოსტიკა. ისეთი მემკვიდრული დაავადება როგორიც კიბოა, საკმაოდ გვიან იჩენს თავს. რა არის კიბო? — როცა გენეტიკური კოდის ინფორმაცია იცვლება და ამინომჟავების, ანუ მუსიკალური ბგერების თანმიმდევრობა ირღვევა. თავიდან ეს ცვლილება არ ჩანს, ადამიანი ჯანმრთელია, მის ბიოქიმიურ ანალიზში ცვლილება არ არის, ამ დროს კი უჯრედი იშლება. როცა საქმე ექიმამდე მიდის, მკურნალობა უკვე დაგვიანებულია, რადგან მთელი ბიოლოგიური სტრუქტურა დანგრეულია. მუსიკალური კოდის გამოკვლევით, კომპიუტერი მაშინვე აჩვენებს რომელი ბგერაა შეცვლილი და მკურნალობაც მაშინვე შეიძლება. ამაზე ჩემს ბევრ კოლეგას ეცინებოდა. ყველას გვახსოვს ფილმი „უდიპლომო სასიძო“, სადაც ვეტექიმი ნიკოლოზი ღორებსა და ხბორებს მუსიკით ზრდის. ეს სულაც არაა სასაცილო. იაპონიაში ყოფნისას სპეციალურად მიმიყვანეს საქონლის ფერმაში, სადაც მუსიკის გავლენით წველადობამ 40%-ით მოიმატა, ოღონდ, კლასიკური მუსიკის გავლენით. ჯაზი და როკი საქონელს თრგუნავს. აფრიკის ხალხები დოლზე ბრაგუნით აშინებენ ბოროტ სულებს. ჯარს რატომ აქვს მარში და საომარი სიმღერები? — მხედრული სულისკვეთების ასამაღლებლად. გგონიათ, ჰიტლერმა ვაგნერის მუსიკა შემთხვევით აირჩია? ან, რატომ შეიქმნა სამგლოვიარო რექვიემი? სტალინის მითითებით კი „წმინდა ომი“? მუსიკას უდიდესი ძალა აქვს. იგი შესაძლოა სერიოზულ დამანგრეველ იარაღადაც კი იქცეს, მაგრამ თუ სასიკეთოდ გამოიყენებ, სასწაულებს მოახდენს. გარემო რომელშიც ვცხოვრობთ, ინფორმაციას საუკუნეების განმავლობაში ინახავს. ერთ ამბავს მოგიყვებით: ერთი საკმაოდ დიდი თანამდებობის მქონე პიროვნება (სახელს და გვარს არ დავასახელებ) სერიოზულად ავად გახდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს. ბოლოს გაირკვა, რომ სამსახურში აივაზოვის გემის დაღუპვის ამსახველი სურათი ეკიდა, რომლიდანაც იმდენად დიდი უარყოფითი ემოცია მოდიოდა, რომ ფაქტობრივად, ამ ადამიანს კლავდა. ჩამოხსნეს სურათი და ეს პირი გამოჯანმრთელდა. შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ჩვენი სიტყვა ინფორმაციის მატარებელია.

ბავშვებო, მოუსმინეთ, მოცარტს!

მუსიკათერაპია — ტრადიციული მედიცინის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და ჯერჯერობით, ნაკლებად გამოკვლეული მიმართულებაა. ცნობილი რუსი ქირურგი ბ. პეტროვსკი მუსიკას რთული ოპერაციების დროს იყენებდა. ყველაზე სასარგებლოდ კლასიკური მუსიკაა აღიარებული. ყველაზე დიდი მკურნალი კი, კომპოზიტორებს შორის, ვოლფგანგ ამადეუს მოცარტია, რომლის ნაწარმოებებს ადამიანებზე ზემოქმედების კოლოსალური ძალა აქვს. მისი მუსიკით ყვავილებიც კი იფურჩქნება. მრავალრიცხოვანი ექსპერიმენტით ექიმებმა დაასკვნეს, რომ ნერვული აშლილობის, ისტერიკისა და კაპრიზებისადმი მიდრეკილების დროს ყველაზე კეთილმყოფელ გავლენას ბავშვზე მოცარტის მუსიკა ახდენს. რაც შეეხება რეცეპტებს: ბავშვთა მთელი რიგი ორგანოების დარღვევა ხშირად დაკავშირებულია არასწორ სუნთქვასთან. ამ შემთხვევაში, ხალხური სიმღერების მოსმენით შესაძლებელია 10-15 წუთში სუნთქვის ნორმალიზება; შტრაუსისა და ჩაიკოვსკის მომხიბლავი ვალსები ხელს უწყობს გულის ნორმალურ მუშაობას, ხსნის დაძაბულობას, აუმჯობესებს ძილს. ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად ჯერ მოისმინეთ გამახალისებელი მუსიკა, შემდეგ ჩაიკოვსკის ან ბიზეს მელოდიური მუსიკა; დილის ძილიანობას შესანიშნავად ფანტავს ვივალდის სონატები და კონცერტები, შუბერტის სერენადები; შუადღეს ფინჯან ყავას შეგიცვლით ჰენდელი და მოცარტი; დაღლილობის პროფილაქტიკისთვის ბგერით რაციონში ჩართეთ გრიგის „მუსიკალური დილა“ ან ჩაიკოვსკის „წელიწადის დრონი“; სამსახურში ან სახლში თუ კონფლიქტურ სიტუაციებს თავს ვერ დააღწევთ, თქვენს განწყობაზე შესანიშნავად იმოქმედებს შტრაუსის „საშინაო ნაწარმოებები“, ბახის „გლეხური კანტატა“ ბეთხოვენის „სიმღერა რწყილზე“, როსინის „აბრეშუმის კიბე“ და „ქურდი კაჭკაჭი“; ცუდ მეხსიერებას აღადგენს ვივალდის „წელიწადის დრონის“ ციკლის ნაწარმოებთა პერიოდული მოსმენა.

თამარ შველიძე

გაგრძელება იქნება

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); ბესიკ ცარციძე (გავრცელების სამსახური 599 58 72 50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

http://www.saertogazeti.ge